საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

2017 წლის ადგილობრივი
თვითმმართველობის არჩევნების
სადამკვირვებლო მისია

წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში

1-ლი ივნისი – 19 ნოემბერი, 2017

თბილისი
2018

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სადამკვირვებლო მისია

წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში

(1-ლი ივნისი - 19 ნოემბერი, 2017)

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგის მისიის განხორციელება შესაძლებელი გახდა ევროკავშირის, შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), „ბაქოში ნორვეგიის სამეფოს საელჩოს," ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს" და „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის" (NED) დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" და ანგარიშის შინაარსის ევროკავშირის, შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), „ბაქოში ნორვეგიის სამეფოს საელჩოს," ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს", „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის" (NED) პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

თბილისი, 2018

ავტორი: **ლელა ტალიური**

კვლევაზე აგრეთვე მუშაობდნენ: **მარიამ პირველი**
გვანცა ესაკია
სალომე სალდაძე

რედაქტორი: **ხათუნა ყვირალაშვილი**

ტექ. რედაქტორი: **ირაკლი სვანიძე**

გამოცემაზე პასუხისმგებელი: **ირმა პავლიაშვილი**

მადლობას ვუხდით საიას თანამშრომლებსა და დამკვირვებლებს საიას არჩევნების მონიტორინგის მისიის განხორციელებაში შეტანილი წვლილისთვის.

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
ვებ-გვერდი: www.gyla.ge
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2018, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

I. წინასიტყვაობა 4

II. სადამკვირვებლო მისიის მასშტაბი და მეთოდოლოგია 4

III. ძირითადი მიგნებები 6

IV. პოლიტიკური კონტექსტი 10

V. მედიაგარემო 12

VI. საკანონმდებლო ჩარჩო 13

VII. სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა 16
- უწყებათაშორისი კომისია 16
- საარჩევნო ადმინისტრაცია 17
- წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება და სახელმწიფო აუდიტის სამსახური 21

VIII. წინასაარჩევნო პერიოდი 24
- სახელმწიფო რესურსების გამოყენება საარჩევნო მიზნებისთვის 24
- მუქარის, ზეწოლისა და ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტები 25
- წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეშლის ფაქტები 26
- სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები 26

IX. არჩევნების დღე 26
- პირველი ტური 26

X. მეორე ტური 27
- წინასაარჩევნო პერიოდი 27
- მეორე ტურის კენჭისყრის დღე 27

XI. არჩევნების შემდგომი პერიოდი 29

XII. რეკომენდაციები 33

XIII. დანართები 36

I. წინასიტყვაობა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა წარმოადგენს. ამ მიზნით, საია, დაფუძნებიდან (1994 წელი) დღემდე, აქტიურად არის ჩართული საკანონმდებლო, აღმასრულებელი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების პროცესში, რა დროსაც სწავლობს, თუ რამდენად თავისუფალი, სამართლიანი, კონკურენტული და ინკლუზიური საარჩევნო გარემოა საქართველოში წინასაარჩევნო, არჩევნების დღესა და შემდგომ პერიოდში.

საარჩევნო პროცესებზე დაკვირვებისას, ორგანიზაციის მიზანს წარმოადგენს საარჩევნო კანონმდებლობისა და საერთაშორისოდ დადგენილი დემოკრატიული სტანდარტების დაცვა საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების, საარჩევნო სუბიექტებისა და საჯარო მოხელეების მხრიდან. საარჩევნო პერიოდში საიას საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ დარღვევების გამოვლენით, არამედ, საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლოში საჩივრების წარდგენის გზით, ორგანიზაცია ცდილობს, ხელი შეუწყოს საარჩევნო კანონმდებლობის თანმიმდევრული და პროგრესული განმარტების დანერგვას, დამრღვევთა წინააღმდეგ სამართლებრივი ზომების გატარებას და დარღვევების შემდგომ პრევენციას.

საიას მიაჩნია, რომ არჩევნების მიმდინარეობის თაობაზე საზოგადოებისა და საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეებისთვის მიუკერძოებელი, კომპეტენტური, დროული ინფორმაციის მიწოდება ხელს შეუწყობს საარჩევნო გარემოს გამჭვირვალობისა და სამართლიანობის ხარისხის გაუმჯობესებას და იმ პოზიტიური ასპექტების გაღრმავებას, რომლებსაც ქვეყანამ წლების განმავლობაში მიაღწია.

ასოციაციას სწამს რა სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების პრინციპების უზენაესობის, თავის საქმიანობაში მუდმივად იცავს სრულ ნეიტრალიტეტს პოლიტიკური პროცესების მიმართ. წლების განმავლობაში საიამ თავისი საქმიანობით დაამტკიცა კანონის უზენაესობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების ერთგულება და სწრაფვა სამართლიანი საარჩევნო გარემოს შესაქმნელად.

ამ მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2010 წელს ხელმოწერით აღიარა ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების გლობალური ქსელის (GNDEM) ინიციატივით არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის შემუშავებული სადამკვირვებლო მონიტორინგის გლობალური პრინციპების დეკლარაცია და ქცევის კოდექსი.[1]

წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2017 წლის 1 ივნისიდან 2017 წლის 16 ნოემბრის ჩათვლით პერიოდს და მასში ყურადღება გამახვილებულია როგორც 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომ საჩივრების განხილვისა და შედეგების შეჯამების პროცედურებზე, აგრეთვე, 2017 წლის 12 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურზეც. ასევე, ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყებამდე განვითარებული მოვლენების თაობაზე, რომელიც ორგანიზაციის შესწავლის საგანი გახდა.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგის მისიის განხორციელება შესაძლებელი გახდა ევროკავშირის, შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველოს, “ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) და „ბაქოში ნორვეგიის სამეფოს საელჩოს“ დაფინანსებით.

II. სადამკვირვებლო მისიის მასშტაბი და მეთოდოლოგია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო პროცესების დაკვირვებას ცენტრალური და 8 რეგიონული ოფისის დახმარებით, თბილისსა და საქართველოს 9 რეგიონში – აჭარაში, გურიაში, იმერეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, სამცხე-ჯავახეთში და სამეგრელოში – 20-მდე მონიტორის მეშვეობით ახორციელებდა.

საიას გრძელვადიანი დამკვირვებლები სწავლობდნენ არჩევნებში ჩართული სახელმწიფო უწყებების (საარჩევნო ადმინისტრაცია, აუდიტის სამსახური, უწყებათაშორისი კომისია, სამართალდამცავი ორგანოები, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია და სასამართლო) საქმიანობას და აკვირდებოდნენ, თუ რამდენად გამჭვირვალედ, ობიექტურად და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვით მუშაობდნენ და იღებდნენ გადაწყვეტილებებს შესაბამისი უწყებები.

საიას მონიტორები სავარაუდო დარღვევებზე ინფორმაციას სხვადასხვა წყაროდან მოიპოვებდნენ, მათ შორის, საჯარო დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საშუალებით, ასევე,

[1] DECLARATION OF GLOBAL PRINCIPLES FOR NON-PARTISAN ELECTIONOBSERVATION AND MONITORINGBY CITIZEN ORGANIZATIONS and CODE OF CONDUCT FOR NON-PARTISAN CITIZEN ELECTION OBSERVERS AND MONITORS.

მასმედიით გავრცელებული ინფორმაციის მონიტორინგის გზით.[2] ხშირად მოქალაქეები, პოლიტიკური პარტიის წევრები და კანდიდატები საიას მონიტორებს თავად აწოდებდნენ ინფორმაციას მათ მიერ დაფიქსირებული დარღვევების შესახებ. ინფორმაციის მიღების შემდგომ საიას დამკვირვებლები თითოეულ შემთხვევას უშუალოდ განმცხადებლებთან და იმ პირებთან ამოწმებდნენ, ვისაც შესაძლოა საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჰქონოდა. საიას იურისტები, საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტულ პირებს შესაბამის სამართლებრივ დახმარებას უწევდნენ.

საია **2017 წლის 21 ოქტომბრის** ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღეს **დააკვირდა თბილისისა და საქართველოს 9 რეგიონის 46** საარჩევნო ოლქში, უბნებზე მივლენილი და მობილურ ჯგუფებში გადანაწილებული **510** დამკვირვებლის მეშვეობით. სადამკვირვებლო არეალის დაფარვა **150** მობილური და **340** უბნის დამკვირვებლით განხორციელდა.

სადამკვირვებლო გამოცდილების გათვალისწინებით, ორგანიზაციის განსაკუთრებული ყურადღება მიმართული იყო წინა არჩევნების დროს გამოკვეთილ პრობლემურ უბნებზე. აგრეთვე, დაკვირვება განხორციელდა ეროვნული უმცირესობებით და იძულებით გადაადგილებული პირებით კომპაქტურად დასახლებულ ოლქებში. წელს, პირველად, ორგანიზაციამ მონიტორინგი გაუწია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საარჩევნო უბნების ადაპტირების საკითხს. ასევე, პრიორიტეტული იყო ქალი კანდიდატების არჩევნებში მონაწილეობის კვლევა.[3]

კენჭისყრის დღეს, 21 ოქტომბერს, ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ დაფუძნებულ მედიაცენტრში საიამ 4 ბრიფინგი გამართა, ხოლო მომდევნო დღეს, 22 ოქტომბერს, კენჭისყრის დღე შეაფასა.[4]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 21 ოქტომბრის არჩევნების დღის შემდგომი პერიოდის დაკვირვებას **46 საოლქო საარჩევნო კომისიაში** ახორციელებდა, რა დროსაც საიას დამკვირვებლები ესწრებოდნენ საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საჩივრების განხილვის პროცესს და შედეგების შეჯამებას. დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ორგანიზაციის დამკვირვებლებმა შესაბამისი საჩივრებით საოლქო საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებს მიმართეს.

12 ნოემბერს საია **200-მდე** დამკვირვებლით აკვირდებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის კენჭისყრის დღეს ექვსივე საარჩევნო ოლქში. სტატიკური დამკვირვებლები განთავსდნენ ოზურგეთის, ხაშურის, ბორჯომისა და ყაზბეგის **154** საარჩევნო უბანზე და ყველა უბანი დაფარეს, ხოლო მარტვილისა და ქუთაისის ოლქებში ოლქისა და მობილური ჯგუფის მეშვეობით მოხდა პრობლემატურ უბნებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესების დაკვირვება.

მეორე ტურის კენჭისყრის დღეს, 12 ნოემბერს, ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ დაფუძნებულ მედიაცენტრში საიამ 3 ბრიფინგი გამართა. მომდევნო დღეს, 13 ნოემბერს, საიამ არჩევნების დღე საგანგებო პრესკონფერენციაზე შეაფასა.[5]

საიას დამკვირვებლებმა მეორე ტურის არჩევნების დღის შემდგომი პერიოდის დაკვირვება **6** საოლქო საარჩევნო კომისიაში განახორციელეს.

არჩევნების დღეს საიაში ფუნქციონირებდა ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს და ჟურნალისტებს შეეძლოთ საარჩევნო დარღვევების შესახებ ინფორმაციის შეტყობინება. საჭიროების შემთხვევაში, შემოსულ ინფორმაციაზე რეაგირებას ადგილზე გასვლით ახდენდა შესაბამისი მობილური ჯგუფი.

არჩევნების დღეს საიას ოპერატორებს საარჩევნო-ანალიტიკურ ბაზაში შეჰყავდათ საქართველოს ყველა რეგიონში წარგზავნილი დამკვირვებლების მიერ მიღებული ინფორმაცია, რომელსაც ბაზა, თავის მხრივ, აანალიზებდა. ასევე, არჩევნების დღეს მოქალაქეებს შეეძლოთ დარღვევების შესახებ ინფორმაცია განეთავსებინათ www.electionsportal.ge-ზე ონლაინ-ფორმის შევსებით, ან შეტყობინება გაეგზავნათ უფასო SMS-ის საშუალებით, ნომერზე – 90039.

[2] ცენტრალური და რეგიონული პრესა, ნაციონალური და რეგიონული მაუწყებლები, ინტერნეტ გამოცემები.

[3] https://gyla.ge/ge/post/archevnebi-2017-shemajamebeli-sainformacio-biuleteni-7#sthash.B8Abb2ur.nL2hqISG.dpbs

[4] https://gyla.ge/ge/post/saias-shefaseba-2017-tslis-adgilobrivi-tvitmmartvelobis-archevnebis-dghestan-dakavshirebit#sthash.4Dn2KiWU.dpbs

[5] https://gyla.ge/ge/post/archevnebi-2017-meore-turis-shemajamebeli-ganckhadeba#sthash.U9Ud9WoM.dpbs

III. ძირითადი მიგნებები

საკანონმდებლო ჩარჩო

- ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსი საკონსტიტუციო რეფორმის პროცესში ვერ შედგა. უმთავრეს წყალგამყოფად საარჩევნო სისტემის, კონკრეტულად, პროპორციული საარჩევნო სისტემის 2024 წლისთვის გადავადების საკითხი იქცა. ერთ მხარეს – მმართველი პარტია, ხოლო მეორე მხარეს – ყველა ოპოზიციური პარტია და არასამთავრობო ორგანიზაციები აღმოჩნდნენ. საიამ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის შენარჩუნება ძალაუფლების კონსოლიდაციისკენ მიმართულ პირდაპირ და გამიზნულ მცდელობად და ნაბიჯად შეაფასა, რაც საქართველოში დემოკრატიისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. დარჩა შთაბეჭდილება, რომ შერეული სისტემის შენარჩუნებით მმართველი გუნდი ცდილობდა, შეექმნა გარანტიები, რომლებიც ხელს შეუწყობდა 2020 წლის არჩევნებზე უპირატესობის მოპოვებაში.[6]
- კრიტიკის საგანი გახდა არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები ადგილობრივი თვითმმართველობისა და საარჩევნო კანონმდებლობაში. კერძოდ, 7 თვითმმართველ ქალაქს სტატუსი გაუუქმდა, რაც საზოგადოების ჩართულობის გარეშე განხორციელდა და 2014 წელს დაწყებული დეცენტრალიზაციის რეფორმის მიზნებისთვის უკან გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.[7]
- ცვლილებები განხორციელდა საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესში, რითაც გაიზარდა საარჩევნო ადმინისტრაციის პოლიტიზირების რისკები და განმტკიცდა მმართველი პარტიის დომინირებული მდგომარეობა საარჩევნო კომისიის ყველა დონეზე.[8]
- 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებისთვის კვლავ პრობლემად დარჩა ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის გაზრდის საკითხი.
- მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა ფაქტი, როდესაც საარჩევნო ადმინისტრაციამ დაუსაბუთებლად გამოიყენა საარჩევნო კოდექსის 91[1] მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში ჩარევისთვის. საიამ ცესკოს ამ მუხლის ალტერნატიული განმარტება შესთავაზა.[9]

საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო ადმინისტრაციამ განახორციელა არაერთი საინტერესო აქტივობა და გამოიჩინა ინოვაციური მიდგომები, რაც დადებით შეფასებას იმსახურებს. თუმცა, აღნიშნულის პარალელურად, მონიტორინგის განმავლობაში კვლავ გამოიკვეთა ისეთი საკითხები, რომლებიც დადებითად არ აისახება საარჩევნო გარემოზე.

- ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა იმ პირთა პროფესიული ნიშნით არჩევას საუბნო საარჩევნო კომისიებში, რომლებიც უახლოეს წარსულში წარმოადგენდნენ სხვადასხვა პარტიას საარჩევნო ადმინისტრაციაში.[10] მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტები არ წარმოადგენს კანონის პირდაპირ დარღვევას, საიას აზრით, ეჭვქვეშ აყენებს საარჩევნო ადმინისტრაციის ნდობის საკითხს. აგრეთვე, რიგ შემთხვევებში, საოლქო საარჩევნო კომისიამ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების პოზიციაზე ის პირები აირჩია, რომლებსაც გასული წლების არჩევნებში სხვადასხვა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობა ჰქონდათ დაკისრებული.[11]
- საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დასაბუთების დაბალი სტანდარტით ხასიათდებოდა. გამოიკვეთა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიები, ხშირ შემთხვევაში, დეტალურად არ სწავლობდნენ საქმეში წარმოდგენილ მასალებს და გადაწყვეტილებას მხოლოდ სავარაუდო დამრღვევის ახსნა-განმარტების საფუძველზე იღებდნენ.
- ვადა, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილია დამოუკიდებელი კანდიდატების მიმართ მხარდამჭერთა სიების შედგენასა და საარჩევნო ადმინისტრაციაში მათ წარდგენასთან

[6] https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebi-saqartvelos-demokratiuli-ganvitareba-safrtkheshia#sthash.JG1PvNTW.dpbs

[7] https://gyla.ge/files/news/2006/untitled%20folder/Legal%20analysis_geo.pdf

[8] https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebis-mosazrebebi-saqartvelos-organul-kanonshi-saqartvelos-saarchevno-kodeqsi-shesatan-cvlilebebze#sthash.FJYA0Do7.dpbs

[9] https://gyla.ge/ge/post/archevnebi-2017-sainformacio-biuleteni-6#sthash.H4jTSGkG.XNuXPZpi.dpbs

[10] მაგალითად, ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეული 612 წევრიდან 272 წევრი სხვადასხვა არჩევნებზე პარტიული სიით იყო წარდგენილი კომისიაში. ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეული 390 წევრიდან 177 წევრი სხვადასხვა არჩევნებზე პარტიული სიით იყო წარდგენილი კომისიაში.

[11] ახალქალაქი -10, ახალციხე - 9, კასპი - 7, გორი - 7, ქარელი - 25,ხაშური - 2, ადიგენი - 2, ასპინძა - 1, ჭიათურა - 2, წყალტუბო - 19, ვანი - 6, ზესტაფონი - 14, ტყიბული - 7, ბაღდათი - 9, ხონი - 5, ხარაგაული - 10, ქუთაისი - 82, მარნეული - 13, გარდაბანი - 6, ბოლნისი - 3, თეთრიწყარო - 2.

დაკავშირებით, არაგონივრულია და ვერ უზრუნველყოფს კანონის წინაშე საარჩევნო სუბიექტების თანასწორობის პრინციპს.

- არასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრებისა და გადაღების მიზნით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის აკრედიტაციის წესის შემოღება,[12] განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომაზე დასწრებას, არავითარ საჭიროებას ან აუცილებლობას არ წარმოადგენდა.

უწყებათაშორისი კომისია

- უწყებათაშორისი კომისია ერთ-ერთი მრავალკომპონენტიანი და მრავალრიცხოვანი უწყებაა საარჩევნო თემატიკაზე მომუშავე უწყებებს შორის, თუმცა, საგულისხმოა, რომ მის მიერ რეკომენდაციების გამოცემის შემდგომ დარღვევები მაინც ფიქსირდებოდა, რაც პრობლემურია და, გარკვეულწილად, განპირობებულია იმით, რომ კომისიას არ გააჩნია რეკომენდაციების პრაქტიკაში განხორციელების მონიტორინგის მექანიზმი.

საარჩევნო სუბიექტების დაფინანსება და სახელმწიფო აუდიტის სამსახური

- შემოწირულებებისა და ხარჯების ანალიზის შედეგად, ირკვევა, რომ შემოწირულებების 90% განხორციელებულია მმართველი პარტიის სასარგებლოდ[13] და გაწეული ხარჯების 70%-მდე მოდის მმართველ პარტიაზე.[14]
- იურიდიული პირების შემოწირულებების 99.87% მიღებული აქვს მმართველ პარტიას.[15] მათ მიერ ოპოზიციური პარტიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების სასარგებლოდ ძირითადად არაფულადი შემოწირულება ფიქსირდება.
- აღნიშნული გარემოებები დიდ უპირატესობას ანიჭებდა ხელისუფლებაში მყოფ გუნდს და კონკურენტული გარემოს არსებობას შეუძლებელს ხდიდა.
- ინფორმაციის მიუწოდებლობისა და დეკლარაციების წარუდგენლობის ფაქტებზე რეაგირების გარდა, ნაკლებად ეფექტური იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობა სხვადასხვა სავარაუდო დარღვევაზე რეაგირების კუთხით.[16]

წინასაარჩევნო პერიოდი

- აშკარა იყო მმართველი პარტიის დომინანტური მდგომარეობა მთელი ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის, ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსების მობილიზების კუთხით.[17]
- წინასაარჩევნო პროცესი, ძირითადად, მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. შესამჩნევი იყო პოლიტიკური პარტიების აქტიურობა. საარჩევნო სუბიექტებმა შეძლეს საკუთარი პროგრამებისა და დაპირებების გაცნობა ამომრჩევლისთვის, მათთან უშუალო შეხვედრებისა თუ წინასაარჩევნო მასშტაბური აქციებისა და ღონისძიებების მეშვეობით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ არჩევნებზე კვლავ ნაკლებად კეთდებოდა აქცენტი კონკრეტული პარტიების თუ კანდიდატების პროგრამებზე. გამონაკლისს წარმოადგენდა თბილისი. განსაკუთრებით აქტიური წინასაარჩევნო კამპანია თბილისის მერობის კანდიდატებს შორის წარიმართა.[18]
- ძირითადად, პრობლემები დაფიქსირდა ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და სამეგრელოს რეგიონებში, სადაც ადგილი ჰქონდა როგორც შიდაპარტიულ დაპირისპირებებს, ისე სავარაუდო ზეწოლის ფაქტებს. ამასთან, შესამჩნევი იყო მძაფრი კონკურენტული გარემო.
- წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყებამდე, განხორციელდა კონკრეტული აქტივობები (ძირითადად, საქველმოქმედო პროექტები, უფასო აქციები), რაც ტოვებდა აღქმას, რომ აღნიშნული აქტივობები, სავარაუდოდ, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით ამომრჩევლის გულის მოგებას ისახავდა მიზნად.

---

[12] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება 08.08. 2017, №27/2017.

[13] 2017 წლის 1-ლი ივლისიდან 1-ლ ნოემბრამდე, 4-თვიან პერიოდში, ჯამში განხორციელებული 15,333,951.92 ლარის შემოწირულობიდან 90% - 13,814,532.60 ლარი - მიღებული აქვს „ქართულ ოცნებას."

[14] 2017 წლის 22 აგვისტოდან 21 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში **16,861,130.00 ლარი** შეადგინა, მათგან ყველაზე დიდი ხარჯი – **11, 651, 146.00 ლარი –** გაწეული აქვს მმართველ პარტიას.

[15] 2017 ივლისიდან 2017 წლის ნოემბრის პერიოდში იურიდიული პირების მიერ განხორციელდა **4,720,654.00** ლარის შემოწირულობა. ჯამში **4,714,563.00** ლარი.

[16] იხ. წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება და სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

[17] https://gyla.ge/ge/post/2017-tslis-adgilobrivi-tvitmmartvelobis-archevnebi-tsinasaarchevno-garemos-shefaseba#sthash.yDLHAW4x.dpbs

[18] https://gyla.ge/ge/post/2017-tslis-adgilobrivi-tvitmmartvelobis-archevnebi-tsinasaarchevno-garemos-shefaseba#sthash.yDLHAW4x.dpbs

- წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირდა საბიუჯეტო დაწესებულებებში დასაქმებული ადამიანების რესურსის გამოყენების ფაქტები მმართველი პარტიის სასარგებლოდ. კერძოდ, ადგილი ჰქონდა საჯარო სკოლების, საბავშვო ბაღების პედაგოგების, ააიპ-ების თანამშრომლების ჯგუფურ დასწრებას მმართველი პარტიის წინასაარჩევნო შეხვედრებზე. აღნიშნული ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ასეთი დასწრებები ატარებდა ორგანიზებულ და სავალდებულო ხასიათს, რაც ცალკეულ შემთხვევებში დასტურდებოდა.
- დაფიქსირდა შემთხვევები, რომლებმაც საგანმანათლებლო პროცესების პოლიტიზირების რისკები შექმნა.[19]
- აქტუალური გახდა სოციალური ქსელებით კონტრაგიტაცია, რაც პერმანენტულ ხასიათს ატარებდა და, დასპონსორებული გვერდების მეშვეობით, სხვადასხვა სუბიექტის წინააღმდეგ ხორციელდებოდა.
- მედიაგარემო იყო პლურალისტური, თუმცა – პოლარიზებული. არ გამოვლენილა ჟურნალისტებზე თავდასხმის ან ზეწოლის ფაქტები.[20] ტელევიზიების უმეტესობამ აქტიურად გააშუქა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, მათ შორის, ყველა ნაციონალურ ტელეარხზე იყო დებატები. მოსახლეობას შესაძლებლობა ჰქონდა, საარჩევნო ინფორმაციას სხვადასხვა მაუწყებლის მეშვეობით გასცნობოდა. თუმცა, თავად ტელევიზიები ვერ უზრუნველყოფდნენ საკუთარ გადაცემებში ყველა კანდიდატის მიუკერძოებელ გაშუქებას.[21] პრობლემას წარმოადგენდა საარჩევნო პროგრამების სიღრმისეული შეფასებისა და ანალიზის ნაკლებობა.[22] ამასთან, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები წინასაარჩევნო პერიოდში საუბრობდნენ მათთვის მედიასივრცის შეზღუდვაზე.[23]
- დაფიქსირდა ფიზიკური დაპირისპირებისა და, ასევე, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა დაკავების ფაქტები.[24]
- ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის ზოგიერთი კანდიდატი საკუთარ კანდიდატურას ზეწოლის ან გადაბირების შედეგად ხსნიდა, აგრეთვე, რიგ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა ზეწოლას ამომრჩევლებზე, რათა მათ მხარი მმართველი პარტიისთვის დაეჭირათ.[25]
- აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სავარაუდო ზეწოლის ფაქტებზე გამოძიების დაწყების მიუხედავად, რიგი დარღვევები სამართლებრივი რეაგირების გარეშე დარჩა.[26]
- დაფიქსირდა სააგიტაციო მასალების გავრცელებაში ხელშეშლის არაერთი ფაქტი, მათ შორის, სააგიტაციო პლაკატების ჩამოხევა, გადაკვრა, დაზიანება. ასევე, ადგილი ჰქონდა წინასაარჩევნო შეხვედრების ხელშეშლის ფაქტებსაც. კონტრაქციებსა და საარჩევნო მასალების დაზიანებაზე საუბრობდა მმართველი პარტიაც.
- სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები ამ არჩევნებზე, წინა წლებთან შედარებით, სიხშირით არ გამოირჩეოდა. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგის დროს გამოვლინდა სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების 1 ფაქტი.

არჩევნების დღე

პირველი ტური

- კენჭისყრის პროცესი მთელი ქვეყნის მასშტაბით, ძირითადად, მშვიდ ვითარებაში წარიმართა. მართალია, არ გამოვლენილა ძალადობის შემთხვევები, თუმცა, დაფიქსირდა რიგი დარღვევე-

[19] ადგილი ჰქონდა სკოლაში გაკვეთილის ჩატარებას პარტიული სიმბოლიკის გამოყენებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო სისტემაში დასაქმებული პირების – რესურსცენტრის ხელმძღვანელების – მხრიდან მმართველი პარტიის კანდიდატების სასარგებლო აგიტაციას, ასევე, საბავშვო ბაღების თანამშრომლების ორგანიზებულ ჩართვას წინასაარჩევნო პროცესებში (მმართველი პარტიის კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრებზე დასწრებისა და მათ სასარგებლოდ „მხარდამჭერთა" მობილიზების კუთხით).

[20] https://gyla.ge/ge/post/2017-tslis-adgilobrivi-tvitmmartvelobis-archevnebi-tsinasaarchevno-garemos-shefaseba

[21] https://gyla.ge/ge/post/2017-tslis-adgilobrivi-tvitmmartvelobis-archevnebi-tsinasaarchevno-garemos-shefaseba#sthash.mjTBRJRa.dpbs

[22] http://qartia.ge/media/1000907/2017/12/13/badd1825c38e25633a5887472c328828.pdf ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით განხორციელებული საარჩევნო მედიამონიტორინგის საბოლოო ანგარიში.

[23] http://droa.ge/?p=11526

[24] https://gyla.ge/ge/post/tsinasaarchevno-garemos-shefaseba#sthash.YswD4OlE.dpbs

[25] https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebi-tetritsyaros-saarchevno-olqshi-ganvitarebul-movlenebs-ekhmaurebian#sthash.oevHMorX.dpbs

[26] მაგალითად, თბილისის ბაგა-ბაღებში დირექტორების მიერ „ქართული ოცნების" მხარდამჭერთა სიების მოგროვების ფაქტზე მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაციით სამართალდამცავი უწყებები არ დაინტერესებულან.

ბი, რომლებიც სცდებოდა პროცედურული ხასიათის პრობლემებს. არაერთ უბანზე დარღვევებით წარიმართა ხმის დათვლის პროცესი.

- დაფიქსირდა ფაქტები, როდესაც საოლქო კომისიამ არ უზრუნველყო უბნებიდან შემოსული შემაჯამებელი ოქმების ხელმისაწვდომობა დამკვირვებლებისთვის.
- კენჭისყრის დღეს კარგად ორგანიზებულ და მასშტაბურ ხასიათს ატარებდა მმართველი პარტიის მხრიდან ამომრჩევლის მონაცემების შეგროვება და ამომრჩეველთა მობილიზება ხმის მიცემის მიზნით, განსაკუთრებით თბილისში, რაც საიას მიერ ამომრჩევლის ნების თავისუფლად გამოვლენაზე კონტროლად შეფასდა.
- პოლიტიკური სუბიექტების ინტერესს წარმოადგენდა არა უბნებზე მისული ამომრჩევლის ზოგადი რაოდენობის, არამედ მათი ვინაობის დადგენა და არმისული ამომრჩევლის იდენტიფიცირება.
- საიას შეფასებით, საოლქო საარჩევნო კომისიების განთავსება და სივრცითი მოწყობა არ ქმნიდა სათანადო პირობებს პროცესებზე სრულყოფილი დაკვირვებისთვის, რაც ხელს უშლიდა საოლქო კომისიებში მიმდინარე საარჩევნო პროცესების გამჭვირვალედ წარმართვას. ინფრასტრუქტურული და სივრცითი მოწყობის პრობლემები ჰქონდა სოფლებში მდებარე რიგ საარჩევნო უბნებსაც.
- უბნების ნაწილი არ იყო ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, მათ შორის ისეთი უბნებიც, რომლებიც ცესკოს ვებგვერდზე მითითებული იყო, როგორც შშმ პირთა საჭიროებებზე მორგებული უბნები.[27]

არჩევნების მეორე ტური

- მერის არჩევნების მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდი დაძაბულობით ხასიათდებოდა ოზურგეთში, სადაც ერთმანეთს მმართველი გუნდისა და საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი დამოუკიდებელი კანდიდატი დაუპირისპირდნენ.
- „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ მეორე ტურში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. არჩევნებში მონაწილეობის სურვილის არქონის მიუხედავად, ორივე ოლქში პარტიის მერობის კანდიდატები საარჩევნო ბიულეტენზე მითითებულნი იყვნენ. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ქუთაისისა და მარტვილის ოლქებში არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს შორის შეჯიბრი, ფაქტობრივად, არ გამართულა.
- კენჭისყრის პროცესი, ძირითადად, მშვიდ ვითარებაში წარიმართა. გამონაკლისი იყო ხაშური, სადაც დღის ბოლოს ინციდენტი მოხდა პარტია „ქართული ოცნებისა“ და დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდამჭერებს შორის.[28] სიტუაცია მალევე პოლიციის ჩარევით განიმუხტა.
- ოზურგეთის რამდენიმე უბანზე დაფიქსირდა იმ ბიულეტენების ნამდვილად მიჩნევის პრობლემა, რომლებშიც ამომრჩეველს ნათლად ჰქონდა გაკეთებული არჩევანი. ამ კონტექსტში განსაკუთრებით აღსანიშნავია ნასაკირალის უბანი (ოზურგეთის №59 უბანი), სადაც არეულობა იყო ხმის დათვლის პროცესში. განვითარებული მოვლენები ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ მას შემდეგ, რაც გამოიკვეთა უბანზე დამოუკიდებელი კანდიდატის სასარგებლო შედეგები, ადგილი ჰქონდა სიტუაციის განზრახ არევის და შედეგების უსაფუძვლოდ გაბათილების მცდელობას.
- კენჭისყრის დღეს მთელ რიგ უბნებზე კვლავ გაგრძელდა მანკიერი პრაქტიკა, როდესაც საარჩევნო უბნების გარეთ სიებით იდგნენ დაუდგენელი პირები (სავარაუდოდ, პარტიული კოორდინატორები და აქტივისტები), რომლებიც აღრიცხავდნენ უბნებზე მისულ ამომრჩეველს. ასევე, მთელი დღის მანძილზე რიგ საარჩევნო უბნებზე სამარშრუტო ტაქსებითა და მანქანებით ხდებოდა ამომრჩეველთა მიყვანა.

[27] https://docs.google.com/viewerng/viewer?url=https://gyla.ge/files/gallery/logoebi/%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98+-+final.pdf

[28] 12 ნოემბერს, დღის ბოლოს, დაპირისპირება მოხდა ხაშურში მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის რამაზ ნოზაძის და „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის მხარდამჭერებს შორის. საიას ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებმა, რომლებიც მანქანებით გადაადგილდებოდნენ ქალაქში, მაშხალები ესროლეს რამაზ ნოზაძის ოფისს. აღნიშნული ფაქტის შემდეგ ოფისიდან გამოვიდნენ რამაზ ნოზაძის მხარდამჭერები, ადგილი ჰქონდა ფიზიკურ დაპირისპირებას, რა დროსაც მსუბუქად დაშავდნენ მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდამჭერები, სულ 3 ადამიანი, მათ შორის, 1 ახალგაზრდა ქალი.
დამოუკიდებელი კანდიდატის შტაბის ინფორმაციით, ინციდენტში „ქართული ოცნების“ მხრიდან მონაწილეობდა ხაშურის თვითმმართველობაში დასაქმებული რამდენიმე საჯარო მოხელე.
ადგილზე დროულად მივიდა პოლიცია, რომელმაც სიტუაცია განმუხტა და მხარეები გააშველა. პოლიციამ ნასვამ მდგომარეობაში ყოფნაზე შეამოწმა დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდამჭერები და ერთ მათგანს სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა ნასვამ მდგომარეობაში ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის გამო. თუმცა, მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდამჭერების განცხადებით, პოლიციას ნასვამობაზე არ შეუმოწმებია ინცინდენტში მონაწილე „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები.

არჩევნების შემდგომი პერიოდი

- არჩევნების დღის შემდგომი პერიოდის საჩივრები, ძირითადად, საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში მთელ რიგ უზუსტობებს ეხებოდა. კერძოდ, ამ არჩევნებზე კვლავ პრობლემად დარჩა შემაჯამებელი ოქმების არაერთგვაროვანი შევსება, ხელმოწერებისა და კომისიის ბეჭდების არარსებობა, დისბალანსი (ნაკლებობა ან მეტობა), შესწორების ოქმების კანონმდებლობის დარღვევით შედგენა, რა დროსაც არ ხდებოდა ადმინისტრაციული წარმოების სრულად ჩატარება და საქმესთან დაკავშირებული გარემოებების სრულად გამოკვლევა.
- შემაჯამებელი ოქმების მნიშვნელოვანი ნაწილი შესწორებული იყო და კენჭისყრის დღის მომდევნო დღეს დგებოდა შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმები საუბნო საარჩევნო კომისიის შესაბამისი წევრის მონაწილეობის გარეშე.[29]
- უხეში დარღვევების ფონზე წარიმართა ხმის დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცესი თიანეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში. სასამართლომ დაადგინა, რომ თიანეთის ოლქმა დაარღვია როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, აგრეთვე, საარჩევნო კოდექსით დადგენილი მოთხოვნები – განცხადება/საჩივრის წარდგენის წესისა და აქტის გამოცემისას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების სრულყოფილად გამოკვლევასთან დაკავშირებით. სასამართლო დავის შედეგად, თიანეთის ოლქში მერის არჩევნების შედეგები შეიცვალა – ოპოზიციური პარტიის „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ მერობის კანდიდატმა[30] მმართველი პარტიის მერობის კანდიდატს არჩევნები მოუგო და თიანეთის მერი გახდა.[31]
- მიუხედავად კანონმდებლობის დარღვევების დადასტურებისა, საარჩევნო ადმინისტრაციები და სასამართლოები, იმ მოტივით, რომ დარღვევას არსებითი გავლენა არ მოუხდენია შედეგებზე, არ აკმაყოფილებდნენ საჩივრებს შემაჯამებელი ოქმების ბათილობისა და უბნების შედეგების გადათვლის შესახებ. საარჩევნო ადმინისტრაციები, ძირითადად, მხოლოდ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებით შემოიფარგლებოდნენ.

IV. პოლიტიკური კონტექსტი

წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური გარემო პოლარიზებული იყო. პოლარიზაციის გაღრმავებას ხელი შეუწყო საარჩევნო სისტემაზე მმართველ პარტიასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის შეუთანხმებლობამაც. „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებით, პროპორციული საარჩევნო სისტემის ამოქმედება 2024 წლისთვის გადავადდა, რამაც პოლიტიკურ და სამოქალაქო წრეებში უკმაყოფილება გამოიწვია.

ასევე, კრიტიკის საგანი გახდა არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები ადგილობრივი თვითმმართველობისა და საარჩევნო კანონმდებლობაში, კერძოდ, 7 თვითმმართველი ქალაქის სტატუსის გაუქმება, რაც საზოგადოების ჩართულობის გარეშე განხორციელდა და 2014 წელს დაწყებული დეცენტრალიზაციის რეფორმის მიზნებისთვის უკან გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა; აგრეთვე – ცვლილებები საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესში, რითაც გაიზარდა საარჩევნო ადმინისტრაციის პოლიტიზირების რისკები და განმტკიცდა მმართველი პარტიის დომინირებული მდგომარეობა საარჩევნო კომისიის ყველა დონეზე.[32]

2017 წლის 27 ივნისს საქართველოს პრეზიდენტმა არჩევნების თარიღი გამოაცხადა,[33] კერძოდ, არჩევნების თარიღად ოქტომბრის მესამე კვირის ბოლო დაასახელა. პრეზიდენტმა არჩევნების თარიღის გამოცხადება 2016 წელს მომხდარი გაუგებრობის თავიდან აცილებითა და საარჩევნო გარემოს განჭვრეტადობით ახსნა, რათა პოლიტიკურ პარტიებს 4 თვით ადრე ჰქონოდათ ინფორმაცია არჩევნების დღის შესახებ. საბოლოოდ, წინასაარჩევნო პერიოდი ოფიციალურად 22 აგვისტოს დაიწყო.[34]

---

[29] აღნიშნულის დამკვიდრებას ხელი შეუწყო მიმდინარე წელს საქართველოს საარჩევნო კოდექსში 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის დ[1] პუნქტის დამატებამ, რომლის თანახმადაც, საუბნო საარჩევნო კომისიას მიეცა უფლება, შეედგინა კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმი შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ახსნა-განმარტებების ან/და სხვა სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების არსებობისას.

[30] მერობის კანდიდატის „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსათვის“ მიმართვის საფუძველზე, საია აღნიშნულ დავაში ჩაერთო და კანდიდატის ინტერესები სასამართლოში წარმოადგინა.

[31] https://gyla.ge/ge/post/sadamkvirveblo-organizaciebi-moutsodeben-samartaldamcav-organoebs-tianetis-saolqo-da-20-saubno-saarchevno-komisiis-qmedebebit-dainteresdnen#sthash.I1irnvse.dpbs

[32] https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebis-mosazrebebi-saqartvelos-organul-kanonshi-saqartvelos-saarchevno-kodeqsi-shesatan-cvlilebebze#sthash.FJYA0Do7.dpbs

[33] http://georgianpress.ge/com/news/view/26213?lang=1

[34] http://cesko.ge/geo/list/show/111050-saqartvelos-prezidentis-gankarguleba-adgilobrivi-tvitmmartvelobis-archevnebis-danishvnis-shesakheb

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურმა გაერთიანებებმა საარჩევნო სამზადისი გაცილებით ადრე, მაისიდან დაიწყეს, რაც ამომრჩევლებთან აქტიურ შეხვედრებსა და კანდიდატების დასახელებაში გამოიხატა.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების შედეგად, კანონმდებლობაში შესული ცვლილებების საფუძველზე, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ორი მნიშვნელოვანი ცვლილება ამოქმედდა. განსხვავებით 2014 წლის არჩევნებისგან, 2017 წლის არჩევნებზე საინიციატივო ჯგუფებმა მერის არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეძლეს.[35] ამ არჩევნებზე გაუქმდა კანდიდატებისთვის არსებული ვალდებულება არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წლის განმავლობაში საქართველოში მუდმივად ცხოვრებასთან დაკავშირებით. [36]

წინასაარჩევნო კამპანია ორი თვის განმავლობაში გრძელდებოდა. წინასაარჩევნო პროცესები, ძირითადად, მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა და პოლიტიკური პარტიების აქტიურობა შესამჩნევი იყო. საარჩევნო სუბიექტებმა შეძლეს საკუთარი პროგრამებისა და დაპირებების ამომრჩევლისთვის გაცნობა, მათთან უშუალოდ შეხვედრებისა თუ წინასაარჩევნო მასშტაბური აქციებისა და ღონისძიებების მეშვეობით. განსაკუთრებით აქტიური წინასაარჩევნო კამპანია წარიმართა თბილისის მერობის კანდიდატებს შორის.[37] საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო პროგრამების შედგენისას აქცენტი სწორედ თბილისის მერობის კანდიდატების ხედვებზე გაკეთდა.[38]

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე პროგრამების შედგენისას ყურადღება ძირითადად მხოლოდ თბილისის მერობის კანდიდატების ხედვებზე იყო გამახვილებული და ის არ მოიცავდა საქართველოს მთელ ტერიტორიას.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად იმატა დისკრიმინაციულმა, ქსენოფობიურმა და სიძულვილის ენაზე დაფუძნებულმა დისკუსიებმა. გარკვეული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ჯგუფები საქართველოში მყოფ უცხოელთა წინააღმდეგ გამოვიდნენ და გამართეს აქცია – სახელწოდებით „ქართული მარში“, რომლის დროსაც ხელისუფლებას საქართველოში მყოფ უცხოელთა ბინადრობისა და მოქალაქეობის მიღების წესების გამკაცრება მოსთხოვეს. მოგვიანებით, ამ აქციის საპირისპიროდ ორი აქცია მოეწყო.[39]

არჩევნებში მონაწილეობდა 22 პოლიტიკური პარტია, 5 საარჩევნო ბლოკი, აგრეთვე, საინიციატივო ჯგუფების 11 მერობის და 190 საკრებულოს მაჟორიტარობის კანდიდატი.[40]

არჩეული 64 მერიდან 62 „ქართული ოცნების“ წარმომადგენელია, ხოლო 64 არჩეული მერიდან მხოლოდ ერთია ქალი.[41]

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებს უნდობლობა გამოუცხადეს ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა.[42] მათ არჩევნების შედეგები საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლოებში გაასაჩივრეს. მათი განცხადებით, მმართველმა პარტიამ არჩევნები გააყალბა. პოლიტიკური პარტიები ასევე აპირებენ, მიმართონ ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოს და სახელმწიფოს მიერ საარჩევნო უფლების დარღვევის აღიარება მოითხოვონ.

[35] 2014 წელს საიამ, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებასთან“ ერთად, საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებისთვის მერობისა და გამგებლობის არჩევნებში მონაწილეობის უფლების შეზღუდვა. 2016 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა, რის საფუძველზეც, თანმდევი ცვლილებები განხორციელდა საარჩევნო კანონმდებლობაში.

[36] საიას დახმარებით, 2014 წელს საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრდა საარჩევნო კოდექსის 167-ე მუხლიც, რომელიც მერობის კანდიდატებს არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წლის განმავლობაში საქართველოში მუდმივად ცხოვრებას ავალდებულებდა. 2017 წლის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეს ჩანაწერი ანტიკონსტიტუციურად გამოცხადდა, რის შედეგადაც თანმდევი ცვლილებები საარჩევნო კოდექსშიც განხორციელდა.

[37] https://gyla.ge/ge/post/2017-tslis-adgilobrivi-tvitmmartvelobis-archevnebi-tsinasaarchevno-garemos-shefaseba#sthash.yDLHAW4x.dpbs

[38] http://partiebi.ge/2017/

[39] პირველი აქცია ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციამ, ხოლო მეორე – პოლიტიკურმა გაერთიანება „ევროპულმა საქართველომ“ მოაწყო.

[40] აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურმა პარტიამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნების პირველი ტურის წინასწარი შედეგების გამოცხადების შემდეგ ქუთაისის თვითმმართველ ქალაქში გასამართი არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

[41] https://gyla.ge/ge/post/qalta-chartuloba-politikur-procesebshi#sthash.iSdHOJEU.dpbs

[42] საარჩევნო ბლოკი - დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა - დემოკრატიული მოძრაობა, თავისუფალი საქართველო; პოლიტიკური გაერთიანება „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია; საარჩევნო ბლოკი „გიორგი ვაშაძე - ერთობა ახალი საქართველო“ საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა - ევროპული საქართველო“, პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმი“, „შენების მოძრაობა,“ პოლიტიკური გაერთიანება „ახალი ქრისტიან დემოკრატები“, პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“.

V. მედიაგარემო

2016 წლის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ სამი მსხვილი არხი გაერთიანდებოდა. „იმედმა“ ბიძინა ივანიშვილის ოჯახის კუთვნილი ტელევიზია GDS და, ასევე, ტელეკომპანია „მაესტრო“ შეიერთა. შესაბამისად, სამივე ტელევიზია ერთი მფლობელის ხელში გადავიდა.[43] აღნიშნულ ცვლილებას უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა საზოგადოებისა და სხვადასხვა ორგანიზაციის მხრიდან. აღნიშნული ტელევიზიები მიჩნეულნი იყვნენ, როგორც მმართველი გუნდის ინტერესების გამტარებელი მაუწყებლები, რომელთა გაერთიანებაც ამ კუთხით არსებულ ეჭვებს კიდევ უფრო აღრმავებდა.[44] ცვლილებები ამ არხების სარედაქციო პოლიტიკასაც დაეტყო.[45] 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მაესტროზე პოლიტიკური თოქშოუები დაიხურა და საინფორმაციო გამოშვებების სიხშირე შემცირდა.[46]

2017 წლის დასაწყისში საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის პოსტზე ვასილ მაღლაფერიძე აირჩიეს, რომელიც მანამდე ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის ოჯახის წევრის ტელეკომპანიაში – GDS-ში მაღალ თანამდებობას იკავებდა.[47]

მაუწყებლის ახალი გენერალური დირექტორის არჩევის შემდეგ კიდევ უფრო გაუმჭვირვალი გახდა საკადრო პოლიტიკა. ახალი თანამშრომლების დიდი ნაწილი ტელეკომპანია „GDS“-დან იყო გადაყვანილი. საიას ინფორმაციით, საკადრო გადაწყვეტილებები არ მიღებულა კონკურსის და მკაფიო კრიტერიუმების საფუძველზე.[48]

აგრეთვე, ახალი გენერალური დირექტორის არჩევიდან მოკლე დროში ცნობილი გახდა მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში ინიცირებული ცვლილებების შესახებ, რომელიც მედიის მიმართულებით მომუშავე არაერთი ორგანიზაციისა და ექსპერტის, მათ შორის საიას, მიერ უარყოფითად შეფასდა.[49]

ივლისის თვეში დაიხურა საზოგადოებრივი მაუწყებლისა და რადიო „თავისუფლების“ ერთობლივი პროექტები „წითელი ზონა“ და „interVIEW“. გავრცელებული ინფორმაციით, გოგი გვახარიასა და სალომე ასათიანის საავტორო გადაცემების დახურვის მიზეზი გახდა არხზე მიმდინარე რეორგანიზაცია. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ორივე გადაცემა გამოირჩეოდა პოლიტიკურად და სოციალურად აქტუალური საკითხების სიღრმისეული გაშუქებით და სიმწვავით, საზოგადოებაში გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ აღნიშნული გადაცემების დახურვა ადგილობრივი თვითმმართველობის წინასაარჩევნო პროცესს უკავშირდებოდა. დასახელებული მიზეზი კი იყო დაუსაბუთებელი და მიუთითებდა სწორედ პოლიტიკური შინაარსის გადაცემებზე მენეჯმენტის მხრიდან მაქსიმალური და პირდაპირი კონტროლის მოპოვების ინტერესზე.[50]

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ 2017 წლის 3 მარტს მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც **„რუსთავი 2“-ის** საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილების აღსრულება დროებით შეაჩერა, 7 მარტის გადაწყვეტილებით კი, დროებითი ზომის გამოყენება უვადოდ გაახანგრძლივა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ ტელეკომპანიას შესაძლებლობა მისცა, მაუწყებლობა ჩვეულ რეჟიმში გაეგრძელებინა.[51]

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წელს, არაწინასაარჩევნო პერიოდში, პოლიტიკური პარტიებისათვის პოლიტიკური რეკლამის მაუწყებლის ეთერში გაშვება აკრძალა, რაც, საიას მოსაზრებით, გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას და არაწინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური ძალებისთვის მედია სივრცის

[43] https://jam-news.net/?p=11554&lang=ka

[44] https://jam-news.net/?p=11554&lang=ka

[45] https://jam-news.net/?p=11554&lang=ka

[46] https://jam-news.net/?p=11554&lang=ka

[47] https://jam-news.net/?p=11554&lang=ka

[48] https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebi-sazogadoebriv-mautsyebelshi-mimdinare-movlenebis-parlamentshi-gankhilvas-itkhoven#sthash.k20MipQv.QBwV98QU.dpbs

[49] https://gyla.ge/ge/post/saia-mautsyeblobis-shesakheb-kanonshi-mosalodneli-cvlilebebs-uaryofitad-afasebs#sthash.uSrf2OjI.dpbs
კანონპროექტი აერთიანებდა არაერთ ინიციატივას, რომელიც არ იყო თავსებადი საზოგადოებრივი მაუწყებლის კანონით გარანტირებულ სტატუსსა და ფუნქციასთან, არსებითად მცირდებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მოქმედი სტანდარტი, იზრდებოდა კორუფციული გარიგებების დადების რისკი, ისევე, როგორც დაუსაბუთებლად მცირდებოდა სამეურვეო საბჭოს, როგორც მაკონტროლებელი ორგანოს უფლებამოსილებები.

[50] https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebi-sazogadoebriv-mautsyebelze-tsiteli-zonasa-da-interview-s-dakhurvis-faqtebs-ekhmianebian#sthash.dwQlXMNM.dpbs
საიამ და კიდევ 4-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ განცხადება გაავრცელეს და საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტისგან გადაცემების შენარჩუნება მოითხოვეს, რათა დაცული ყოფილიყო პოლიტიკური ნეიტრალიტეტის, დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობის, პლურალიზმის პრინციპები და პრიორიტეტები.

[51] http://www.civil.ge/geo/article.php?id=31082

შეზღუდვას წარმოადგენდა,[52] მითუმეტეს მაშინ, როდესაც ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ ძალას ნებისმიერ დროს შეუძლია, სოციალური რეკლამის სტატუსით, საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე, მაუწყებლის ეთერში განათავსოს რეკლამა, რომელიც მიმართული იქნება საკუთარი იდეების პოპულარიზაციისა და საზოგადოების გულის მოგებისკენ. აღნიშნული მოცემულობა კი, თავის მხრივ, ხელს არ უწყობს თანაბარ წვდომას მედია სივრცეზე და არ ქმნის თანაბარ შესაძლებლობებს პოლიტიკური პარტიებისთვის. შესაბამისად, კომისია თანმიმდევრული არ იყო საკუთარ ქმედებებსა და განმარტებებში, ვინაიდან წლების მანძილზე იგი აღნიშნულ საკითხს განსხვავებულად განმარტავდა.[53]

რაც შეეხება უშუალოდ წინასაარჩევნო პერიოდს, მედიაგარემო წინასაარჩევნო პერიოდში მრავალფეროვანი იყო. არ გამოვლენილა ჟურნალისტებზე თავდასხმის ან ზეწოლის ფაქტები. მაუწყებელთა პოლიტიზირება კვლავ პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა.[54] მიუხედავად ამისა, ტელევიზიების უმეტესობამ აქტიურად გააშუქა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, მათ შორის, ყველა ნაციონალურ ტელეარხზე იყო დებატები. მოსახლეობას ჰქონდა შესაძლებლობა, საარჩევნო საკითხებს სხვადასხვა მაუწყებლის მეშვეობით გასცნობოდა, თუმცა, თავად ტელევიზიები საკუთარ გადაცემებში ყველა კანდიდატის მიუკერძოებელ გაშუქებას ვერ უზრუნველყოფდნენ.[55] პრობლემურ მხარეს წარმოადგენდა საარჩევნო პროგრამების სიღრმისეული შეფასებისა და ანალიზის ნაკლებობა.[56]

ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები წინასაარჩევნო პერიოდში საუბრობდნენ მათთვის მედიასივრცის შეზღუდვაზე.[57]

VI. საკანონმდებლო ჩარჩო

საკონსტიტუციო რეფორმა

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლებამ კომპლექსური საკონსტიტუციო რეფორმის განხორციელების თაობაზე განაცხადა, რათა შექმნილიყო გაუმჯობესებული დოკუმენტი ფართო პოლიტიკური კონსენსუსის საფუძველზე. ამასთან, „ქართული ოცნება“ საზოგადოებას დაჰპირდა, რომ 2020 წლისთვის საარჩევნო სისტემა შეიცვლებოდა და უფრო სამართლიანი გახდებოდა.[58]

საია, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრის სტატუსით, აქტიურად ჩაერთო საარჩევნო სისტემის რეფორმის ირგვლივ მიმდინარე დისკუსიებში. საარჩევნო სისტემა, პრაქტიკულად, ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა როგორც სამოქალაქო საზოგადოების, ისე ყველა პოლიტიკური პარტიისთვის.[59] აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო რეფორმის დაწყებამდე საარჩევნო სისტემის ირგვლივ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ოპოზიციურ პარტიებს შორის უკვე არსებობდა კონსენსუსი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გაუქმებისა და პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, რასაც წლების მანძილზე საერთაშორისო ორგანიზაციებიც უჭერდნენ მხარს.

საკონსტიტუციო კომისიის ოთხთვიანი საქმიანობის შედეგად, *მმართველმა გუნდმა საარჩევნო სისტემის ახალი წესი წარმოადგინა*. პროექტით შემოთავაზებული იყო შერეული საარჩევნო სისტემის გაუქმება და პარლამენტის არჩევა პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, რაც ნამდვილად მისასალმებელ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა. *თუმცა, სადავო გახდა მანდატების განაწილების წესი:* კონსტიტუციის პროექტი ითვალისწინებდა არჩევნებში პირველ ადგილზე გასული პარტიისთვის ულიმიტო ბონუსის შემოღებას, რომლის მიხედვითაც, ყველა გაუნაწილებელი მანდატი ერთ პარტიას მიეკუთვნებოდა. საარჩევნო სისტემის ეს ასპექტი უსამართლო იყო და მნიშვნელოვნად აკნინებდა მაჟორიტარული სისტემის გაუქმებით მიღებულ პოზიტიურ შედეგს. ამასთან, საარჩევნო ბლოკები უქმ-

[52] http://www.gncc.ge/ge/legal-acts/commission/solutions/2017-392-18.page; 2017 წლის მარტსა და აპრილში სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში გავიდა პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველოს“ 2 ვიდეორგოლი. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მტკიცებით, ვიდეორგოლები პოლიტიკური აგიტაციის ნიშნებს შეიცავდა და ეთერში არაწინასაარჩევნო პერიოდში იყო გაშვებული, რაც აკრძალულ ქმედებას წარმოადგენდა.

[53] როგორც გაირკვა, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის: ა) ცნობილი იყო არაწინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური შინაარსის რეკლამების განთავსების კონკრეტული შემთხვევის თაობაზე; ბ) არაწინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის განთავსება კომისიას კანონდარღვევად არ მიაჩნდა; გ) პირიქით, კომისიას მიაჩნდა, რომ კონკრეტულ ფაქტებზე რეაგირებას ვერ მოახდენდა, ვინაიდან აღნიშნული საკითხი დარეგულირებას საჭიროებდა, რაც საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების განხორციელებას მოითხოვდა.

[54] https://gyla.ge/ge/post/2017-tslis-adgilobrivi-tvitmmartvelobis-archevnebi-tsinasaarchevno-garemos-shefaseba

[55] https://gyla.ge/ge/post/2017-tslis-adgilobrivi-tvitmmartvelobis-archevnebi-tsinasaarchevno-garemos-shefaseba#sthash.mjTBRJRa.dpbs

[56] http://qartia.ge/media/1000907/2017/12/13/badd1825c38e25633a5887472c328828.pdf ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით განხორციელებული საარჩევნო მედიამონიტორინგის საბოლოო ანგარიში.

[57] http://droa.ge/?p=11526

[58] http://www.osgf.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=23&info_id=4935

[59] თუმცა, საარჩევნო სისტემის რეფორმირების აუცილებლობასთან ერთად, საკონსტიტუციო კომისიის ფორმატში, საიამ არაერთ სხვა საკითხზე (მაგალითად, ადამიანის უფლებები, გენდერული თანასწორობა, სასამართლო ხელისუფლება და სხვა) დააყენა რეკომენდაცია და გასწია მნიშვნელოვანი ადვოკატირება.

დებოდა, რაც, 5%-იანი ბარიერის შენარჩუნების პირობებში, აჩენდა რისკებს, რომ არჩევნების შედეგად მაღალი იქნებოდა გაუნაწილებელი მანდატების რაოდენობა. გაუნაწილებელი მანდატების ერთი პარტიისადმი მიკუთვნება საფრთხეს შეუქმნიდა პოლიტიკურ პლურალიზმს და ხელს შეუწყობდა ძალაუფლების ხანგრძლივ კონცენტრაციას ერთი პარტიის ხელში. აგრეთვე, *შემოთავაზებული ცვლილებებით უქმდებოდა პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის წესი* და *ის* არაპირდაპირ, პარლამენტის მიერ აირჩეოდა. საქართველოში დემოკრატიის განვითარების ხარისხის და ამომრჩეველთა ინტერესების გათვალისწინებით, პრეზიდენტი პირდაპირი წესით უნდა ყოფილიყო არჩეული, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევნების გაუქმება, საპარლამენტო მოდელიდან გამომდინარე, აუცილებლობას არ წარმოადგენდა.

საიამ არ დაიშურა ძალისხმევა კონსტრუქციული, ყოვლისმომცველი და კონსენსუსზე დაფუძნებული კონსტიტუციის მიღების პროცესის ხელშეწყობისთვის. კომისიის წევრის სტატუსით, საია აქტიურად იყო ჩართული განხილვებში, როგორც კომისიის შიგნით, ასევე, საჯარო დისკუსიებსა და დებატებში. ორგანიზაციამ საკუთარი რეკომენდაციები წარადგინა საკონსტიტუციო კომისიის ფორმატში, მათ შორის, საარჩევნო სისტემასა და პრეზიდენტის არჩევის წესზე. საიას წარმომადგენლები მონაწილეობდნენ კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვებში, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიმართა.

ასევე, კომისიის ბოლო სხდომაზე, კომისიის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებსა და ექსპერტებთან ერთად, საიამ ალტერნატიული წინადადებები წარადგინა. აღნიშნული წინადადებები, შემოთავაზებულ პროექტთან შედარებით, მანდატების განაწილების უფრო სამართლიან წესს ითვალისწინებდა, მათ შორის, სახელისუფლებო სტაბილურობის შენარჩუნების უზრუნველყოფით, რაც ამ კუთხით მმართველი გუნდის უმთავრეს არგუმენტს წარმოადგენდა. საკონსტიტუციო კომისიამ ალტერნატიული წინადადებები არ გაიზიარა.

საიამ, კომისიის წევრ სხვა ორგანიზაციებთან ერთად,[60] ვენეციის კომისიასაც მიმართა და საკონსტიტუციო ცვლილებებზე დასკვნის გამოქვეყნებამდე საკუთარი მოსაზრებები წარუდგინა.[61] იმავდროულად, საიამ ვენეციის კომისიას საქართველოს ეროვნული პლატფორმის 90-მდე ორგანიზაციასთან ერთადაც მიმართა.[62]

აღსანიშნავია, რომ ვენეციის კომისიამ პოზიტიურ ნაბიჯად შეაფასა პროპორციული სისტემის შემოღება და გაიზიარა სამოქალაქო საზოგადოების პოზიციები გაუნაწილებელი მანდატების განაწილებასთან დაკავშირებით.

თუმცა, საბოლოოდ, გუნდში შეუთანხმებლობის მოტივით, არსებული ყველა მოლოდინის და პროექტის თავდაპირველი ვარიანტის საწინააღმდეგოდ, მმართველმა გუნდმა საარჩევნო სისტემაში ცვლილებების დანერგვა 2024 წლამდე გადადო და ისევ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა შეინარჩუნა, ხოლო პრეზიდენტის არჩევის არაპირდაპირი წესი 2023 წლისთვის გადაიდო.[63]

უმრავლესობის წარმომადგენლების განცხადებით, 2020 წლის არჩევნებისთვის ბარიერი ერთჯერადად 3%-მდე შემცირდებოდა.

საარჩევნო სისტემაზე მმართველი პარტიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კრიტიკულად შეაფასა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ.[64] საიამ, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, საქართველოს პარლამენტს მოუწოდა, უფრო მეტი დრო დაეთმო საკონსტიტუციო ცვლილებების ირგვლივ ფართო კონსენსუსის მიღწევისთვის, ცვლილებების საპარლამენტო ფორმატში განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება კი შემოდგომისთვის გადაედო.[65]

მიუხედავად აღნიშნულისა, 22-23 ივნისს, პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო ორგანიზაციებისა და საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან გამოხატული პროტესტის ფონზე, პარლამენტმა დაიწყო კანონპროექტის განხილვა საპარლამენტო კომიტეტებში ვენეციის კომისიის დასკვნის გამოქვეყნებამდე. საკანონმდებლო ორგანომ კანონპროექტი პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე ორი მოსმენით ორ დღეში განიხილა და მიიღო.[66] საბოლოოდ, ტექსტი მიღებული იყო განსხვავებული მოსაზრებების სრული იგნორირებით, ერთპარტიულად და ერთხმად.

---

[60] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო და ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო.

[61] https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebi-veneciis-komisias-mimartaven#sthash.mHg7sAyD.dpbs

[62] https://gyla.ge/ge/post/saqartvelos-erovnuli-platformis-mimartva-veneciis-parlaments#sthash.858O1udU.dpbs

[63] https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebi-saqartvelos-demokratiuli-ganvitareba-safrtkheshia#sthash.ReuWJdxr.dpbs

[64] https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebi-saqartvelos-demokratiuli-ganvitareba-safrtkheshia#sthash.Ska0SNRF.dpbs

[65] https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebi-parlaments-moutsodeben-konstituciis-proeqtis-gankhilva-daitsyos-sashemodgomo-sesiaze#sthash.dDMgcNZ4.dpbs

[66] ტექსტი მიღებულ იქნა პირველი მოსმენით პლენარულ სხდომაზე 22 ივნისს; შესაბამისმა კომიტეტებმა ტექსტი მიიღეს მეორე მოსმენით 23 ივნისს და, ასევე, პლენარულ სხდომაზე იმავე დღეს.

საიამ ეს გარემოება შეაფასა ძალაუფლების კონსოლიდაციისკენ მიმართულ პირდაპირ და გამიზნულ მცდელობად და ნაბიჯად, რაც საქართველოში დემოკრატიისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა. დარჩა შთაბეჭდილება, რომ შერეული სისტემის შენარჩუნებით მმართველი გუნდი ცდილობდა, შეექმნა გარანტიები, რომლებიც ხელს შეუწყობდა უპირატესობის მოპოვებაში 2020 წლის არჩევნებზე.[67]

სამწუხაროდ, ახალი კონსტიტუციის ირგვლივ ვერ მოხერხდა ფართო საზოგადოებრივი და პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევა და მთელი პროცესი მკვეთრი დაპირისპირებისა და მზარდი პოლიტიკური პოლარიზების ფონზე წარიმართა. პარლამენტის მიერ კონსტიტუციის მესამე მოსმენით მიღების შემდეგ პრეზიდენტმა გამოიყენა ვეტოს უფლება და 6 საკითხზე მოტივირებული შენიშვნები წარადგინა, თუმცა, პარლამენტმა ვეტო დაძლია.

ახალი კონსტიტუციის მიღებიდან მალევე, ხელისუფლებამ წარმოადგინა კონსტიტუციაში შესატანი რამდენიმე ახალი ცვლილების პროექტი, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა კონსტიტუციაზე მუშაობის პროცესის პრობლემურობა და ნაჩქარევი ხასიათი.

ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში

2017 წლის 5 ივნისს პარლამენტში დარეგისტრირდა კანონპროექტი, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებდა ცვლილების შეტანას საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესში.[68] კანონპროექტის მიღების მიზანს წარმოადგენდა საარჩევნო ადმინისტრაციის, როგორც სტაბილური ინსტიტუციის, საქმიანობის გაუმჯობესება. თუმცა, ცვლილებები მეტად პრობლემური იყო როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ სანდოობის შენარჩუნების კუთხით, ისე პოლიტიკურ ძალებს შორის თანასწორი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ვინაიდან ის ცალსახად ემსახურებოდა საარჩევნო ადმინისტრაციაში მმართველი პარტიის პოზიციების განმტკიცებას.

მაგალითაც, თუ მოქმედი წესის თანახმად, პარტიების მიერ დანიშნული წევრებიდან „ქართულ ოცნებას“ მხოლოდ ერთი წევრი ჰყავდა, კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, მას, ერთის ნაცვლად, სამი წევრი ეყოლებოდა.

ცვლილება მმართველი გუნდის დეპუტატების მიერ იყო მომზადებული და, პროექტის მიხედვით, ის ძალაში 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ შევიდოდა.

ვინაიდან პროექტი ზრდიდა საარჩევნო ადმინისტრაციის პოლიტიზირების რისკებს, საიამ მოუწოდა საქართველოს პარლამენტს, არ დაეჭირა მხარი აღნიშნული ცვლილებებისთვის.

ასევე, საიამ სადავო პროექტთან დაკავშირებით კონკრეტული მოსაზრებები პარლამენტში წარადგინა, სადაც ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის საკომიტეტო განხილვაში.[69] პარლამენტმა სადავო პროექტი დაამტკიცა, თუმცა, საქართველოს პრეზიდენტმა მას ხელი არ მოაწერა და მოტივირებული შენიშვნებით საკანონმდებლო ორგანოს უკან დაუბრუნა. საქართველოს პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო დაძლია.

საიას მიაჩნია, რომ საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი საჭიროებს ძირეულ ცვლილებას. საარჩევნო ადმინისტრაციის ზედა რგოლები მხოლოდ პროფესიული ნიშნით არჩეული, დამოუკიდებელი წევრებით უნდა დაკომპლექტდეს, რაც გაზრდის საარჩევნო ადმინისტრაციის ნდობას, ხოლო გარდამავალ პერიოდში მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა.

ცვლილებები ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონმდებლობაში

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, 2017 წლის ივნისში, საქართველოს ხელისუფლებამ 7 თვითმმართველი ქალაქისათვის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სტატუსის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო,[70] რაც, ერთმნიშვნელოვნად, დეცენტრალიზაციის რეფორმის დეკლარირებული პრინციპებიდან გადახვევას წარმოადგენდა. ხელისუფლებამ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მიზეზად გაზრდილი ხარჯები დაასახელა.

მთავრობის აღნიშნული ინიციატივის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება გამოხატა არა მარტო

[67] https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebi-saqartvelos-demokratiuli-ganvitareba-safrtkheshia#sthash.JG1PvNTW.dpbs

[68] https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebi-saarchevno-komisiebis-dakompleqtebis-akhal-tsesze#sthash.XkWJbiw9.dpbs

[69] https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebis-mosazrebebi-saqartvelos-organul-kanonshi-saqartvelos-saarchevno-kodeqsi-shesatan-cvlilebebze#sthash.nLfMdoBY.dpbs

[70] თელავის, გორის, ოზურგეთის, ამბროლაურის, ახალციხის, ზუგდიდის და მცხეთის მუნიციპალიტეტები. აღნიშნული გადაწყვეტილება საიამ სასამართლოში გაასაჩივრა.

სამოქალაქო სექტორმა, არამედ იმ მუნიციპალიტეტების მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა, რომელთა გაერთიანებაც იგეგმებოდა. ეს განწყობა კიდევ ერთხელ ნათლად დადასტურდა რეგიონებში კონსტიტუციის განხილვის დროს მოქალაქეების გამოსვლებისას. ცნობილი გახდა, რომ გარკვეული ზეწოლა მიმდინარეობდა ამ მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებზე, რათა საკრებულოებს ერთხმად დაეჭირათ მხარი სამინისტროს მიერ მომზადებული ცვლილებებისთვის. აღსანიშნავია, რომ ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრომ კანონპროექტის შემუშავების პროცესი საზოგადოების წარმომადგენლებისა და ექსპერტების ყოველგვარი ჩართულობის გარეშე წარმართა, მითუმეტეს, რომ მარტის ბოლოს 130-მდე არასამთავრობო, სათემო და მედია ორგანიზაციამ საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს მიმართა და დისკუსიებში ჩართულობის მზადყოფნა გამოთქვა. სამწუხაროდ, ამ მიმართვას ხელისუფლების მხრიდან დიალოგისა ან კონსულტაციების გამართვის სურვილი და მცდელობა არ მოჰყოლია.

საიას მოსაზრებით, თვითმმართველი ქალაქების რაოდენობის შემცირება ცალსახად უკან გადადგმული ნაბიჯია როგორც თვითმმართველობის რეფორმის, ისე, ზოგადად, ქვეყნის განვითარებისთვის, რაც ურთიერთს აშორებს მოსახლეობასა და ხელისუფლებას და ამცირებს ადგილობრივი დემოკრატიის სტანდარტს.[71] იმავდროულად, თვითმმართველი ქალაქების გაუქმება და მათი კვლავ სათემო მუნიციპალიტეტებთან გაერთიანება შეაფერხებს როგორც ქალაქის, ისე სოფლის განვითარებასაც. გარდა ამისა, ქალაქი, რომელსაც არ ჰყავს მოსახლეობის მიერ არჩეული და მის წინაშე ანგარიშვალდებული ადგილობრივი ხელისუფლება, არ აქვს საკუთარი შემოსავლები, ქონება და ბიუჯეტი, კარგავს განვითარების სამომავლო პერსპექტივებსაც.[72]

საკანონმდებლო ინიციატივა გენდერული კვოტირების შესახებ

2017 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში საქართველოს პარლამენტმა სამი საკომიტეტო მოსმენით მიიღო გენდერული კვოტირების შესახებ კანონპროექტი, რომელიც საიამ, საკანონმდებლო ინიციატივის სახით, ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, საქართველოს პარლამენტს წარუდგინა. საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც საქართველოს პარლამენტში 37000-ზე მეტი მოქალაქის ხელმოწერით შევიდა, გულისხმობს პოლიტიკური პარტიების ვალდებულებას, საპარლამენტო და თვითმმართველობის არჩევნებისთვის საარჩევნო სია გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვით დააკომპლექტონ და სიაში ყოველი მეორე განსხვავებული სქესის კანდიდატი წარადგინონ, ასევე, იმ შემთხვევაში, თუ არჩეულ წევრს რაიმე მიზეზით დეპუტატის უფლებამოსილება შეუწყდება, დეპუტატის მანდატი იმავე სქესის, რიგით მომდევნო კანდიდატმა მიიღოს. აღნიშნული ინიციატივა მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის უზრუნველყოფს ქალთა წარმომადგენლობის გაზრდას ლიდერულ და საპასუხისმგებლო პოზიციებზე.

VII. სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა

უწყებათაშორისი კომისია

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2017 წლის 30 ივნისის №1238 ბრძანებით, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის შეიქმნა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია (შემდგომში – „კომისია“) და დამტკიცდა კომისიის დებულება.[73]

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის უწყებათაშორისმა კომისიამ შუალედური და საბოლოო ანგარიშები გამოსცა,[74] საიდანაც ირკვევა, რომ 2017 წლის 30 ივნისიდან 19 ნოემბრის ჩათვლით კომისიაში სულ 88 განცხადება შევიდა. კომისიის საქმიანობის პერიოდში მედიამონიტორინგის შედეგად და სამდივნოში სხვა წყაროებიდან წარდგენილი განცხადებების საფუძველზე, პროკურატურის ზედამხედველობით, სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოძიება დაინყო სისხლის სამართლის 48 საქმეზე. აქედან 9 საქმეზე შეწყდა გამოძიება დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, ხოლო 39 საქმეზე გამოძიება გაგრძელდა. 4 საქმეზე 9 პირის მიმართ განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა.

საანგარიშო პერიოდში საიამ უწყებათაშორის კომისიას სულ 13 განცხადებით მიმართა, რომელთა საფუძველზეც, კომისიამ შესაბამის ორგანოებს რეაგირებისკენ მოუწოდა.

უწყებათაშორისმა კომისიამ საანგარიშო პერიოდში, საერთო ჯამში, **7** სხდომა გამართა და 6 რეკომენდაცია გამოსცა, მათ შორის: არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებსა და საარჩევნო სუბიექტებს

[71] https://gyla.ge/ge/post/121-organizaciis-mimartva-savaraudod-7-tvitmmartveli-qalaqis-statusis-gauqmebis-shesakheb

[72] https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciata-mimartva

[73] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3719758

[74] http://www.justice.gov.ge

მოუწოდა, თბილისის მასშტაბით ემოქმედათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის №16-38 დადგენილებით განსაზღვრული წესების შესაბამისად,[75] რათა წინასაარჩევნო პერიოდში ყველა კანდიდატს ჰქონოდა შესაძლებლობა, თანაბარი პირობებით განეთავსებინა ბეჭდური სააგიტაციო მასალა; აგრეთვე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მოუწოდა, უზრუნველეყოთ შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების დაწესება და მათ შესრულებაზე კონტროლი, რათა პოლიტიკურ პარტიებს ადგილობრივ დონეზე თანაბარი პირობებით შეძლებოდათ სააგიტაციო მასალის განთავსება;[76] საარჩევნო პროცესში ჩართულ პოლიტიკურ პარტიებსა და არჩევნებში მონაწილეობის მსურველ საჯაროდ გამოცხადებულ კანდიდატებს მოუწოდა, თავი შეეკავებინათ იმგვარი ქმედებებისგან, რომლებიც საზოგადოებაში ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნებისათვის გამოყენების განცდას გააჩენდა და სხვა პოლიტიკური გაერთიანებებისა თუ კანდიდატების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებას გამოიწვევდა;[77] კომისიამ საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელებს, საჯარო სკოლებისა და ბაგა-ბაღების თანამშრომლებს მოუწოდა, თავიდან აეცილებინათ სასწავლო პროცესების პოლიტიზირება;[78] აგრეთვე, კომისიამ მოუწოდა პოლიტიკურ პარტიებს/ბლოკებს, გაეცათ მკაფიო მითითება და არ დაეშვათ მათი კანდიდატებისა და რიგითი წევრების მხრიდან ვერბალური ან/და ფიზიკური აგრესია, ზეწოლა ან სხვა სახის არაეთიკური ქმედება ერთმანეთის, სახელმწიფო ინსტიტუტებისა თუ მათი წარმომადგენლებისადმი, რათა გამორიცხულიყო პოლიტიკურ ნიადაგზე თუნდაც სიტყვიერი დაპირისპირება;[79] კომისიამ მოუწოდა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საჯარო მოხელეებს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, სამუშაო საათებში თავი შეეკავებინათ სოციალურ ქსელებში პირადი გვერდების პოლიტიკური მოწოდებების და აგიტაციის/კონტრაგიტაციის მიზნებისთვის გამოყენებისგან და მაქსიმალურად გაემიჯნათ საკუთარი პროფესიული საქმიანობა საარჩევნო პოლიტიკური პროცესებისგან.[80]

აღსანიშნავია, რომ უწყებათაშორისი კომისიის მიერ რეკომენდაციების გამოცემის შემდგომ დარღვევები მაინც ფიქსირდებოდა, რაც პრობლემურია და, გარკვეულწილად, განპირობებულია იმით, რომ კომისიას არ გააჩნია რეკომენდაციების პრაქტიკაში განხორციელების მონიტორინგის მექანიზმი. საგულისხმოა ისიც, რომ უწყებათაშორისი კომისია უდავოდ წარმოადგენს სამართლებრივ პლატფორმას საარჩევნო დარღვევებსა და ინციდენტებზე ინფორმაციისა და მოსაზრებების ურთიერთგაცვლის კუთხით, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ იგი გასცდეს აღნიშნულ მანდატს და იქცეს უფრო ქმედით და ეფექტურ უწყებად.

საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო პერიოდში ცესკომ თავისი მიზნებისა და კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად არაერთი აქტივობა განახორციელა. დადებით შეფასებას იმსახურებს მონიტორინგის პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან გადადგმული პოზიტიური და ინოვაციური ნაბიჯები, როგორიცაა, მაგალითად: არჩევნებში მონაწილე პარტიების ონლაინ რეგისტრაცია, სიახლეები სპეციალური საჭიროების მქონე ამომრჩევლებისთვის, საარჩევნო სუბიექტების ნომრების განსაზღვრა კანონმდებლობით შესაძლებელ უადრეს ვადაში, თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. თუმცა, აღნიშნულის პარალელურად, კვლავ გამოიკვეთა ისეთი საკითხები, რომლებიც ნეგატიურად აისახება საარჩევნო გარემოზე, მაგალითად: საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ საჩივრების განხილვასთან დაკავშირებული საკითხები, საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი და პრაქტიკა, აგრეთვე, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების კომპეტენცია არჩევნების დღის პროცედურებთან დაკავშირებით.

ცენტრალური საარჩევნო კომისია ინტენსიურად მუშაობდა, მართავდა შეხვედრებს სხვადასხვა ჩართულ მხარესთან, მათ შორის, საოლქო საარჩევნო კომისიების,[81] მედიის, პოლიტიკური პარტიების, ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.[82]

პოზიტიურად უნდა შეფასდეს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებისთვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ სხვადასხვა საჭიროების მქონე ამომრჩევლებისთვის სპეციალური სერვისების

[75] სააგიტაციო მასალისთვის გათვალისწინებულ სტენდებზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს, გააკრას 1 ცალი საარჩევნო პლაკატი, ზომა – არაუმეტეს 60სმ სიგრძე, 42სმ სიგანე (A2 ფორმატი).

[76] 2017 წლის 17 ივლისის სხდომა.

[77] 2017 წლის 31 ივლისის სხდომა.

[78] http://justice.gov.ge

[79] http://justice.gov.ge

[80] http://justice.gov.ge

[81] http://cesko.ge/geo/list/show/111015-samushao-shekhvedra-saolqo-saarchevno-komisiebis-khelmdzghvanel-pirebtan

[82] http://cesko.ge/geo/list/show/111296-shekhvedra-NDI-is-grdzelvadian-sadamkvirveblo-misiastan
http://cesko.ge/geo/list/show/111510-shekhvedra-eutos-demokratiuli-institutebis-da-adamianis-uflebata-ofisis-sadamkvirveblo-misiastan
http://cesko.ge/geo/list/show/111754-shekhvedra-amerikis-sakhelmtsifo-departamentis-da-ashsh-s-saelchos-tsarmomadgenlebtan

შემუშავება, კერძოდ, ცესკოს საინფორმაციო/სატელეფონო ცენტრში სმენის პრობლემების მქონე ამომრჩევლებისთვის ინფორმაციის მიწოდება ჟესტურ ენაზე. ასევე, წელს პირველად, ცესკოში საარჩევნო რეგისტრაციის გავლა შესაძლებელი იყო ელექტრონულ ფორმატში. საიას აზრით, მსგავსი სერვისები ხელს უწყობს თანაბარი საარჩევნო გარემოს განვითარებას, ასევე, უზრუნველყოფს სპეციალური საჭიროების მქონე ამომრჩევლების მეტად ჩართულობას საარჩევნო პროცესებში.

- მიმდინარე წლის არჩევნებისთვის მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება საიას, შვიდ არასამთავრობო ორგანიზაციას, ცესკოსა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიას შორის,[83] რომლის მიზანიც იყო ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ნორმების ერთგვაროვანი განმარტება.
- გარდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა, ცესკომ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთანაც. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენდა 2017 წლის ოქტომბერში გასამართი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების ჩატარება უსაფრთხო და მშვიდ გარემოში.[84]
- 2017 წლის 27 სექტემბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და 31-მა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ ხელი მოაწერეს ერთობლივ ქცევის კოდექსს.[85] ეთიკის კოდექსზე ხელმოწერა საარჩევნო ადმინისტრაციისა და სადამკვირვებლო ორგანიზაციების მხრიდან არჩევნების დღეს ქცევის გარკვეულ პრინციპებზე შეთანხმებას გულისხმობდა.
- ეთიკის კოდექსს ხელი მოაწერეს ასევე ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებმა.[86]

დადებით შეფასებას იმსახურებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის საარჩევნო სუბიექტების ნომრების განსაზღვრა კანონმდებლობით შესაძლებელ უადრეს ვადაში.[87] აღსანიშნავია, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრები განისაზღვრება არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა. თუმცა, ცესკომ სუბიექტებისთვის თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით და არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველოს" რეკომენდაციის გათვალისწინებით,[88] წილისყრის პროცედურა და რიგითი ნომრების მინიჭება კანონმდებლობით შესაძლებელ უადრეს ვადაში, უფლებამოსილი პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ არჩევნებში რიგითი ნომრის მოთხოვნის ვადის ამოწურვისთანავე განახორციელა.[89]

წინასაარჩევნო პერიოდში გავრცელდა ინფორმაცია საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების პროცესში შესაძლო არასათანადო ჩარევების და პროფესიული კვოტით მმართველ პარტიასთან ასოცირებული პირებით საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების განზრახვების შესახებ.[90] აღნიშნული ტენდენცია არაერთ წინა არჩევნებზეც დაფიქსირდა, მათ შორის, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე.[91] აღნიშნული პრაქტიკა პირდაპირ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მიზნებს და სულისკვეთებას.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ადგილი ჰქონდა იმ პირთა პროფესიული ნიშნით არჩევას საუბნო საარჩევნო კომისიებში, რომლებიც უახლოეს წარსულში წარმოადგენდნენ სხვადასხვა პარტიას საარჩევნო ადმინისტრაციაში.[92] საიას აზრით, მსგავსი ფაქტები, მიუხედავად იმისა, რომ არ წარმოადგენს კანონის პირდაპირ დარღვევას, ეჭვქვეშ აყენებს საუბნო საარჩევნო კომისიების დამოუკიდებელი, სანდო რეპუტაციისა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრებით დაკომპლექტების, ასევე, თავად საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ საზოგადოების ნდობის საკითხს.[93]

---

[83] https://gyla.ge/ge/post/urtierttanamshromlobis-memorandumi#sthash.qb4r5KB8.dpbs

[84] http://cesko.ge/geo/list/show/111631-tseskosa-da-shss-s-shoris-urtierttanamshromlobis-memorandumi-gaformda

[85] https://docs.google.com/viewerng/viewer?url=https://gyla.ge/files/gallery/logoebi/untitled+folder/Newsletter+4+GE. pdf; გვ.5.

[86] http://cesko.ge/geo/list/show/112352-etikis-kodeqsi

[87] http://cesko.ge/geo/list/show/111488-tsentralurma-saarchevno-komisiam-saarchevno-subieqtebis-rigiti-nomrebi-gansazghvra

[88] http://cesko.ge/geo/list/show/111237-tamar-jvania-mravalerovani-saqartvelos-tsarmomadgenlebs-shekhvda

[89] აღნიშნული ფაქტი დადებითად არის შეფასებული NDI-ის სადამკვირვებლო შუალედურ ანგარიშშიც - https://www.ndi.org/sites/default/files/NDI-GE%20EOM%202017-IR-GEO.pdf - გვ.13

[90] http://rustavi2.ge/ka/news/83523

[91] https://gyla.ge/files/news/2008/%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-2016-GEO.pdf - გვ.22

[92] მაგალითად, ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეული 612 წევრიდან 272 წევრი სხვადასხვა არჩევნებზე პარტიული სიით იყო წარდგენილი კომისიაში. ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეული 390 წევრიდან 177 წევრი სხვადასხვა არჩევნებზე პარტიული სიით იყო წარდგენილი კომისიაში.

[93] მსგავსი პოზიციაა დაფიქსირებული NDI-ის შუალედურ ანგარიშშიც. აქვე მითითებაა კომისიის წევრების არაკვალიფიციურობაზე. კერძოდ, ანგარიშში აღნიშნულია, რომ ზოგიერთ გეოგრაფიულ არეალში საუბნო კომისიის წევრებს ტრენინგები ჯერ გავლილი არ ჰქონდათ და ზუსტად არც ტრენინგების ჩატარების თარიღი იცოდნენ. ზოგიერთ საუბნო საარჩევნო კომისიაში კი,

დაფიქსირდა ე.წ. „წინასწარი სიების“ არსებობის შემთხვევები. საიას მონიტორების ინფორმაციით, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების დაკომპლექტების სხდომებზე საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებს კანდიდატების სიების სამუშაო ვერსიებზე წინასწარ ჰყავდათ მონიშნული ის კანდიდატები, რომლებსაც შემდგომ სახელობითი კენჭისყრისას მხარს დაუჭერდნენ. თავად კომისიის წევრების განმარტებით, აღნიშნული ემსახურებოდა კომისიის სხდომების ეფექტურად წარმართვის მიზანს. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევის სხდომების მონიტორინგის დროს, გასული წლის მსგავსად, ასევე გამოკვეთა, რომ, რიგ შემთხვევებში, საოლქო საარჩევნო კომისიამ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებად აირჩია პირები, რომლებსაც გასულ არჩევნებში სხვადასხვა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობა ჰქონდათ დაკისრებული, რაც უარყოფით შეფასებას იმსახურებს.[94]

კრიტიკულ შეფასებას იმსახურებს ასევე საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ საჩივრების განხილვის პროცესი. წინასაარჩევნო პერიოდში შესული საჩივრების განხილვისას, სხვადასხვა დონის საარჩევნო ადმინისტრაციები, ხშირ შემთხვევაში, დეტალურად არ შეისწავლიდნენ საქმეში წარმოდგენილ მასალებს და გადაწყვეტილებას მხოლოდ სავარაუდო დამრღვევის ახსნა-განმარტების საფუძველზე იღებდნენ.[95] საარჩევნო ადმინისტრაცია ვიწროდ განმარტავდა კანონს, რაც ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ეს უკანასკნელი რიგ საკითხებთან მიმართებით შეგნებულად არიდებდა თავს საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებას.[96]

წინასაარჩევნო კამპანიის წესების დარღვევის ფაქტებზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ საარჩევნო ადმინისტრაციაში წარდგენილი იყო 9 განცხადება. საბოლოოდ, საარჩევნო ადმინისტრაციამ საიას მიერ წარდგენილი განცხადება/საჩივრებიდან 5 მათგანი არ დააკმაყოფილა და უარი თქვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე, ერთ შემთხვევაში ცესკოს მიერ საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ხოლო ერთ შემთხვევაში შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და საქმე განსახილველად სასამართლოს გადაეგზავნა.

წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირდა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიმართ მუქარის, საარჩევნო ადმინისტრაციის შენობების დარბევისა და მის საქმიანობაში ჩარევის შემთხვევები.[97] საიას აზრით, წინასაარჩევნოდ მსგავსი ფაქტები ცალსახად აზიანებს ქვეყნის ინტერესებს, საფრთხეს უქმნის მშვიდ, სტაბილურ საარჩევნო პროცესს და არჩევნების ჯანსაღ გარემოში ჩატარებას, რაც, საბოლოოდ, ქვეყანაში დემოკრატიისა და მმართველობის ხარისხზე აისახება.

მონიტორინგის განმავლობაში გამოვლინდა რამდენიმე ფაქტი, როდესაც საარჩევნო ადმინისტრაციამ კონკრეტულ პირებს, საარჩევნო კოდექსის 91-ე პრიმა მუხლის (საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში ჩარევა) დარღვევის გამო, სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა. აღნიშნული ოქმების საფუძველზე, სასამართლომ მათ, პასუხისმგებლობის სახით, 500-ლარიანი ჯარიმა დააკისრა.[98] განსახილველი საკითხის პრეცედენტული ხასიათიდან და გამოყენებული სამართლებრივი ნორმის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საია ერთ-ერთი პირის ინტერესებს სასამართლოში იცავდა.

91-ე პრიმა მუხლი საარჩევნო კოდექსს 2017 წლის 26 ივლისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად დაემატა. ცვლილება პრობლემურია და ამის თაობაზე საია, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, კანონპროექტის გამოქვეყნებისას საუბრობდა. აღნიშნული მუხლი შეიცავს რისკს, რომ იგი დაუსაბუთებლად იყოს გამოყენებული.

არჩევნებამდე საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე,[99] ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, არასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრებისა და გადაღების მიზნით, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების აკრედიტაციის წესი განსაზ-

---

კომისიის რამდენიმე პროფესიული ნიშნით შერჩეული წევრი საკუთარ სტატუსთან დაკავშირებით დაბნეული იყო და ზუსტად არ იცოდა, პროფესიული ნიშნით იყო დანიშნული თუ პარტიის მიერ; https://www.ndi.org/sites/default/files/NDI-GE%20EOM%202017-IR-GEO.pdf - გვ. 9-10.

[94] ახალქალაქი - 10, ახალციხე - 9, კასპი - 7, გორი - 7, ქარელი - 25, ხაშური - 2, ადიგენი - 2, ასპინძა - 1, ჭიათურა - 2, წყალტუბო - 19, ვანი - 6, ზესტაფონი - 14, ტყიბული - 7, ბაღდათი - 9, ხონი - 5, ხარაგაული - 10, ქუთაისი - 82, მარნეული - 13, გარდაბანი - 6, ბოლნისი - 3, თეთრიწყარო - 2.

[95] მაგალითად, საჩივრის განხილვისას, რომელიც ეხებოდა პარტია „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატების წარდგენისას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ერთ-ერთი სამსახურის ხელმძღვანელის მიერ გამგეობის ბალანსზე მყოფი სახელმწიფოს კუთვნილი ავტომობილით მისვლის ფაქტს, ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საქმის წარმოების პროცესში არ ყოფილა ჩართული განმცხადებელი, მისთვის კომისიას არ მიუწოდებია რაიმე ინფორმაცია საქმის წარმოების შესახებ და საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არ დაინტერესებულა განმცხადებლის მოსაზრებით.

[96] https://www.gyla.ge/files/news/2006/მეორე%20შუალედური%20ანგარიში-19.10.pdf - გვ.14-15.

[97] https://www.gyla.ge/files/news/2006/მეორე%20შუალედური%20ანგარიში-19.10.pdf - გვ.13-14.

[98] საარჩევნო ადმინისტრაციამ ლეიბორისტული პარტიის თელავის მერობის კანდიდატს, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 91[1] მუხლის საფუძველზე, სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა. ოქმი სასამართლოს გადაეგზავნა. საია მერობის კანდიდატის ინტერესებს სასამართლოში იცავდა. სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო „ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის“ წარმომადგენელი და მას, ჯარიმის სახით, 500 ლარის გადახდა დააკისრა. სამართალდარღვევის ოქმი მის წინააღმდეგ სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიამ შეადგინა.

[99] https://gyla.ge/index.php/ge/post/print/arasamtavrobo-organizaciebis-mosazrebebi-saqartvelos-organul-kanonshi-saqartvelos-saarchevno-kodeqsi-shesatan-cvlilebebze

ღვრა.[100] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომა საჯაროა. ის შესაძლებელია დაიხუროს მხოლოდ პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო ან კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის განხილვის საფუძვლით. აღნიშნულის გათვალისწინებით, დამატებითი რეგულაციების შემოღება კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომაზე დასწრების კუთხით, განსაკუთრებით, როდესაც საქმე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ეხება, არავითარ საჭიროებას ან აუცილებლობას არ წარმოადგენდა.

საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია

წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყებამდე საარჩევნო ადმინისტრაციამ საინიციატივო ჯგუფებს გორსა და თელავში, აგრეთვე, არასამთავრობო ორგანიზაციას ოზურგეთში უარი უთხრა რეგისტრაციაზე, ვინაიდან რეგისტრაციის მოთხოვნის მომენტისათვის არჩევნების თარიღი არ იყო ცნობილი და არ არსებობდა შესაბამისი სამართლებრივი აქტი არჩევნების თარიღის დანიშვნის თაობაზე. მიგვაჩნია, რომ აღნიშნულმა დავებმა გამოავლინა მთელი რიგი საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც, ერთ შემთხვევაში – პოლიტიკური გაერთიანებებისა და საინიციატივო ჯგუფების საარჩევნო რეგისტრაციას, ხოლო მეორე შემთხვევაში – არასაარჩევნო პერიოდში საზოგადოებრივი ორგანიზაციების საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობაში ჩართულობას უკავშირდება.[101]

2017 წლის არჩევნებში დარეგისტრირდა 300-ზე მეტი საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი. აქედან, კანდიდატურების მოხსნის შემდგომ, არჩევნების დღისთვის, დარჩა 22 პოლიტიკური პარტია და 5 საარჩევნო ბლოკი, ხოლო 201 საინიციატივო ჯგუფიდან – 11 მერობისა და 190 მაჟორიტარობის კანდიდატი. 2017 წლის 12 ნოემბერს 6 ოლქში გამართული მერის არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობა მიიღო ორმა პოლიტიკურმა პარტიამ, ორმა საარჩევნო ბლოკმა და ორმა დამოუკიდებელმა კანდიდატმა.[102]

მონიტორინგის პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციამ ოთხ პოლიტიკურ პარტიას უარი უთხრა რეგისტრაციაზე. ერთ შემთხვევაში, უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს საარჩევნო კოდექსის 142-ე მუხლის მე-10 პუნქტი, ვინაიდან სუბიექტების მიერ არ იყო წარმოდგენილი მხარდამჭერთა სიები ხარვეზის შესწორების მიზნით, ხოლო დანარჩენ სამ შემთხვევაში, რეგისტრაციის გაუქმება მოხდა პირადი განცხადების საფუძველზე.[103]

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე გამოიკვეთა, რომ ვადა, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობით დამოუკიდებელი კანდიდატების მიმართ არის დადგენილი მხარდამჭერთა სიების შეგროვებისა და საარჩევნო ადმინისტრაციაში წარდგენისთვის, არაგონივრულია და ვერ უზრუნველყოფს კანონის წინაშე საარჩევნო სუბიექტების თანასწორობის პრინციპს.

მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვებისა და საარჩევნო კომისიაში წარდგენის ბოლო ვადას ადგენს საარჩევნო კოდექსი. კოდექსის თანახმად, ხელმოწერების წარდგენის ბოლო ვადაა არჩევნებამდე არაუგვიანეს 50-ე დღე, ანუ არჩევნების 21 ოქტომბერს გამართვის შემთხვევაში, ეს ვადა იყო 1-ლი სექტემბერი. ასევე, კანონის შესაბამისად, ცესკომ განსაზღვრა საჭირო ხელმოწერების ოდენობა – ამომრჩეველთა 1% .

გამომდინარე იქიდან, რომ თბილისში ამომრჩეველთა რაოდენობა არის მნიშვნელოვნად მაღალი – 958 729 ამომრჩეველი – მხარდამჭერთა ხელმოწერების რაოდენობაც არის ყველაზე მაღალი სხვა ქალაქებთან შედარებით (მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობა — 9 587). შესაბამისად, შემჭიდროებულმა ერთკვირიანმა ვადამ პრობლემები შეუქმნა თბილისის მერობის დამოუკიდებელ კანდიდატს, განსხვავებით პარტიების მერობის კანდიდატებისგან, რომელთა მიმართ აღნიშნული ვადა არ ვრცელდება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საიას მოსაზრებით, მხარდამჭერთა ხელმოწერების წარდგენის ვადა, რომელიც დადგენილია დამოუკიდებელი კანდიდატებისთვის, არაგონივრულია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია კანონმდებლობის გადასინჯვა აღნიშნული ვადის გაზრდის მიზნით.[104]

[100] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება 08.08. 2017, №27/2017.

[101] საია მუშაობს და ახლო მომავალში გამოაქვეყნებს შესაბამისი დავების სამართლებრივ ანალიზს.

[102] აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურმა პარტიამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნების პირველი ტურის წინასწარი შედეგების გამოცხადების შემდეგ ქუთაისის თვითმმართველ ქალაქში გასამართი არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

[103] http://cesko.ge/res/docs/20170926193029Partiebiuari19.09.2017GEO.pdf

[104] https://gyla.ge/ge/post/sainformacio-biuleteni-1#sthash.N3NJxczw.1764t29A.dpbs

წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება და სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგის ანგარიში გამოაქვეყნა.[105]

პოლიტიკური პარტიების მიერ არჩევნების დროს ჯამში მიღებულია **27,942,872** ლარის შემოსავალი. საბიუჯეტო დაფინანსება მიღებული აქვს სულ 14 საარჩევნო სუბიექტს, ხოლო მიზნობრივი სატელევიზიო რეკლამის ანაზღაურების თანხა – 13 პოლიტიკურ პარტიას.[106]

2017 წლის 1 ივნისიდან 19 ნოემბრამდე პერიოდში ჯამში განხორციელებული **16,418,892** ლარის შემოწირულებიდან **90%**-ზე მეტი – **14,815,653** ლარი – მიღებული აქვს „ქართულ ოცნებას“, **951,834** ლარი – „ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“, **134,700** ლარი – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, **66,392** ლარი – „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“.[107]



მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ შემოწირულებების დიდი ნაწილი განხორციელებულია ფიზიკური პირების მიერ. რაც შეეხება იურიდიული პირების შემოწირულებებს, საარჩევნო პერიოდში დაფიქსირებულია სულ 70 შემომწირველი იურიდიული პირი, საიდანაც 60 არის „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ შემომწირველი, ხოლო 10 იურიდიული პირი – ჯამური თანხით 5, 711 ლარი – წარმოადგენს 4 სხვადასხვა პარტიისა და 3 დამოუკიდებელი კანდიდატის შემომწირველს.

საარჩევნო პერიოდში იურიდიული პირების მიერ განხორციელდა **4,422,334** ლარის შემოწირულება.[108] აღსანიშნავია, რომ იურიდიული პირების შემოწირულებების დიდი ნაწილი **(99.87%)** მიღებულია „ქართული ოცნების“ მიერ – ჯამში **4,414,563** ლარი. ამასთან, მმართველი პარტიის მიმართ შემოწირულებები განხორციელებულია ძირითადად ფულადი ფორმით, სხვა საარჩევნო სუბიექტების მიმართ კი – არაფულადი ფორმით.

ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ჯამში განხორციელებულია **118,346** ლარის არაფულადი შემოწირულება. ამ კუთხით ფიზიკური პირებიდან ლიდერობს ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – 26,527 ლარით, ხოლო იურიდიული პირებიდან „ქართული ოცნება“ – 40,213 ლარით. ასევე, აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი კანდიდატების დიდ ნაწილს საკუთარი კამპანიისთვის თავად აქვს განხორციელებული არაფულადი შემოწირულება.[109]

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურში მონაწილე ექვსმა საარჩევნო სუბიექტმა, 23 ოქტომბერი - 30 ნოემბრის პერიოდში, ჯამში, **1,788,650.00 ლარის** ღირებულების შემოწირულება მიიღო. აქედან პირველ ადგილზეა „ქართული ოცნება“ – 1,788,100.00 ლარით, მეორე ადგილზე – დამოუკიდებელი კანდიდატი კონსტანტინე შარაშენიძე, რომელმაც 500 ლარის ოდენობის შემოწირულება მიიღო. მესამე ადგილზეა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 50 ლარის ოდენობის შემოწირულებით, ხოლო დანარჩენ სამ საარჩევნო

[105] https://monitoring.sao.ge
[106] https://monitoring.sao.ge
[107] https://monitoring.sao.ge
[108] https://monitoring.sao.ge
[109] https://monitoring.sao.ge

სუბიექტს ამ პერიოდში რაიმე სახის შემოწირულება არ მიუღია.[110]

რაც შეეხება პოლიტიკური პარტიების მიერ განხორციელებულ ხარჯებს, ჯამში პოლიტიკური პარტიების მიერ დახარჯულია **27,270,568** ლარი. აქედან 65%-მდე დახარჯულია „ქართულ ოცნების“ მიერ. „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ – **17,600,948** ლარი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – **2,078,378** ლარი, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ – **1,523,360** ლარი და „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ – **1,484, 891** ლარი.

არჩევნების განმავლობაში ხარჯისა და შემოწირულების მქონე 65 დამოუკიდებელი კანდიდატი დაფიქსირდა. კანდიდატების მიერ მიღებული შემოსავლები შემოწირულებების იდენტური იყო, ხოლო გაწეული ხარჯები მცირედით ჩამორჩებოდა, რადგან კანდიდატების დიდმა ნაწილმა არაფულადი შემოწირულება მიიღო.

დამოუკიდებელ კანდიდატებში ლიდერობს თბილისის მერობის კანდიდატი ალექსანდრე ელისაშვილი, რომელმაც 126,105 ლარის ხარჯი გასწია, ხოლო ფულადი და არაფულადი სახით, ჯამში, 148,912 ლარის შემოწირულება მიიღო.[111]

პოლიტიკური პარტიების მიმართ განხორციელებული შემოწირულებების კუთხით, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის საინტერესო იყო მმართველი პარტიის შემომწირველთა მონაწილეობის საკითხი სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცხადებულ გამარტივებულ შესყიდვებში.[112] კერძოდ, როგორც მედიაში გავრცელებული ინფორმაციით[113] და არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ კვლევის[114] შედეგად გაირკვა, „ქართული ოცნების“ შემომწირველი იურიდიული პირები ბოლო დროს აქტიურად მონაწილეობდნენ სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და იმარჯვებდნენ კიდეც.[115] აღსანიშნავია, რომ მსგავსი შემთხვევები, როდესაც ქვეყანაში ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს დაფინანსების მოპოვება უჭირთ, ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ გუნდს დიდ უპირატესობას ანიჭებს, ასუსტებს კონკურენციას პოლიტიკურ პარტიებს შორის და ჯანსაღ შეჯიბრს შეუძლებელს ხდის. შესაბამისად, სახსრებისა და რესურსების ასეთი უთანასწორო განაწილება ცალსახად უარყოფითად აისახება საარჩევნო გარემოზე.

- **სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის შეფასება**

დადებითად უნდა შეფასდეს, გასული წლების მსგავსად, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინიციატივით, დროებითი საკონსულტაციო კომისიის შექმნა, რომლის მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გამჭვირვალობის ხელშეწყობა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგის თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის არჩევნებისთვის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 15 არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად, მონაწილეობდა კომისიის მუშაობაში.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის შემოწირულებების შესწავლის მიზნით, აუდიტის სამსახური აგზავნიდა მოთხოვნას ფიზიკური პირების შემოსავლების შესახებ, ხოლო იურიდიულ პირებთან მიმართებით, სწავლობდა ინფორმაციას მათი საბოლოო ბენეფიციარების, შესყიდვებში მონაწილეობისა და მიღებული შემოსავლების შესახებ. შემოწირულებების ანალიზის დროს დამატებითი კითხვების არსებობის გამო, გამოკითხვაზე დაიბარეს სხვადასხვა პარტიის შემომწირველები, ასევე, გაიგზავნა მოთხოვნა 640 ფიზიკურ პირთან დაკავშირებით.[116]

არჩევნების პერიოდში სამსახურმა 5 სამართალდარღვევის ოქმი შეადგინა პოლიტიკური გაერთიანებების, ხოლო 128 ოქმი – დამოუკიდებელი კანდიდატების წინააღმდეგ. აღნიშნული ოქმები პერიოდულად გაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში. დასახელებულ შემთხვევებში სამართალ-

[110] https://monitoring.sao.ge/donations

[111] https://monitoring.sao.ge

[112] https://www.gyla.ge/ge/post/2017-tslis-adgilobrivi-tvitmmartvelobis-archevnebi-tsinasaarchevno-garemos-shefaseba#sthash.5to3tEZs.bKZc1Aye.dpbs

[113] http://rustavi2.ge/ka/news/87686

[114] http://www.transparency.ge/ge/post/politikuri-partiebis-dapinanseba-2017-clis-adgilobrivi-tvitmmartvelobis-archevnebistvis

[115] „ქართული ოცნების" 31-მა შემომწირველმა იურიდიულმა პირმა და 49 კომპანიამ, რომლებიც შემომწირველ ფიზიკურ პირებთან იყვნენ დაკავშირებულნი, მთლიანობაში მმართველი პარტიის სასარგებლოდ 3 705 523 ლარი გაიღო; „ქართული ოცნების" 31 შემომწირველი კომპანიიდან 2017 წელს 15-მა მონაწილეობა მიიღო გამარტივებული წესით სახელმწიფო შესყიდვებში და გააფორმა კონტრაქტი სახელმწიფოსთან – ერთობლივი ღირებულებით 2 145 022 ლარი. ამავე კომპანიებმა საანგარიშო პერიოდში პარტიის სასარგებლოდ მთლიანობაში 1 021 793 ლარი გაიღეს.

[116] https://monitoring.sao.ge/files/finansuri%20monitoringi/Cases-2017.pdf

დაღვევის ოქმების შედგენის საფუძველი, ძირითადად, მოთხოვნილი ინფორმაციის მიუწოდებლობა და დეკლარაციების წარუდგენლობა იყო.[117]

აღნიშნულის გარდა, შემოსული საჩივრებისა და მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციების საფუძველზე, სამსახურმა რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება. მიღებული საჩივრებიდან (19) და მედიამონიტორინგის საფუძველზე მოძიებული ინფორმაციებიდან (3) მოკვლევა დაწყებულია 16 საქმეზე, ხოლო 4 საჩივარი შეეხებოდა სავარაუდო ხელშეშლის შემთხვევებს, რომელთა შესწავლა არ შედის სამსახურის კომპეტენციაში. 16 საქმიდან, რომლებზეც მოკვლევა მიმდინარეობდა, დასრულებულია 15 საქმე. აქედან 2 საქმეზე გაგზავნილია შენიშვნა, 1 საქმე განსახილველად გადაგზავნილია შესაბამის კომპეტენტურ ორგანოში, 1 საქმეზე მიმდინარეობს მოკვლევა დამატებითი ინფორმაციის მოძიების მიზნით, ხოლო 12 საქმე დასრულებულია დარღვევის დაუდასტურებლობის გადაწყვეტილებით.[118]

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წინასაარჩევნო პერიოდში სახელმწიფო აუდიტის სამსახურში საიამ სავარაუდო დარღვევის თაობაზე 3 განცხადება წარადგინა და კანონმდებლობის ფარგლებში შესაბამისი რეაგირება მოითხოვა, თუმცა, ვერცერთ შემთხვევაში აუდიტის სამსახურმა კანონმდებლობის დარღვევა ვერ დაინახა.[119]

მაგალითად, „დინამო არენაზე" გამართულ საქველმოქმედო მატჩთან დაკავშირებით საიას განცხადებების განხილვის შედეგად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში დარღვევას ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება საიას განცხადებას, რომელიც შეეხებოდა თბილისის მერობის კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრაზე თბილისის ბაგა-ბაღების თანამშრომლების ორგანიზებულ დასწრებას, რომლის დროსაც გამოყენებული იყო სატრანსპორტო საშუალებები პედაგოგების გადასაადგილებლად, აუდიტის სამსახურმა აღნიშნა, რომ განცხადებაში დასახელებული სავარაუდო დარღვევა, თავისი შინაარსით, არ მიეკუთვნებოდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მანდატით განსაზღვრულ სფეროს. აუდიტის სამსახურის განმარტებით, ამ შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენის უფლებამოსილება გააჩნდა ცესკოს თავმჯდომარეს, აგრეთვე, ცესკოსა და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილ პირებს (თანამდებობის პირებს), რაც, საიას მოსაზრებით, დაუსაბუთებელია.

ინფორმაციის მიუწოდებლობისა და დეკლარაციების წარმოუდგენლობის ფაქტებზე რეაგირების გარდა, სხვადასხვა სავარაუდო დარღვევაზე რეაგირების კუთხით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობა ნაკლებად ეფექტური იყო.

ადგილობრივი თვითმმართველობის 2017 წლის არჩევნებისთვის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად იქცა კენჭისყრის დღემდე სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ახალი გენერალური აუდიტორის მიერ წინამორბედი აუდიტორის მოადგილეებიდან მხოლოდ იმ მოადგილის დატოვება,[120] რომელიც წარსულში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი და ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი ბანკის – „ქართუს" გენერალური დირექტორი იყო. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ახალ გენერალურ აუდიტორს, ბუნებრივია, ჰქონდა იმის უფლებამოსილება, მოადგილეებად დაენიშნა ის პირები, რომლებიც თავად სურდა, თუმცა, ის ფაქტი, რომ გათავისუფლდნენ პოლიტიკურად ნეიტრალური მოადგილეები და თანამდებობა შეინარჩუნა მმართველ პარტიასთან დაკავშირებულმა პირმა, წარმოქმნის ეჭვებს გადაწყვეტილების პოლიტიკური მოტივის შესახებ.[121]

[117] https://monitoring.sao.ge/files/finansuri%20monitoringi/Cases-2017.pdf

[118] https://monitoring.sao.ge

[119] 1) პირველი განცხადება შეეხებოდა „დინამო არენაზე" გამართულ საქველმოქმედო მატჩს „მსოფლიოს ვარსკვლავები საქართველოსთვის", რომელშიც მმართველი პარტიის თბილისის მერობის კანდიდატმაც ითამაშა. ჩვენი შეფასებით, ხარჯი, რომელიც გასწია ფეხბურთის ფედერაციამ ამ მატჩის ორგანიზებისთვის, წარმოადგენდა საარჩევნო სუბიექტისადმი განხორციელებულ შემოწირულებას, რისი უფლებაც ფეხბურთის ფედერაციას, როგორც ააიპ-ს, არ ჰქონდა; 2) მეორე განცხადება შეეხებოდა ამავე საქველმოქმედო მატჩზე უცხოეთის მოქალაქის მიერ თბილისის მერობის კანდიდატის სასარგებლოდ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის ფაქტს; 3) მესამე განცხადება შეეხებოდა მმართველი პარტიის კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრაზე თბილისის ბაგა-ბაღების თანამშრომლების ორგანიზებულ დასწრებას.

[120] http://sao.ge/news/928

[121] https://gyla.ge/ge/post/generaluri-auditoris-gadatsyvetileba-politikuri-motivaciis-etchvebs-achens#sthash.no4Ef2T4.v076RdW1.dpbs

VIII. წინასაარჩევნო პერიოდი

სახელმწიფო რესურსების გამოყენება საარჩევნო მიზნებისთვის

საანგარიშო პერიოდში საიას მონიტორებმა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების **12** და წინასაარჩევნო აგიტაციაში უკანონო მონაწილეობის **5** ფაქტი დააფიქსირეს. საიას მონიტორებმა შესაბამისი განცხადებებით საარჩევნო ადმინისტრაციასა და უწყებათაშორის კომისიას მიმართეს.

აღსანიშნავია, რომ წინასაარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყებამდე, განხორციელდა კონკრეტული აქტივობები და გამოიკვეთა ტენდენციები, რაც ტოვებდა აღქმას, რომ, სავარაუდოდ, აღნიშნული აქტივობები ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით ამომრჩევლის გულის მოგებას ისახავდა მიზნად. კერძოდ:

- რიგ მუნიციპალიტეტში შეინიშნებოდა ადგილობრივი ბიუჯეტების ცვლილებები და თანხების მიმართვა სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტების, აგრეთვე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისკენ.
- განხორციელდა პროექტები, რომლებიც მოკლევადიანი იყო, ემთხვეოდა საარჩევნო პერიოდს და საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა. ხშირად ასეთი ტიპის პროგრამა მოსახლეობას უფასო სამედიცინო გამოკვლევებსა და მომსახურებას სთავაზობდა.
- ადგილობრივი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები ეცნობოდნენ მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ხვდებოდნენ მოსახლეობას, ისმენდნენ მათ პრობლემებს და მიმდინარე თუ სამომავლო პროექტების თაობაზე ახალ ინფორმაციას აწოდებდნენ. მაგალითად, უფასო ჯანმრთელობის დაცვის აქციებს ხშირად ესწრებოდნენ სახელმწიფო რწმუნებულები – გუბერნატორები, მათი მოადგილეები, მუნიციპალიტეტების მერები და გამგებლები, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სხვა მაღალი თანამდებობის პირები.

წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების შემდგომ დაფიქსირდა შემდეგი ფაქტები:

- მოქმედი მერები და გამგებლები, რომლებიც ამავე დროს კანდიდატებად იყვნენ რეგისტრირებულნი, წინასაარჩევნო კამპანიას ფაქტობრივად პოსტიდან ახორციელებდნენ და, ამ მიზნით, სავარაუდოდ ადმინისტრაციულ რესურსს იყენებდნენ.
- ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული პირების (სკოლის, საბავშვო ბაღების პედაგოგების, ააიპ-ების თანამშრომლების) ჯგუფურ დასწრებას მმართველი პარტიის წინასაარჩევნო შეხვედრებზე. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ასეთი ხასიათის დასწრებები ატარებდა ორგანიზებულ და სავალდებულო ხასიათს, რაც ცალკეულ შემთხვევებში დასტურდებოდა.
- დაფიქსირდა შემთხვევები, რომლებმაც საგანმანათლებლო პროცესების პოლიტიზირების რისკები შექმნა. მათ შორის, რესურსცენტრების ხელმძღვანელების, დირექტორებისა და პედაგოგების მხრიდან ადგილი ჰქონდა აგიტაციას მმართველი პარტიის კანდიდატების სასარგებლოდ,[122] აგრეთვე, გაკვეთილების ჩატარებას პარტიული სიმბოლიკის გამოყენებით.[123]
- როგორც თბილისში, ასევე რეგიონში დაფიქსირდა მმართველის პარტიის სასარგებლოდ ღონისძიებებზე დასწრებისა და „მხარდამჭერთა“ მობილიზების ფაქტები, მათ შორის, საბავშვო ბაღების თანამშრომელთა რესურსის გამოყენებით.
- დაფიქსირდა საჯარო მოხელეების მხრიდან სოციალური ქსელის პირადი გვერდების მეშვეობით გარკვეული ხასიათის პოლიტიკური მოწოდებები.[124]
- ამ არჩევნებზე აქტუალური გახდა სოციალური ქსელებით კონტრაგიტაციის ფაქტებიც, რაც პერმანენტულ ხასიათს ატარებდა და სხვადასხვა სუბიექტის წინააღმდეგ ანონიმური, დასპონსორებული გვერდების მეშვეობით ხორციელდებოდა. აღნიშნული, ცხადია, უარყოფითად აისახებოდა წინასაარჩევნო გარემოზე.[125]

ზემოთ დასახელებული ფაქტები წარმოადგენდა სავარაუდოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას მმართველი პარტიის სასარგებლოდ, რაც ეწინააღმდეგება ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.4 მუხლს, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიის საქმიანობის

[122] ყვარელი და ზუგდიდი.

[123] ბორჯომი და შუახევი.

[124] http://www.justice.gov.ge

[125] აღსანიშნავია, რომ სათანადო ორგანოებმა ვერ მოახერხეს სოციალურ ქსელებში კონტრაგიტაციის მიზნით შექმნილი და დაფინანსებული ანონიმური გვერდების დამფინანსებელთა შესახებ ინფორმაციის შესწავლა და ამ ფაქტებზე რეაგირება.

გამიჯვნას. აღნიშნული მუხლის თანახმად, პოლიტიკური პარტიები არ უნდა იყვნენ აღრეულნი სახელმწიფოსთან.[126]

მუქარის, ზეწოლისა და ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტები

საანგარიშო პერიოდში საიას მონიტორების მიერ დაფიქსირდა სავარაუდო **მუქარა/ზეწოლის 10-ზე** მეტი და **ფიზიკური დაპირისპირების 7 ფაქტი.**

წინასაარჩევნო პერიოდში ადგილი არ ჰქონია ძალადობისა და ფიზიკური დაპირისპირების მასშტაბურ შემთხვევებს. მიუხედავად ამისა, არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად, მოიმატა სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით განხორციელებული ზეწოლა-მუქარისა თუ დაშინების შემთხვევებმა.[127] საანგარიშო პერიოდში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის კანდიდატები საკუთარ კანდიდატურებს ზეწოლის ან გადაბირების შედეგად ხსნიდნენ. რამდენიმე ოლქში სარჩევნო სუბიექტებად რეგისტრირებულმა პირებმა კანდიდატურები, სავარაუდოდ, განხორციელებული ზეწოლის შედეგად მოხსნეს.[128] საყურადღებო ინფორმაცია სავარაუდოდ ზეწოლისა და მუქარის ფაქტების შესახებ ვრცელდებოდა იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მოქმედი გამგებლები სახელისუფლებო პარტიის მხარდაჭერით აღარ სარგებლობდნენ და არჩევნებში „ქართული ოცნების“ მიერ ნომინირებული კანდიდატების კონკურენტები იყვნენ. რიგ შემთხვევებში, საჯარო მოხელეებსა და პედაგოგებს სავარაუდოდ მმართველი პარტიის სასარგებლოდ საქმიანობას სთხოვდნენ. ოპოზიციური პარტიებისა თუ დამოუკიდებელი კანდიდატების მხარდამჭერები საუბრობდნენ მათი ან მათი ოჯახის წევრების სამსახურიდან გათავისუფლების მუქარის ფაქტებზეც.[129]

საია აღნიშნულ შემთხვევებთან დაკავშირებით, საკუთარ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელთა გადამოწმებასაც პირველწყაროსთან ახერხებდა, შესაბამისი რეაგირებისთვის უწყებათაშორის კომისიას მიმართავდა.[130]

უწყებათაშორისი კომისიის საბოლოო ანგარიშის თანახმად, კომისიაში შესულ და მედიამონიტორინგის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, პროკურატურის ზედამხედველობით, სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოძიება უმოკლეს ვადებში დაიწყო სისხლის სამართლის 48 საქმეზე.[131] კომისიის ანგარიშის თანახმად, 48 საქმიდან 9 საქმეზე შეწყდა გამოძიება დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. გამოძიება მიმდინარეობდა სისხლის სამართლის 39 საქმეზე. იმ საქმეებიდან, რომლებზეც დაიწყო გამოძიება, 4 საქმეზე 9 პირის მიმართ განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა.[132] 9 პირიდან 6 პირის მიმართ სასამართლომ გამოიყენა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება – გირაო, 2 პირი სასამართლომ დატოვა აღკვეთის ღონისძიების გარეშე, ხოლო 1 პირის მიმართ არ ყოფილა მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება და გაფორმდა განრიდება.[133]

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სავარაუდო ზეწოლის ფაქტებზე გამოძიების დაწყების მიუხედავად, რიგი ფაქტები სამართლებრივი რეაგირების გარეშე დარჩა. მაგალითად, თბილისის ბაგა-ბაღებში დირექტორების მიერ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა სიების მოგროვებასთან დაკავშირებით მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაციით სამართალდამცავი უწყებები არ დაინტერესებულან.

---

[126] http://www.osce.org/odihr/elections/14304?download=true

[127] https://gyla.ge/ge/post/2017-tslis-adgilobrivi-tvitmmartvelobis-archevnebi-tsinasaarchevno-garemos-shefaseba#sthash.IAOh2nEu.dpbs

[128] ოფიციალური მონაცემებით, კანდიდატურის მოხსნისთვის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში რეგისტრაციიდან მოიხსნა სხვადასხვა ოლქში საკრებულოს დეპუტატობის 196 და მერობის 21 კანდიდატი.
http://cesko.ge/res/docs/Majoritarebimoxsnili10.10.2017GEO.pdf;
http://cesko.ge/res/docs/Merebimoxsnili10.10.2017GEO.pdf

[129] https://gyla.ge/ge/post/2017-tslis-adgilobrivi-tvitmmartvelobis-archevnebi-tsinasaarchevno-garemos-shefaseba

[130] http://justice.gov.ge/Ministry/Index/1502 - ზეწოლის, მუქარისა და ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტების შესახებ დაწვრილებით იხილეთ დანართში.

[131] მათ შორის: სსკ-ის 124-ე მუხლით (ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით – 1 ფაქტი), 126-ე მუხლით (ძალადობა – 12 ფაქტი), 126-ე და 151-ე მუხლებით (ძალადობა და მუქარა – 1 ფაქტი); 126-ე, 118-ე და 120-ე მუხლებით (ძალადობა და ჯანმრთელობის მსუბუქი და ნაკლებად მძიმე დაზიანება – 1 ფაქტი), 177-ე მუხლით (ქურდობა – 2 ფაქტი), 187-ე მუხლით (სხვისი ქონების განზრახ დაზიანება – 13 ფაქტი), 333-ე მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება – 12 ფაქტი), 151-ე მუხლით (მუქარა – 2 ფაქტი); 150-ე მუხლით (იძულება – 2 ფაქტი); 1621-ე მუხლით (საარჩევნო კამპანიის დროს განხორციელებული ძალადობა – 1 ფაქტი) და 164[1]-ე მუხლით (ამომრჩევლის მოსყიდვა – 1 ფაქტი).

[132] მათ შორის, სსკ-ის 151-ე მუხლით (მუქარა – 1 პირის მიმართ), 126-ე მუხლით (ძალადობა – 6 პირის მიმართ), 118-ე და 120-ე მუხლებით (ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე და მსუბუქი დაზიანება – 1 პირის მიმართ) და 126 და 151-ე მუხლებით (ძალადობა და მუქარა – 1 პირის მიმართ).

[133] http://www.justice.gov.ge

წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეშლის ფაქტები

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა სააგიტაციო მასალების გავრცელებაში ხელშეშლის არაერთი შემთხვევა, მათ შორის, სააგიტაციო პლაკატების ჩამოხევა, გადაკვრა, დაზიანება. ასევე, ადგილი ჰქონდა წინასაარჩევნო შეხვედრების ხელშეშლის ფაქტებსაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეშლაზე (კონტრაქციებსა და საარჩევნო მასალების დაზიანებაზე) საუბრობდა მმართველი პარტიაც.

უწყებათაშორის კომისიაში სხვადასხვა სუბიექტის მიერ სააგიტაციო მასალის გადაფარვა/ჩამოხევა/დაზიანების თაობაზე განცხადებები წარდგენილი იყო სულ 18 ფაქტზე.[134]

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ფიზიკური დაპირისპირების შემთხვევები, ადგილი ჰქონდა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა დაკავების ფაქტებსაც.

2017 წლის 25 სექტემბერს უწყებათაშორისმა კომისიამ რეკომენდაციით მიმართა საარჩევნო სუბიექტებს, გაეცათ მკაფიო მითითება და არ დაეშვათ მათი კანდიდატებისა თუ რიგითი წევრების მხრიდან ვერბალური ან/და ფიზიკური აგრესია, ზეწოლა ან სხვა სახის არაეთიკური ქმედებები ერთმანეთისა თუ სახელმწიფო ინსტიტუტებისა და მათი წარმომადგენლებისადმი, რათა გამორიცხულიყო პოლიტიკურ ნიადაგზე, თუნდაც, სიტყვიერი დაპირისპირება.[135]

სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, წინა წლებთან შედარებით, ხშირი არ იყო სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევები. მონიტორინგის შედეგად, სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების მხოლოდ 1 ფაქტი გამოვლინდა.[136]

IX. არჩევნების დღე

პირველი ტური

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღის მონიტორინგს თბილისსა და საქართველოს 9 რეგიონში **510** დამკვირვებლის მეშვეობით ახორციელებდა.

კენჭისყრის პროცესი მთელი ქვეყნის მასშტაბით, ძირითადად, მშვიდ ვითარებაში წარიმართა. მართალია, არ გამოვლენილა ძალადობის შემთხვევები, თუმცა, დაფიქსირდა რიგი დარღვევები, რომლებიც სცდებოდა პროცედურული ხასიათის პრობლემებს (მაგალითად, დამკვირვებლებზე ზეწოლა და მათთვის არახელსაყრელი სამუშაო გარემოს შექმნა). არაერთ უბანზე დარღვევებით წარიმართა ხმის დათვლის პროცესი. დაფიქსირდა ფაქტები, როდესაც საოლქო კომისიამ არ უზრუნველყო უბნებიდან შემოსული შემაჯამებელი ოქმების ხელმისაწვდომობა დამკვირვებლებისთვის. ზოგიერთ შემთხვევაში საარჩევნო დოკუმენტაციის მიღება-დახარისხება ატარებდა ქაოსურ ხასიათს. არჩევნების დღეს, ცესკოს ჩარევის შედეგად, აღნიშნული დარღვევები აღმოიფხვრა.

კენჭისყრის დღეს კარგად ორგანიზებულ და მასშტაბურ ხასიათს ატარებდა მმართველი პარტიის მხრიდან ამომრჩევლის მონაცემების შეგროვება და ამომრჩეველთა მობილიზება ხმის მიცემის მიზნით, განსაკუთრებით თბილისში. მთელი დღის განმავლობაში, საარჩევნო უბნებზე, რეგისტრატორების გვერდით, უკან ან ნაკადის მომწესრიგებელთან იდგნენ „ქართული ოცნების“, „მემარცხენე ალიანსის“ ან სადამკვირვებლო ორგანიზაცია „ახალი სიტყვის“ წარმომადგენლები და აღრიცხავდნენ უბანზე მოსული ამომრჩევლის მონაცემებს.

დღის განმავლობაში ნათელი გახდა, რომ ამ სუბიექტების ინტერესს წარმოადგენდა არა უბნებზე მისული ამომრჩევლის ზოგადი რაოდენობის, არამედ მათი ვინაობის დადგენა და არმისული ამომრჩევლის იდენტიფიცირება. არაერთმა ჩვენმა მონიტორმა დააფიქსირა, რომ მას შემდეგ, რაც სუბიექტის წარმომადგენლები აღრიცხავდნენ უბანზე მისულ ამომრჩეველს, უკვე უბნის გარეთ მყოფი პარტიული კოორდინატორები საუბრობდნენ იმაზე, თუ ვინ არ იყო იმ დროისათვის გამოცხადებული უბანზე და ხდებოდა მათი მობილიზება ხმის მისაცემად.

აღნიშნული პროცესი საიამ შეაფასა, როგორც კონტროლი ამომრჩევლის ნების თავისუფლად გამოვლენაზე. მიუხედავად ორგანიზაციის არაერთი მოწოდებისა, ცესკოს არათუ რეაგირება არ მოუხდე-

[134] აქედან: 8 – „ევროპული საქართველოს“, 2 – „შენების მოძრაობის“, 2 – „ახალი საქართველო – პოლიტიკური პლატფორმის“ და 6 ფაქტი მმართველი პარტიის („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“) სააგიტაციო მასალების გადაფარვა/ჩამოხევა/დაზიანებას შეეხებოდა.

[135] http://www.justice.gov.ge.

[136] იხ. დანართი №5.

ნია, არამედ თავისი საჯარო განცხადებით მსგავსი ფაქტები გაამართლა და წაახალისა კიდეც.[137]

2017 წლის არჩევნების შეფასებისას, საიამ ყურადღება გაამახვილა ასევე საოლქო საარჩევნო კომისიებში სივრცითი მოწყობის პრობლემაზე, რომელიც არაერთი წელია არსებობს და, მიმდინარე წლის აგვისტოში ცესკოს მიერ გაცემული შესაბამისი რეკომენდაციის მიუხედავად, არ აღმოფხვრილა.

საიას შეფასებით, საოლქო საარჩევნო კომისიების განთავსება და სივრცითი მოწყობა არ ქმნის სათანადო პირობებს პროცესებზე სრულყოფილი დაკვირვებისთვის. ფიქსირდებოდა შემთხვევები, როდესაც კომისიის რიგი წევრები დღის სხვადასხვა მონაკვეთში ცალკე იკრიბებოდნენ გარკვეული საკითხების განსახილველად, თუმცა, ეს დისკუსიები, ოლქში მიმდინარე საერთო პროცესის პარალელურად, დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა და მათი შინაარსი არ იყო ღია და ხელმისაწვდომი დამკვირვებლებისთვის. მსგავსი ფაქტები კი, ხელს უშლიდა საოლქო კომისიებში მიმდინარე საარჩევნო პროცესების გამჭვირვალედ წარმართვას.

მონიტორინგმა გამოავლინა, რომ უბნების ნაწილი არ იყო ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.

კენჭისყრის დღის განმავლობაში საიას დამკვირვებლებმა დაწერეს 147 საჩივარი (აქედან – 66 საჩივარი საოლქო კომისიის დონეზე) და 162 შენიშვნა.



X. მეორე ტური

წინასაარჩევნო პერიოდი

მერის არჩევნების მეორე ტურის წინასაარჩევნო პროცესები დაძაბულად წარიმართა ოზურგეთში, სადაც ერთმანეთს მმართველი გუნდისა და საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი დამოუკიდებელი კანდიდატი დაუპირისპირდნენ.

სავარაუდო ზეწოლისა და მუქარის ფაქტებზე დამოუკიდებელი კანდიდატის შტაბის წევრები საუბრობდნენ.[138]

„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ მეორე ტურში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. შესაბამისად, ქუთაისსა და მარტვილში პარტიის მერობის კანდიდატები წინასაარჩევნო კამპანიაში აღარ ჩაერთნენ. ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურში კანდიდატების რეგისტრაციიდან მოხსნის შესაძლებლობას არ ითვალისწინებდა, არჩევნებში მონაწილეობის სურვილის არქონის მიუხედავად, ორივე ოლქში პარტიის მერობის კანდიდატები საარჩევნო ბიულეტენზე მითითებულნი იყვნენ. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ქუთაისისა და მარტვილის ოლქებში არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს შორის შეჯიბრი, ფაქტობრივად, არ გამართულა.

მეორე ტურის კენჭისყრის დღე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 2017 წლის 12 ნოემბერს თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურს ქუთაისში, მარტვილში, ოზურგეთში, ხაშურში, ბორჯომსა და ყაზბეგში დააკვირდა.

[137] https://gyla.ge/ge/post/saias-shefaseba-2017-tslis-adgilobrivi-tvitmmartvelobis-archevnebis-dghestan-dakavshirebit#sthash.vtwPtkvs.dpbs

[138] დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართში.

სტატიკური დამკვირვებლები განთავსდნენ ხაშურის, ბორჯომის, ოზურგეთისა და ყაზბეგის ყველა საარჩევნო უბანზე. მარტვილსა და ქუთაისში ოლქისა და მობილური ჯგუფის მეშვეობით განხორციელდა პრობლემატურ უბნებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესების დაკვირვება.

კენჭისყრის პროცესი, ძირითადად, მშვიდ ვითარებაში წარიმართა. გამონაკლისი იყო ხაშური, სადაც დღის ბოლოს ინციდენტი მოხდა პარტია „ქართული ოცნებისა“ და დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდამჭერებს შორის.[139] სიტუაცია მალევე განიმუხტა პოლიციის ჩარევით. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საიამ განცხადება გაავრცელა და სამართალდამცავ ორგანოებს დროული, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიებისკენ მოუწოდა.[140]

ოზურგეთის რამდენიმე უბანზე დაფიქსირდა **იმ ბიულეტენების ნამდვილად მიჩნევის პრობლემა, სადაც ამომრჩეველს ნათლად ჰქონდა გაკეთებული არჩევანი.**

ამ კონტექსტში განსაკუთრებით აღსანიშნავია ნასაკირალის უბანი (ოზურგეთის №59 უბანი), სადაც ხმის დათვლის დროს არეულობა მოხდა. განვითარებული მოვლენები ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ მას შემდეგ, რაც უბანზე დამოუკიდებელი კანდიდატის სასარგებლო სურათი გამოიკვეთა, ადგილი ჰქონდა სიტუაციის განზრახ არევისა და შედეგების უსაფუძვლოდ გაბათილების მცდელობას.

ჩვენი დამკვირვებლების ინფორმაციით, ოზურგეთის №12 და №59 უბნებზე საუბნო საარჩევნო კომისიამ, არასწორად, ბათილად მიიჩნია ბიულეტენები, რომლებზეც ერთი კანდიდატი იყო შემოხაზული და მეორე კანდიდატი – იქსით (X) გადახაზული.

კენჭისყრის დღეს მთელ რიგ უბნებზე კვლავ გაგრძელდა მანკიერი პრაქტიკა, როდესაც საარჩევნო უბნების გარეთ სიებით იდგნენ დაუდგენელი პირები (სავარაუდოდ, პარტიული კოორდინატორები და აქტივისტები), რომლებიც უბნებზე მისულ ამომრჩეველს აღრიცხავდნენ. ასევე, მთელი დღის მანძილზე რიგ საარჩევნო უბნებზე ამომრჩევლები სამარშრუტო ტაქსებითა და მანქანებით მიჰყავდათ.

ბორჯომის ოლქში დაფიქსირდა რამდენიმე ფაქტი, როდესაც უბანზე გაცემული ბიულეტენების რაოდენობა 2-ით აღემატებოდა ამავე უბნებზე ამომრჩევლების ხელმოწერების რაოდენობას (სულ 4 შემთხვევა), ასევე, რამდენიმე უბანზე ადგილი ჰქონდა გადასატან ყუთთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ყაზბეგის №3 უბანზე საიას დამკვირვებლის მიერ უბნიდან წამოღებული და ცესკოს ვებგვერდზე ატვირთული ამავე უბნის შემაჯამებელი ოქმები იყო განსხვავებული. საიას დამკვირვებლის მიერ უბნიდან წამოღებულ შემაჯამებელ ოქმში შევსებული არ იყო ოქმის შედგენის თარიღი და დრო.

კენჭისყრის დღის განმავლობაში საიას დამკვირვებლებმა დაწერეს 36 საჩივარი (აქედან – 23 საჩივარი საოლქო კომისიის დონეზე) და 27 შენიშვნა.



[139] 12 ნოემბერს, დღის ბოლოს დაპირისპირება მოხდა ხაშურში მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის რამაზ ნოზაძის და „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის მხარდამჭერებს შორის. საიას ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებმა, რომლებიც მანქანებით გადაადგილებოდნენ ქალაქში, მაშხალები ესროლეს რამაზ ნოზაძის ოფისს. აღნიშნული ფაქტის შემდეგ ოფისიდან გამოვიდნენ რამაზ ნოზაძის მხარდამჭერები, ადგილი ჰქონდა ფიზიკურ დაპირისპირებას, რა დროსაც მსუბუქად დაშავდნენ მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდამჭერები, სულ 3 ადამიანი, მათ შორის 1 ახალგაზრდა ქალი. დამოუკიდებელი კანდიდატის შტაბის ინფორმაციით, ინციდენტში ქართული ოცნების მხრიდან მონაწილეობდა ხაშურის თვითმმართველობაში დასაქმებული რამდენიმე საჯარო მოხელე. ადგილზე დროულად მივიდა პოლიცია, რომელმაც განმუხტა სიტუაცია და გააშველა მხარეები. პოლიციამ ნასვამობაზე შეამოწმა დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდამჭერები და ერთ მათგანს სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა ნასვამ მდგომარეობაში ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის გამო. თუმცა, მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდამჭერების განცხადებით, პოლიციას ნასვამობაზე არ შეუმოწმებია ინცინდენტში მონაწილე „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები.

[140] https://gyla.ge/ge/post/saia-khashurshi-momkhdar-incidentis-srulyofil-gamodziebas-itkhovs#sthash.T0E8aMYJ.dpbs

საჩივრები დაიწერა შემდეგ დარღვევებზე:

- საარჩევნო კომისიის წევრების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება – 12 ფაქტი;
- გაცემული ბიულეტენების მეტობა ამომრჩევლების ხელმოწერების რაოდენობაზე ამომრჩეველთა სიაში – 4 ფაქტი;
- გადასატან ყუთთან დაკავშირებული დარღვევა – 3 ფაქტი;
- ამომრჩევლის ნების კონტროლი – 10 ფაქტი;
- ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა – 1 ფაქტი;

XI. არჩევნების შემდგომი პერიოდი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია არჩევნების დღის შემდგომი პერიოდის დაკვირვებას პირველი ტურის განმავლობაში **46 საოლქო საარჩევნო კომისიაში** ახორციელებდა, ხოლო მეორე ტურის განმავლობაში – **6 საოლქო საარჩევნო კომისიაში.** კენჭისყრის დღის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, საია შესაბამისი საჩივრებით/სარჩელებით როგორც საუბნო, ასევე საოლქო საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოს მიმართავდა.

აღსანიშნავია, რომ არჩევნების დღის შემდგომი პერიოდის საჩივრები, ძირითადად, საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში მთელ რიგ უზუსტობებს ეხებოდა, კერძოდ, ამ არჩევნებზე კვლავ პრობლემად დარჩა:

- შემაჯამებელი ოქმების არაერთგვაროვანი შევსება;
- ხელმოწერებისა და კომისიის ბეჭდების არარსებობა;
- დისბალანსი (ნაკლებობა ან მეტობა);
- შესწორების ოქმების ხშირად და კანონმდებლობის დარღვევით შედგენა, რა დროსაც არ ხდებოდა ადმინისტრაციული წარმოების სრულად ჩატარება და საქმესთან დაკავშირებული გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევა.

კენჭისყრის დღისა და შემდგომ პერიოდში საიას დამკვირვებლების მიერ წარდგენილი საჩივრები ეხებოდა:

- საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლების მიერ ამომრჩევლების პერსონალური ინფორმაციის დამუშავებას;
- კომისიის წევრების მიერ უფლებამოსილების არასათანადოდ განხორციელებასა და წილისყრის პროცედურების დარღვევებს;
- კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებულ დარღვევებს;
- დამკვირვებლის უფლებების შეზღუდვას;
- ხმის დათვლასა და კენჭისყრის შედეგების შეჯამებასთან დაკავშირებულ დარღვევებს.

ორ შემთხვევაში, საიამ საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლობა სასამართლო დონეზე განახორციელა.[141]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ შეისწავლა თიანეთის საოლქო საარჩევნო კომისიის ქმედებები და სამართალდამცავი ორგანოებს საკითხით დაინტერესებისკენ მოუწოდა.[142] სასამართლოს მიერ დადასტურდა, რომ თიანეთის საოლქო საარჩევნო კომისიამ კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით გახსნა თიანეთის №20 უბნიდან შემოსული ბათილი საარჩევნო ბიულეტენები და შემაჯამებელი ოქმის მონაცემები სახელისუფლებო კანდიდატის სასარგებლოდ შეცვალა. აღსანიშნავია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიამ არ მიიწვია საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები ბიულეტენების ხელახლა დათვლის პროცესში. აგრეთვე, სხდომაზე დასწრების საშუალება, გარკვეული პერიოდის

[141] 1) №19 თიანეთის მერობის კანდიდატის თამაზ მეჭიაურის წარმომადგენლობა, რა დროსაც დაკმაყოფილდა მოთხოვნა და გაუქმდა №19 თიანეთის ოლქის №16 და №17განკარგულებები; 2) №83 ხელვაჩაურის ოლქში საარჩევნო ბლოკ „ბაქრაძე-უგულავა – ევროპული საქართველოს“ საქმეზე, რა დროსაც სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ, შესწორების ოქმზე კომისიის წევრთა გაყალბებული ხელმოწერების მიუხედავად, კვორუმი ფიქსირდებოდა და მოთხოვნა არ დაკმაყოფილა (საქმე №82031001700214767 9 (3-166)).

[142] https://gyla.ge/ge/post/sadamkvirveblo-organizaciebi-moutsodeben-samartaldamcav-organoebs-tianetis-saolqo-da-20-saubno-saarchevno-komisiis-qmedebebit-dainteresdnen#sthash.LDHHa9w1.dpbs

განმავლობაში, არ ეძლეოდა ასევე საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს, ვინაიდან ოლქის მიმდებარე ტერიტორიაზე მობილიზებული იყო პოლიცია და კომისიაში შესვლის უფლებას ამ პერიოდში არავის აძლევდა.

გარდა სტრატეგიული სამართალწარმოებისა, საიას დამკვირვებლები სწავლობდნენ სხვა სუბიექტების (ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების) მიერ საოლქო საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში წარმოებულ საარჩევნო დავებს. მონიტორინგის პროცესში საიას დამკვირვებლების მიერ შესწავლილი იყო საარჩევნო სუბიექტებისა (3 საჩივარი) და სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ (64 საჩივარი) საოლქო საარჩევნო კომისიებში ნაწარმოები 67 საარჩევნო დავა (ქვემო ქართლი, კახეთი და აჭარა). აღნიშნულ შემთხვევებში საოლქო საარჩევნო კომისიებში საჩივრები ძირითადად წარდგენილი იყო კენჭისყრის პროცედურების უგულებელყოფასთან, შემაჯამებელი ოქმების არასათანადოდ შედგენასა და ამომრჩეველთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით.



საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგენილი საჩივრებიდან (ჯამში 270 საჩივარი) **2 შემთხვევაში** მოთხოვნილი იყო კენჭისყრის შედეგების ბათილობა,[143] **39 შემთხვევაში** – საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმების ბათილობა, **58 შემთხვევაში** – კენჭისყრის შედეგების გადათვლა, **220 შემთხვევაში** – საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების დისციპლინური პასუხისმგებლობა, **4 შემთხვევაში** – საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.[144]

საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილებები საიამ სასამართლოში გაასაჩივრა.

[143] №79 ბათუმის ოლქის №102 და №22 საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელ ოქმებში ბიულეტენების მეტობასთან დაკავშირებით.

[144] საიას დამკვირვებლები ერთ საჩივარში აფიქსირებდნენ რამდენიმე მოთხოვნას, ამიტომ მოთხოვნების რაოდენობა აღემატება საჩივრების რაოდენობას.







	დისციპლინური პასუხისმგებლობა	ბათილად მიჩნეული ბიულეტენების გადათლა	გადასატანი საარჩევნო ყუთის ბიულეტენების გაბათილება
დაკმაყოფილდა	13	1	1
არ დაკმაყოფილდა	8	0	0

მეორე ტურზე საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგენილი საჩივრებიდან **1 შემთხვევაში** მოთხოვნილი იყო ბათილად მიჩნეული ბიულეტენების ხელახლა გადათვლა/გადამოწმება,[145] **1 შემთხვევაში** – გადასატანი საარჩევნო ბიულეტენების შედეგების ბათილად ცნობა,[146] **1 შემთხვევაში** – 16 ბათილ ბიულეტენზე რეგისტრატორების ბეჭდების ნომრების მიხედვით, რეგისტრატორების იდენტიფიცირება და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება,[147] **22 შემთხვევაში** – საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების დისციპლინური პასუხისმგებლობა.

გამოვლენილი ტენდენციები

კონკრეტული დარღვევებისა და წარმოებული საარჩევნო დავების სტატისტიკასთან ერთად, საია მიუთითებს **რამდენიმე ტენდენციაზე,** რომელსაც ადგილი ჰქონდა საარჩევნო დავების განხილვისას როგორც **საარჩევნო ადმინისტრაციებში, ასევე რაიონულ/საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში.**

1) საჩივრების დაუკმაყოფილებლობის ტენდენცია:

- ძირითადად, საარჩევნო დავების განხილვისას გამოიკვეთა, რომ, მიუხედავად კანონმდებლობის დარღვევის დადასტურებისა, საარჩევნო ადმინისტრაციები და სასამართლოები, იმ მოტივით, რომ **დარღვევას შედეგზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია,** არ აკმაყოფილებდნენ საჩივრებს **შემაჯამებელი ოქმების ბათილობისა და უბნების შედეგების გადათვლის შესახებ და მხოლოდ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებით შემოიფარგლებოდნენ;**
- მიუხედავად დარღვევის სიმძიმისა, მთელ რიგ შემთხვევებში, საარჩევნო ადმინისტრაცია სრულად არ აკმაყოფილებდა საჩივრებს და მხოლოდ დისციპლინურ პასუხისმგებლობას უფარდებდა კომისიის წევრებს.

ზემოაღნიშნული ტენდენციიდან გამონაკლისს წარმოადგენდა სამგორის საოლქო საარჩევნო კომისია. აღნიშნული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო ერთადერთი 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, რომლის მიხედვითაც, საიას მოთხოვნის შესაბამისად, მოხდა შედეგების ხელახალი გადათვლა. რაც შეეხება №12 გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისიას, მან დააკმაყოფილა საიას შუამდგომლობა ერთსა და იმავე საკითხებზე წარდგენილი საჩივრების ერთობლივი განხილვის შესახებ. კომისიის მიერ დაკმაყოფილდა შეტანილი საჩივრებიც.

2) ხარვეზები ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით:

- მიღებული განკარგულებები არ შეიცავდა სათანადო დასაბუთებას და მათი მიღებისას დარღვეული იყო ადმინისტრაციული წარმოების უმთავრესი პრინციპი – ადმინისტრაციულმა ორგანომ სრულყოფილად გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე;
- შემაჯამებელი ოქმების მნიშვნელოვანი ნაწილი შესწორებული იყო და კენჭისყრის დღის მომდევნო დღეს დგებოდა შემაჯამებელი ოქმების შესწორების ოქმები საუბნო საარჩევნო კომისიის შესაბამისი წევრების მონაწილეობის გარეშე;[148]
- შესწორების ოქმი დგებოდა მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მეხსიერებისა და არა – საარჩევნო დოკუმენტაციის (ჩანაწერთა წიგნის, ბიულეტენების) გახსნისა და მათი არსებითი შესწავლის საფუძველზე;
- საოლქო საარჩევნო კომისიები უდავო და ზოგჯერ ერთადერთ მტკიცებულებად საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ახსნა-განმარტებებს მიიჩნევდნენ, მათ შორის ისეთ შემთხვევებში, როდესაც ახსნა-განმარტება შემაჯამებელ ოქმებში არსებულ დისბალანსთან დაკავშირებით გამომრიცხავ მტკიცებულებას აყალიბებდა;

[145] ოზურგეთის №60 ოლქის №59 საარჩევნო უბანი.

[146] ოზურგეთის №60 ოლქის №13 საარჩევნო უბანი.

[147] ოზურგეთის №60 ოლქის №16 საარჩევნო უბანი.

[148] აღნიშნულის დამკვიდრებას ხელი შეუწყო მიმდინარე წელს საქართველოს საარჩევნო კოდექსში 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის დ[1] პუნქტის დამატებამ, რომლის თანახმადაც, საუბნო საარჩევნო კომისიას მიეცა უფლება, შეედგინა კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმი ***შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ახსნა-განმარტებების ან/და სხვა სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების არსებობისას.***

- მიუხედავად იმისა, რომ, კონკრეტულ შემთხვევებში, არსებული დარღვევები შესაბამისი მტკიცებულებებით იყო გამყარებული, საოლქო საარჩევნო კომისიები არ აკმაყოფილებდნენ საჩივარში დაყენებულ მოთხოვნებს და სათანადოდ არ იკვლევდნენ მტკიცებულებებს, განსაკუთრებით, საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების ბათილობისა და კენჭისყრის შედეგების გადათვლის მოთხოვნის ნაწილში;
- საოლქო საარჩევნო კომისიები საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით არ ატარებდნენ ადმინისტრაციულ წარმოებას;[149]
- კენჭისყრაზე დგებოდა საკითხი, რომელიც არსებითად არ იყო გამოკვლეული.

3) პროაქტიულად საჩივრების განხილვის იშვიათი შემთხვევები:

- საოლქო კომისიები იშვიათად იჩენდნენ ინიციატივას, დაინტერესებულ პირთა საჩივრის არსებობის გარეშე, პროაქტიულად შეესწავლათ შესაძლო დარღვევები და მოეხდინათ მათზე შესაბამისი რეაგირება.

ანალოგიური სიტუაცია იყო სხვა სუბიექტების მიერ წარდგენილი საჩივრების განხილვის დროსაც.

სამართალწარმოება სასამართლოებში

ხშირ შემთხვევაში სასამართლოები არ აკმაყოფილებდნენ საჩივრებს შემაჯამებელი ოქმების ბათილობისა და უბნების შედეგების გადათვლის ნაწილში, მათ შორის, უხეში დარღვევის არსებობისას. ისინი იზიარებდნენ საარჩევნო კომისიების არგუმენტაციას, რომლის მიხედვითაც: **„დარღვევა არ წარმოადგენდა საარჩევნო კანონმდებლობის უხეშ დარღვევას“, „დარღვევას არ მოუხდენია გავლენა ამომრჩევლის თავისუფალი ნების გამოვლენაზე და კენჭისყრის დღისა და არჩევნების შედეგებზე“.**

მნიშვნელოვანი იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არჩევნებში მონაწილე პირთა მაიდენტიფიცირებელი, პერსონალური მონაცემების აღრიცხვის საქმეზე.[150] სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა საიას საჩივარი და განმარტა, რომ საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს/დამკვირვებელს არ ჰქონდა არჩევნებში მონაწილე პირთა მაიდენტიფიცირებელი, პერსონალური მონაცემების აღრიცხვის უფლება.

აგრეთვე, მნიშვნელოვანი იყო მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება.[151] სასამართლომ ბათილად ცნო თიანეთის ოლქის №16 და №17 უბნების განკარგულებები, ვინაიდან ისინი გამოცემული იყო ზოგადი ადმინისტრაციული და საარჩევნო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დაცვის გარეშე.[152]

XII. რეკომენდაციები

გამოკვეთილი პრობლემებიდან და დაფიქსირებული დარღვევებიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ რეკომენდაციებს, რომლებიც, საიას მოსაზრებით, დაეხმარება ჩართულ მხარეებს, განამტკიცონ მიღწევები და აღმოფხვრან 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის დამახასიათებელი ხარვეზები.

საკანონმდებლო ჩარჩო

- უნდა მოხდეს ქალთა მონაწილეობის გაზრდა პოლიტიკაში და, ამ მიზნით, დროებით, სავალდებულო კვოტირების მექანიზმის შემოღება, რომელიც ითვალისწინებს პროპორციულ სიაში ყოველ მეორე კანდიდატად განსხვავებული სქესის წარმომადგენლის ყოლას.
- მნიშვნელოვანია კანონმდებლობის გადასინჯვა საარჩევნო ადმინისტრაციაში მხარდამჭერთა ხელმოწერების წარსადგენად მერობის დამოუკიდებელი კანდიდატისთვის დადგენილი ვადის გაზრდის მიზნით.

[149] თიანეთის, კრწანისის, მარნეულის, დმანისის ოლქები.

[150] ქ. თბილისი, 28 ოქტომბერი, 2017 წელი (საქმე №3ბ/7325-17. საქმე №330310017002143594).

[151] ქ. მცხეთა, 25 ოქტომბერი, 2017 წელი (საქმე №-3/266 -17).

[152] https://gyla.ge/ge/post/sadamkvirveblo-organizaciebi-moutsodeben-samartaldamcav-organoebs-tianetis-saolqo-da-20-saubno-saarchevno-komisiis-qmedebebit-dainteresdnen#sthash.QNDT9MKz.dpbs

- მოქმედმა კანონმდებლობამ უნდა გაითვალისწინოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურში კანდიდატების რეგისტრაციიდან მოხსნის შესაძლებლობა, რაც, არჩევნებში მონაწილეობის სურვილის არქონის შემთხვევაში, მათ უფლებას მისცემს, არჩევნების მეორე ტურს, ფაქტობრივის გარდა, სამართლებრივადაც გამოეთიშონ.
- წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის ცნება უნდა განისაზღვროს იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით სოციალური ქსელით აგიტაციის აკრძალვა.
- საკანონმდებლო დონეზე უნდა განისაზღვროს არჩევნებში მონაწილე ინდივიდუალური პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების უფლებრივი თანასწორობა. საარჩევნო ბლოკები უნდა იღებდნენ ზუსტად ისეთივე სარგებელს, როგორსაც იღებს არჩევნებში მონაწილე ინდივიდუალური პარტია.

უწყებათაშორისი კომისია

- მნიშვნელოვანია, რომ უწყებათაშორისი კომისია გასცდეს მხოლოდ პრეტენზიების მოსმენისა და ინფორმაციის ურთიერთგაზიარების პლატფორმას და იქცეს უფრო ქმედით და ეფექტურ უწყებად.

საარჩევნო ადმინისტრაცია

- საიას მოსაზრებით, უნდა განხორციელდეს საარჩევნო ადმინისტრაციის ძირეული რეფორმა და საარჩევნო ადმინისტრაციის ზემდგომი ორგანოები (ცესკო, ოლქი) მხოლოდ პროფესიული ნიშნით დაკომპლექტდეს აპოლიტიკური და დამოუკიდებელი წევრებით, რაც გაზრდის ნდობას საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ. გარდამავალ ეტაპზე, მანამ, სანამ საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების კუთხით ძირეული საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდება, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი არჩევნების შედეგებზე უნდა იყოს მიბმული, თუმცა, არა – დღეს არსებული გაუმართლებელი ფორმით. ერთ პარტიას საარჩევნო ადმინისტრაციაში მხოლოდ ერთი წევრის დანიშვნის უფლება უნდა ჰქონდეს და არა – რამდენიმე წევრის, როგორც ეს დღეს მოქმედი წესით არის გათვალისწინებული. აგრეთვე, გარდამავალ პერიოდში მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა და კომისიის წევრთა შერჩევის წესი და პრაქტიკა.
- მნიშვნელოვანია, რომ პროფესიული წევრების კვოტით კომისიის შემადგენლობაში რეალურად იყვნენ წარმოდგენილნი დამოუკიდებელი, კომპეტენტური კადრები და არა – რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან ასოცირებული ან მისდამი ლოიალურად განწყობილი ადამიანები.
- საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისა და საარჩევნო პროცესების გაუმჯობესების კუთხით, მნიშვნელოვანია კენჭისყრის პროცედურების გამარტივება, ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა უბნებზე, მათ შორის, ხმების დათვლა ელექტრონული წესით.
- უნდა მოხდეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების სერტიფიცირების ვალდებულების შემოღება. სერტიფიცირების შედეგების მიხედვით, უნდა ხდებოდეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შერჩევა.
- საჭიროა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება და საარჩევნო დოკუმენტაციის წარმოების უნარების განმტკიცება.
- კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შევსების გაუმჯობესების მიზნით, უნდა მოხდეს ოქმების შევსების ერთგვაროვანი წესის შემოღება.
- საარჩევნო კომისიის წევრებმა ადმინისტრაციული წარმოება კანონის მოთხოვნების დაცვით უნდა განახორციელონ, საჩივარში ასახული დარღვევები დეტალურად უნდა შეისწავლონ, მტკიცებულებები ჯეროვნად გამოიკვლიონ და მიღებული გადაწყვეტილებები უნდა დაასაბუთონ.
- პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებისას, საარჩევნო კომისიებმა უნდა უზრუნველყონ, რომ გათვალისწინებული იყოს დარღვევის სიმძიმე.

სასამართლო

- მნიშვნელოვანია, რომ საარჩევნო დავების განხილვისას სასამართლომ კანონი მართებულად განმარტოს და გამოიყენოს.
- საარჩევნო დავების კუთხით მუდმივად უნდა ხდებოდეს მოსამართლეთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

- სასურველია, შემუშავდეს საარჩევნო დავების განხილვის ერთიანი მოდული, რომელიც დაეხმარება მოსამართლეებს, უკეთ გაერკვნენ საარჩევნო კანონმდებლობის სპეციფიკაში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დროულად უნდა განახორციელოს წინასაარჩევნო კამპანიის დარღვევის ფაქტების შესწავლა და შეფასება.
- უნდა შემუშავდეს მეთოდოლოგია, რომელიც შესაძლებელს გახდის სოციალურ ქსელებში კონტრაგიტაციის მიზნით შექმნილი და დაფინანსებული ანონიმური გვერდების დამფინანსებელთა შესახებ ინფორმაციის შესწავლას და ამ ფაქტებზე რეაგირებას.

სამართალდამცავი ორგანოები

- სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არჩევნებთან დაკავშირებული ინციდენტები დროულად, სრულყოფილად და ობიექტურად იყოს გამოძიებული.
- ასევე, მათ უნდა გამორიცხონ მიკერძოების აღქმა პოლიტიკურად აქტიურ პირებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების მიმართ.
- სამართალდამცავი ორგანოები უნდა დაინტერესდნენ საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა პოლიტიკური ძალის კანდიდატებზე სავარაუდო ზეწოლის ფაქტებით და წინასაარჩევნო პერიოდში მომხდარ ამ და სხვა სახის კანონდარღვევებზე სათანადო და ადეკვატური რეაგირება მოახდინონ.

საარჩევნო სუბიექტები

- საარჩევნო სუბიექტებმა უარი უნდა თქვან ამომრჩევლის პერსონალური მონაცემების უკანონო შეგროვებასა და დამუშავებაზე.

XIII. დანართები

დანართი №1

საარჩევნო ადმინისტრაცია

წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას თელავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ლეიბორისტული პარტიის თელავის მერობის კანდიდატს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ლეიბორისტული პარტიის მერობის კანდიდატს საარჩევნო კომისიის მუშაობაში ხელშეშლას ედავებოდა. 2017 წლის 7 სექტემბერს ლეიბორისტული პარტიის მერობის კანდიდატი ნიკოლოზ ვარდოშვილი თელავის საოლქო-საარჩევნო კომისიის შენობაში რამდენიმე თანაპარტიელთან და ჟურნალისტთან ერთად მივიდა და კომისიის თავმჯდომარისგან კონკრეტულ საარჩევნო საკითხებზე განმარტების მიღება მოითხოვა. საარჩევნო ადმინისტრაციამ ნიკოლოზ ვარდოშვილს პასუხისმგებლობა დააკისრა „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 91[1] მუხლის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ჯარიმას 500 ლარის ოდენობით საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში ჩარევის გამო. თელავის საოლქო საარჩევნო კომისიამ გააიგივა ტერმინები „ხელის შეშლა“ და „ფუნქციებსა და საქმიანობაში ჩარევა“, შედეგად კი მერობის კანდიდატის მიმართ გამოყენებულ იქნა არაპროპორციული და დაუსაბუთებელი ზომები. სასამართლომ სამართალდამრღვევად ცნო ლეიბორისტული პარტიის მერობის კანდიდატი და მას, ჯარიმის სახით, 500 ლარის გადახდა დააკისრა. საია მერობის კანდიდატის ინტერესებს სასამართლოში წარმოადგენდა.

დანართი №2

სახელმწიფო რესურსების გამოყენება საარჩევნო მიზნებისთვის

- 2017 წლის 1 ივლისიდან ამავე წლის ბოლომდე ამოქმედდა უფასო მედიკამენტების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ქრონიკული დაავადების მქონე მოქალაქეებისათვის სიმბოლურ ფასად მედიკამენტების მიღებას;[153]
- სტომატოლოგიური კლინიკა „New Dent" დევნილ მოსახლეობას უფასო სტომატოლოგიურ მომსახურებას უფასოდ უწევდა. პროექტის პერიოდი საარჩევნო პერიოდს ემთხვეოდა;[154]
- თბილისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლებისა და თბილისის საბავშვო ბაღების თანამშრომელთა მობილიზების ფაქტი რესტორან „ბარაკონში", „ქართული ოცნების" თბილისის მერობის კანდიდატთან შეხვედრაზე;
- ბორჯომის №1 საჯარო სკოლის მონაწილეობით ჩატარდა ასფალტზე ხატვის აქცია[155], რომელიც გაფორმებული იყო „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" პარტიული დროშებით;
- შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ სხეფის საჯარო სკოლის ერთ-ერთ სასწავლო ოთახში დაფიქსირდა სკოლის მოსწავლეთათვის „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" დროშებით ხელში ფოტოს გადაღებისა და სკოლის პერსონალის მიერ ამ ფოტოს სოციალურ ქსელში განთავსების ფაქტი;
- სადახლოს №2 საჯარო სკოლის დირექტორი შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა და მოსახლეობას მოუწოდა აქტიურად ჩაერთონ არჩევნებში და ხმა „ქართულ ოცნებას" მისცენ;
- ზუგდიდში „ქართული ოცნების" წინასაარჩევნო შეხვედრაზე ფოთიდან რამდენიმე ათეული ადამიანი, მათ შორის, საჯარო მოხელეები, ავტობუსებითა და მიკროავტობუსებით მიიყვანეს;[156]
- - ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა, კახაბერ ფარცვანიამ სკოლის პედაგოგებსა და დირექტორებს მოუწოდა, მხარი „ქართული ოცნების" მერობისა და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებისთვის დაეჭირათ;[157]
- ყვარლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის ქეთევან ჭიპაშვილის მიერ სამუშაო საათებში „ფეისბუკზე" განთავსდა პოსტი,[158] რომელშიც „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" ყვარლის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატისადმი ღია მხარდაჭერაა გამოცხადებული რესურსცენტრისა და ყვარლის საჯარო სკოლების სახელით;
- მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მმართველი პარტიის თბილისის მერობის კანდიდატის კახა კალაძის წინასაარჩევნო შეხვედრებზე თბილისის საბავშვო ბაღების თანამშრომლების ორგანიზებული დასწრება ხდებოდა;[159]
- სტუდია „მონიტორის" ჟურნალისტური გამოძიების მიხედვით,[160] ბაგა-ბაღების დირექტორების ნაწილი „ქართული ოცნების" საარჩევნო კამპანიაში იყო ჩართული და პარტიის სასარგებლოდ მხარდამჭერების სიებს ადგენდა, ხოლო ანგარიშს ბაღების სააგენტოს უგზავნიდა;[161]
- გაზეთ „გურია ნიუსის" ინფორმაციის თანახმად,[162] „ქართული ოცნების" მერობის კანდიდატი, ქალაქ ოზურგეთის მოქმედი მერი ბეგლარ სიორიძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში მდებარე საარჩევნო შტაბში სამსახურებრივი ავტომანქანით იყო მისული;

[153] http://www.moh.gov.ge/ka/news/3708/)

[154] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს პასუხი საიას, №04/07/18844, 25/07/2017.

[155] http://borjomi.tv/axali-ambebi/article/5446-skolisaqciaqarthuliocnebisdroshebisfonze

[156] http://www.radioatinati.ge/archevnebi-2016/article/62085-ocnebis-kandidatebis-tsardgenaze-samegrelos-yvela-municipalitetidan-chamovidnen-video.html; http://zugdidelebi.ge; https://odishi.ge.

[157] http://www.livepress.ge/ka/akhali-ambebi/article/20819-lashagogiapedagogebiufasodimgzavrebenvideo.html

[158] http://reginfo.ge/politics/item/2669-ybvarlis-saganmanatleblo-resurszentris-uprosis-xinaagmdeg-zesko-s-mimartes?fb_comment_id=1738677099539379_1738759796197776#f1e35f9e1dd282c

[159] http://rustavi2.ge/ka/news/85805

[160] http://medianews.ge/ge/studia-monitoris-mier-chatarebuli-gamodzieba-romelits-baga-baghebis-direqtorebs-sheekheba-araseriozulia-temur-tordinava/33333

[161] http://rustavi2.ge/ka/news/86636

[162] http://www.gurianews.com/article/g-news-tv/administratsiuli-resursi-gamoqenebis-pakti-otsnebis-shekhvedraze-kortsilshi-viqavi-video

- „გურია ნიუსის“ ინფორმაციის თანახმად, ოზურგეთში გამართულ პარტია „ქართული ოცნების“ მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე[163], სადაც პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გურიის მუნიციპალიტეტების მერობის კანდიდატები წარადგინა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი გია გიორგაძე გამგეობის ბალანსზე მყოფი სახელმწიფოს კუთვნილი ავტომობილით იყო მისული.[164]

[163] http://www.gurianews.com/article/g-news-tv/administratsiuli-resursi-gamoqenebis-pakti-otsnebis-shekhvedraze-kortsilshi-viqavi-video

[164] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისის 18 სექტემბრის განცხადება №გ/04-09 (ოლქში რეგისტრაციის №529) - იხ. დანართი №1.

დანართი №3

წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის ფაქტები

- საიას მონიტორების ინფორმაციით, თელავის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ასევე ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლებში პარტიული შეხვედრებისთვის საბავშვო ბაღებისა და საჯარო სკოლების პედაგოგებს იბარებდნენ და ავალდებულებდნენ დამატებით ერთი ადამიანის მიყვანას შეხვედრაზე. პედაგოგებს ღიად საუბარი არ სურდათ. საიას მონიტორი თავად გახდა ფაქტის შემსწრე, თუ როგორ ეძებდა ერთ ადამიანს ბაღის აღმზრდელი იმისთვის, რომ ქვემო ხოდაშენში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი კანდიდატის, ზურაბ ლილუაშვილის შეხვედრაზე მიეყვანა. მან საიას მონიტორს დაუდასტურა, რომ ეს იყო მისი, ასევე ბაღის ყველა პედაგოგისა და ბაღის აღმზრდელის ვალდებულება. აღნიშნული პიროვნება ვინაობის დასახელებისგან თავს იკავებდა. იდენტური შემთხვევები ფიქსირდებოდა ახმეტაშიც. საიამ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით უწყებათაშორის კომისიას მიმართა;
- გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე გელა კაპანაძე 2017 წლის 21 სექტემბერს, სამუშაო საათებში (15:52 საათზე) იმყოფებოდა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ გორის ოფისში;[165]
- საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ „ვითიბი ბანკთან“ და ლუდ „აისთან“ ერთად 29 სექტემბერს, 21:00 საათზე, „დინამო არენაზე“ გამართა საქველმოქმედო მატჩი სახელწოდებით „მსოფლიოს ვარსკვლავები საქართველოსთვის”,[166] სადაც მსოფლიო ვარსკვლავებთან ერთად „ქართული ოცნების” თბილისის მერობის კანდიდატმა კახა კალაძემ ითამაშა;[167]
- საფეხბურთო მატჩში თბილისის მერობის კანდიდატთან, კახა კალაძესთან ერთად მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებმა, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო ანდრეი შევჩენკო. მატჩის დასრულების შემდეგ ანდრეი შევჩენკომ კახა კალაძის სასარგებლო აგიტაცია გასწია;
- მმართველი პარტიიდან ხაშურის №49 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის, რამაზ ლომიძის მხრიდან ადგილი ჰქონდა აგიტაციაში მონაწილეობას. კერძოდ, რამაზ ლომიძე 2017 წლის 4 ოქტომბერს იმყოფებოდა ხაშურის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის ილია კაპანაძის წინასაარჩევნო შეხვედრაზე, სადაც ეწეოდა აგიტაციას მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ მხარდასაჭერად;[168]
- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ბათუმის №1 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის, მარინა ჟღენტის მხრიდან ადგილი ჰქონდა აგიტაციაში მონაწილეობას. 2017 წლის 29 სექტემბერს სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეორგოლი, რომლითაც დგინდებოდა, რომ ბათუმის №1 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი ამომრჩეველთა ბარათების დარიგების პარალელურად მოქალაქეს გადასცემდა პარტიის სააგიტაციო მასალას, რასაც თან ახლდა საპასუხო პროტესტი მოქალაქის მხრიდან.

[165] ტელეკომპანია „თრიალეთის“ ვებგვერდზე 2017 წლის 21 სექტემბერს განთავსებული სიუჟეტი http://www.trialeti.ge/?menuid=2&lang=1&id=8557.

[166] http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/453012-fekhburthis-msoflio-varskvlavebis-monatsileobith-matchis-bilethebidan-shemosuli-thankha-borjomis-tyis-damtsvari-teritoriis-aghdgenas-mokhmardeba.html

[167] http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/453101-saqvelmoqmedo-safekhburtho-matchshi-msoflio-varskvlavebthan-erthad-kakha-kaladzec-ithamashebs.html

[168] http://trialeti.ge/?menuid=2&lang=1&id=8773.

დანართი №4

მუქარის, ზეწოლისა და ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტები

- 2017 წლის 16 ივლისს ძალადობას ჰქონდა ადგილი ახალციხეში, სოფელ ურაველში, როდესაც თავს დაესხნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელს ბეგლარ სიორიძეს და მისი ოჯახის წევრებს და მათ ფიზიკურად გაუსწორდნენ. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით აღიძრა, რაც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ძალადობისთვის.[169] დაზარალებულები თავდასხმაში ბრალს სდებდნენ პარტია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს: ახალციხის მერის ყოფილ მოადგილეს, ახალციხის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელს ზაზა გელაძესა და დასუფთავების სამსახურის უფროსს გიორგი ლონდარიძეს. ბეგლარ სიორიძის განმარტებით, ფიზიკურად გაუსწორდნენ როგორც თავად მას, ისე მის მამას და შვილებს, რომლებიც ოჯახის წევრის დასახმარებლად მივიდნენ. დაზარალებულებმა განმარტეს, რომ ინციდენტში დაახლოებით 9-12 ადამიანი მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა პასუხისგებაში ხუთი პირი მისცეს. 2017 წლის 3 აგვისტოს სასამართლომ ხუთი პირი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. ოთხ მათგანს გირაოს სახით 3.000 ლარი, ერთს კი 5000 ლარი შეეფარდა.[170]
- 2017 წლის 18 ივლისს ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარ კანდიდატად დასახელებული დავით ლაგვილავას საარჩევნო შტაბის წინ ძალადობრივ ინციდენტს ჰქონდა ადგილი. დავით ლაგვილავას შტაბის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა თანამშრომლებთან – ლაშა ხურცილავასა და ბადრი ხიდაშელთან ერთად იმყოფებოდა ოფისის გარეთ, რა დროსაც მათთან მივიდა, სავარაუდოდ, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი 2 უცნობი პირი. მათ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ენმ-ის წევრებს პარტიული ნიშნის გამო და ბადრი ხიდაშელს ბოთლი მოუქნიეს. ხიდაშელს ექსპერტიზა მომხდარის მეორე დღეს ჩაუტარდა. ინციდენტს მოგვიანებით თავად დავით ლაგვილავაც შეესწრო, რომელმაც ადგილზე პატრული გამოიძახა. აღსანიშნავია, რომ თავდამსხმელები კვლავ დაბრუნდნენ პარტიის ოფისში და ამჯერად უკვე შენობაში შევიდნენ, სადაც ისინი დააკავეს, თუმცა, იმავე საღამოს გაათავისუფლეს. დავით ლაგვილავას ინფორმაციით, მომხდარის შესახებ გამოძიება დაიწყო სსკ-ის 126-ე მუხლის საფუძველზე.
- 2017 წლის 5 ივლისს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გლდანის მაჟორიტარობის კანდიდატის გოჩა კოკაიას სახლში ჩხრეკა ჩატარდა. ეს უკანასკნელი მომხდარს მის პოლიტიკურ საქმიანობას და შეხედულებებს უკავშირებს. გოჩა კოკაია „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ გლდანში მაჟორიტარობის კანდიდატად 2017 წლის 27 ივნისს დაასახელა. საიას წარმომადგენლები გოჩა კოკაიას გაესაუბრნენ, რა დროსაც მან განმარტა, რომ კანდიდატად წარდგენის შემდეგ გამუდმებით უთვალთვალებდნენ. არაერთხელ შეამჩნია, რომ მის საცხოვრებელ სახლსა და ოფისთან „შკოდას“ ფირმის ავტომობილები იყვნენ მობილიზებულნი, რაც აძლევდა საფუძველს, ევარაუდა, რომ აღნიშნული ავტომობილები მიეკუთვნებოდა „სუსს“ და მას უთვალთვალებდნენ. კოკაიასთვის ცნობილი გახდა, რომ 2017 წლის 5 ივლისს დილით სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა დააკავეს თამაზ ინალიშვილი, რომელსაც გამოძიება ედავება ქრთამის აღებას მოქალაქე ლუკა გვაზავასგან (წვევამდელი), სამხედრო სამსახურის გადავადების მიზნით.
- 2017 წლის 20 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტთან „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ გამართულ შიმშილობის აქციაზე, სამგორის მაჟორიტარობის კანდიდატი ბეჟან გუნავა დააკავეს. [171] აღნიშნულ აქციაზე „პატრიოტთა ალიანსის“ წევრები ცდილობდნენ პარლამენტის შენობასთან განეთავსებინათ პარტიის სიმბოლიკა, ბანერები. პოლიციამ მათ ამის გაკეთების უფლება არ მისცა, რასაც დაპირისპირება მოჰყვა პოლიციასა და აქციის მონაწილეებს შორის. აღნიშნული ინციდენტის დროს საპატრულო პოლიციამ ბეჟან გუნავა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის **173-ე მუხლების** საფუძველზე დააკავა, რაც პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევას და წვრილმან ხულიგნობას გულისხმობს. საგულისხმოა, რომ დაკავებას წინ უძღოდა სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება „პატრიოტთა ალიანსის“ წევრებსა და სამართალდამცველებს შორის.
- 2017 წლის 5 სექტემბერს თელავში გაიმართა პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ კანდიდატების წარდგენა. აღნიშნული შეხვედრის შესახებ, როგორც ჩვენთვის მოგვიანებით გახდა

[169] http://sknews.ge/index.php?newsid=13859, http://rustavi2.ge/ka/news/80544

[170] http://sknews.ge/index.php?newsid=14133

[171] http://1tv.ge/ge/news/view/179766.html

ცნობილი, ინფორმირებული იყო მოქალაქე **ლალი კბილაშვილი,** რომელიც თელავში მიუსაფარ ძაღლებს პატრონობს. მისივე განმარტებით, რადგან თელავის მოსახლეობა ხშირად უპირისპირდება მას ძაღლების გამო, მოწამლული საკვებით უხოცავენ ცხოველებს და ავიწროებენ მას, გადაწყვიტა საქართველოს პრემიერ-მინისტრს შეხვედროდა და ეთხოვა დახმარება პრობლემის მოგვარებაში. ამ მიზნით ლალი კბილაშვილმა ინგლისურ ენაზე ათარგმნინა სლოგანებიც, რომლითაც მოუწოდებდა პრემიერს დახმარებისკენ, რომ შეეწყვიტათ მისი მფარველობის ქვეშ მყოფი ძაღლების დახოცვა. ლალი კბილაშვილის თქმით, მაშინ როდესაც სცენის უკანა მხარეს იმყოფებოდა, მას მიაკითხეს კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა და მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ჩასვეს პოლიციის კუთვნილ ავტომანქანაში. განუმარტეს, რომ ხელმძღვანელი პირებისგან მიღებული დავალების თანახმად, აუცილებელი იყო კბილაშვილის ქალაქიდან დროებით გაყვანა და შეხვედრის ადგილისთვის მოცილება. ამიტომ შესთავაზეს რამდენიმე საათით მანქანით ქალაქგარეთ გასეირნება და უთხრეს, რომ შეხვედრის დასრულების შემდეგ თელავში დააბრუნებდნენ. როგორც ლალი კბილაშვილი განმარტავს, ის მართლაც პოლიციის ავტომანქანით წაიყვანეს შუამთის მიმართულებით. მანქანით გადაადგილებისას მან სცადა გადახტომაც, ვინაიდან ჰქონდა შიში, რომ არ მოეკლათ. პოლიციის თანამშრომელთათვის წინააღმდეგობის გაწევისას მას გაეხა ტანისამოსი (კაბა) და ასევე, მიიღო სხეულზე დაზიანებებიც. როდესაც ქალაქში დააბრუნეს, შეხვედრა და პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ კანდიდატთა წარდგენა უკვე დასრულებული იყო. ლალი კბილაშვილმა მას შემდეგ, რაც თავი დააღწია პოლიციის თანამშრომლებს, დარეკა 112-ში. შესაბამისად, მასთან მივიდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი, რომელთაც განუცხადა იმ ქმედების შესახებ, რასაც მისი მისამართით ჰქონდა ადგილი კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების მხრიდან. როგორც ლალი კბილაშვილი განმარტავს, შემთხვევიდან მეორე დღეს მიაკითხეს კრიმინალური პოლიციიდან იმ პოლიციელებმა, რომელთაც წინა დღეს თავისუფლება შეუზღუდეს და სთხოვეს, რომ არ ეჩივლა მათთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ იჩივლებდა, სამსახურს დაკარგავდნენ. დიდი თხოვნის შემდეგ პირობა დაადებინეს, რომ არ უჩივლებდა. საიამ ინფორმაცია უწყებათაშორის კომისიას მიაწოდა. პროკურატურის წარმომადგენლის მიერ 2 ოქტომბერს უწყებათაშორის კომისიაზე გაკეთებული განცხადების თანახმად, ფაქტზე პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

- მიმდინარე წლის 3 სექტემბერს პოლიტიკური გაერთიანება „პატრიოტთა ალიანსის“ ზესტაფონის რაიონული ორგანიზაციის წევრისა და მაჟორიტარობის კანდიდატის **პაატა გაბრიჩიძის** ავეჯის საამქრო ცეცხლის გაჩენის შედეგად დაიწვა. [172] მისი განცხადების თანახმად, ცეცხლის შედეგად 30. 000 ლარამდე ზარალი მიიღო. დამწვარია როგორც დამზადებული ავეჯი, ისე მასალა ახალი ავეჯის დასამზადებლად. საამქროში ცეცხლი შუაღამისას გაჩნდა. სავარაუდო მიზეზად ელექტროენერგია დასახელდა, თუმცა დაზარალებული გაბრიჩიძე ამ ვერსიას არ ეთანხმება, რადგან ცეცხლის გაჩენის დროისათვის საამქროში ელექტროენერგია გათიშული იყო. საიასთან საუბარში პაატა გაბრიჩიძე არ გამორიცხავს, რომ მომხდარი ფაქტი მის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირდებოდეს. პაატა გაბრიჩიძე 2012 წლიდან „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი იყო, თუმცა შემდგომ „ქართული ოცნება“ დატოვა. კოალიციის დატოვებისა და პოლიტიკური საქმიანობის „პატრიოტთა ალიანსში“ გაგრძელების შემდეგ კი მის მიმართ, როგორც თავად აცხადებს, რამდენჯერმე განხორციელდა მუქარის შემცველი ზარებიც. შსს-სა და პროკურატურის მიერ რეაგირების ნაწილში კომისიის ოფიციალურ გვერდზე ნათქვამია, რომ ავეჯის დამამზადებელ საამქროში ხანძარი შესაძლოა, გამოწვეული იყოს ელექტროტექნიკური მიზეზით. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.[173]

[172] http://zestafoni.ge/news/politika/patriotta-aliansis-majoritarobis-kandida.html

[173] 2017 წლის 30 აგვისტოს ზესტაფონის რაიონულ სამმართველოში შევიდა შეტყობინება იმის თაობაზე, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ კვალითში მე-6 სკოლის წინ იწვოდა შენობა. შემთხვევის ადგილზე მისვლისას გაირკვა, რომ ცეცხლი ეკიდა თორნიკე ზუზაძის ავეჯის საამქროს. ხანძარი სამაშველო სამსახურის მიერ დროულად იქნა ლიკვიდირებული. ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა, დაიწვა მთლიანად საამქრო და მასში განთავსებული მასალა. ავეჯის საამქროს მეპატრონის - თორნიკე ზუზაძის გამოკითხვით ირკვევა, რომ ცეცხლის გაჩენა მისივე დაუდევრობის შედეგია. კერძოდ, ჩართული დარჩა ელექტროენერგიის ჩამრთველ-გამომრთველი, რაზეც მიერთებული იყო დანადგარებზე მიმავალი ელექტროენერგია და დენის გაყვანილობის კაბელები. ანალოგიური დაადასტურა თორნიკე ზუზაძის შვილმა - ნოდარ ზუზაძემ. მოწმის განმარტებით, დედის ძმა - პავლე გაბრიჭიძე არის „პატრიოტთა ალიანსის“ წევრი და კენჭს იყრის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. როგორც ნოდარ ზუზაძისათვის არის ცნობილი, პავლე გაბრიჭიძემ ხანძრის ფაქტი მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გაასაჯაროვა იმ მიზნით, რომ ადგილობრივი თვითმმართველობიდან თორნიკე ზუზაძის ოჯახისთვის გაეწიათ ფინანსური დახმარება. პავლე გაბრიჭიძის განმარტებით, ავეჯის საამქროს ფუნქციონირებისთვის ჩადებული აქვს თანხა 15 000 აშშ დოლარის ოდენობით, თუმცა, რაიმე დოკუმენტში თანამესაკუთრედ დარეგისტრირებული არ არის. მისი ჩვენებით, ხანძარი მიზანმიმართულად არის გაჩენილი, რადგან ხანძრის გაჩენამდე, დაახლოებით, 10 დღით ადრე ტელევიზია „ობიექტივის“ ჟურნალისტები მიიყვანა ქ. ზესტაფონში მეგობრობის ქუჩაზე და აჩვენა ადგილი, სადაც გაჩეხილი იყო რამდენიმე ხე (მითითებულ ადგილზე კეთდება სკვერი). საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი, სადაც მის მიერ გახმოვანდა, რომ სკვერის მშენებლობის მიმდინარეობაზე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობას ტენდერი არ გამოუცხადებია. პავლე გაბრიჭიძე ვარაუდობს, რომ აღნიშნულ ინტერვიუში გაკეთებულ მწვავე განცხადებებს მოჰყვა ხანძრის განზრახ გაჩენა, რათა შეშინებოდა და ჩამოშორებოდა ადგილო-

- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში გაუქმდა საარჩევნო სუბიექტის „ბაქრაძე, უგულავა – ევროპული საქართველოს“ პარტიული სია, ვინაიდან ყველა კანდიდატმა განცხადება დაწერა საოლქო საარჩევნო კომისიაში და უარი განაცხადა არჩევნებში მონაწილეობაზე[174]. არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვა ამავე პარტიის მერობის კანდიდატმაც და საკუთარი განცხადების საფუძველზე მოიხსნა რეგისტრაციიდან. როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, კანდიდატებმა განაცხადეს, რომ აპირებდნენ სამუშაოდ ან სასწავლებლად გამგზავრებას საზღვარგარეთ, რის გამოც უარი განაცხადეს არჩევნებში მონაწილეობაზე. „ევროპული საქართველოს“ კანდიდატების უეცარი და ჯგუფური გადაწყვეტილება საკუთარი კანდიდატურების მოხსნის თაობაზე აჩენს ეჭვებს კანდიდატების გულწრფელობასთან დაკავშირებით. საგულისხმოა, რომ კანდიდატურების მოხსნას წინ არ უძღოდა რამე განმარტება გარდა იმისა, რომ კანდიდატები სწავლის გაგრძელებას ან დასაქმებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ აპირებდნენ. ამასთან, პარტიის წარმომადგენელი განმარტავს, რომ ინფორმაცია კანდიდატების მიერ რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ მათთვის ცნობილი გახდა არა პირადად კანდიდატებისგან, არამედ – საარჩევნო ადმინისტრაციისგან. „ევროპული საქართველოს“ ინფორმაციით, თეთრიწყაროს გარდა სხვა მუნიციპალიტეტებშიც მოხდა კანდიდატების გადარწმუნება, რიგ შემთხვევებში – დაშინება, რათა მათ რეგისტრაციიდან თავი მოეხსნათ.[175]

- დმანისში „შენების მოძრაობის“ მერობის კანდიდატმა საიას წარმომადგენლებთან ისაუბრა მოსახლეობაზე განხორციელებული ზეწოლისა და სავარაუდო მოსყიდვის ფაქტებზე (ყურანი, აგიტაციაში ჩართვა) და, ასევე, პირადად მისი ან მისი ახლობლების მიმართ განხორციელებული ზეწოლის რამდენიმე შემთხვევაზე. მისი განცხადებით:
  - 2017 წლის 27 სექტემბერს დმანისის ქართული ოცნების შტაბის იურისტმა ემზარ პეტრიაშვილმა და კახა ოქრიაშვილის ნათესავმა მამუკა ოქრიაშვილმა შეკრიბა სოფელ ირგანჩაის 50 მკვიდრი და დაადებინა პირობა ყურანზე დაფიცებით, რომ არჩევნებში ხმას „ქართულ ოცნებას“ მისცემდნენ და იქნებოდნენ „ქართული ოცნების“ აგიტატორები. გოგი ბარბაქაძის განცხადებით, ყურანზე დაფიცების ფაქტებს ადგილი ჰქონდა 2012 წელსაც, როდესაც კახა ოქრიაშვილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი იყო.[176] არაერთი მცდელობის მიუხედავად, საია ვერ დაუკავშირდა პარლამენტის წევრს კახა ოქრიაშვილს;
  - სოფელ ირგანჩაის მოსახლეობას პირდებიან, რომ ხმის მიცემის სანაცვლოდ არჩევნების შემდგომ დაეხმარებიან პრობლემური საკითხების მოგვარებაში; [177]
  - „ქართული ოცნების“ წევრები მასიურად სთხოვენ სოფლის მცხოვრებლებს აგიტატორობას და ჰპირდებიან ანაზღაურებას 150 ლარის ოდენობით, რომელიც ნაღდი ანგარიშსწორებით მოხდება;
  - ქვემო ქართლის სატყეო სამსახურში სამსახურის უფროსმა აიძულა მერობის კანდიდატების ნათესავები დაეწერათ განცხადება და ნებაყოფლობით დაეტოვებინათ სამსახური. ერთმა მათგანმა განცხადება სამსახურიდან წამოსვლის შესახებ უკვე დაწერა, თუმცა მეორემ, კერძოდ სეირან ხიზანიშვილმა განცხადება არ დაწერა და დღემდე აგრძელებს საკუთარ თანამდებობაზე მუშაობას;
  - მერობის კანდიდატის მხარდამჭერის სახლში ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლებმა ჩაატარეს ჩხრეკა. პოლიციის თანამშრომლები საცხოვრებელ სახლში არარეგისტრირებულ ცეცხლსასროლ იარაღს ეძებდნენ.

- 2017 წლის 7 ოქტომბერს დაბა ასპინძაში ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებსა და გამგებლის წარმომადგენლებზე განხორციელდა ზეწოლის ფაქტი.[178] კერძოდ, 7 ოქტომბერს პარტია „ქართული ოცნების“ ასპინძის შტაბში დაიბარეს ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო

ბრივი თვითმართველობის არჩევნების პროცესს. იგი, ასევე, უთითებს, რომ 2017 წლის 11 სექტემბერს მამაკაცი დაუკავშირდა დაფარული ნომრიდან და უთხრა: „ტყუილად წვალობ, ისევ დაიწვება“, რის შემდეგაც გათიშა ტელეფონი. მან განხორციელებული ზარის დასათვალიერებლად ტელეფონის წარმოდგენა ვერ შეძლო, რადგან მისი შვილი ხშირად ცვლის სატელეფონო ნომრებს. სისხლის სამართლის საქმეზე ექსპერტის მონაწილეობით დათვალიერებულ იქნა შემთხვევის ადგილი, ამოღებული იყო თერმული ზემოქმედებით დაზიანებული ელექტროსადენების ფრაგმენტები. ავეჯის დამამზადებელ საამქროში ხანძარი, შესაძლოა, გამოწვეული იყოს ელექტროტექნიკური მიზეზით. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

[174] https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebi-tetritsyaros-saarchevno-olqshi-ganvitarebul-movlenebs-ekhmaurebian#sthash.oevHMorX.dpbs

[175] აღნიშნულ ფაქტებზე ინფორმაციის გადამოწმების შემდეგ საზოგადოებას მოგვიანებით მივაწოდებთ დამატებით ინფორმაციას.

[176] https://www.youtube.com/watch?v=dhIhio8VD4A

[177] ერთ-ერთ მათგანს დაჰპირდნენ, რომ დაეხმარებოდნენ დაკარგული ცხვრების პოვნის საქმეში (აღნიშნულ მოქალაქეს, რამდენიმე თვეა, მიმართული აქვს საგამოძიებო ორგანოებისათვის, თუმცა, ამ დრომდე არანაირი საგამოძიებო მოქმედებები არ ჩატარებულა).

[178] http://sknews.ge/index.php?newsid=15166

მოხელეები, ა(ა)იპ-ისა და გამგებლის წარმომადგენლები. ქართული ოცნების განმარტებით, აღნიშნული შეხვედრა იყო რიგითი შეხვედრა.[179] აღნიშნულის შესახებ საიას წარმომადგენლებს ინფორმაცია თავად იმ პირებმა მიაწოდეს, რომელთა მისამართითაც ხორციელდებოდა მუქარა. ისინი საიას მონიტორებთან საუბარში აღნიშნავენ, რომ მმართველი პარტიის ოფისში შესვლამდე სათანადოდ გაჩხრიკეს. კერძოდ, თავდაპირველად ჩამოართვეს ტელეფონები და განუცხადეს, რომ ტელეფონებს ართმევდნენ, რადგან იქ მყოფთა შორის იყვნენ ადამიანები, ვისაც საუბრის ჩაწერა სურდათ. ხოლო აღნიშნულის შემდეგ სპეციალური აპარატით გაჩხრიკეს. შეხვედრაზე იმყოფებოდნენ „ქართული ოცნების" პარტიის რეგიონების დეპარტამენტის უფროსი დიტო სამხარაძე და მერობის კანდიდატი როსტომ მაგრაქველიძე. სამხარაძემ შეხვედრაზე დამსწრეებისგან მოითხოვა, რომ მხარი მხოლოდ პარტია „ქართულ ოცნებისთვის" დაეჭირათ, უნდა ემუშავათ მხოლოდ „ქართულ ოცნებისთვის," წინააღმდეგ შემთხვევაში იყო მუქარა სამსახურების დაკარგვაზე, ასევე დაპატიმრებაზე. იყო მოთხოვნაც, რომ თუ არ დაეხმარებოდნენ „ქართულ ოცნებას," მაშინ რეგიონებიდან ჩამოიყვანდნენ 5.000 ადამიანს, თუმცა არ განუმარტავთ, კონკრეტულად რა დახმარება უნდა გაეწია ამ 5.000 ადამიანს მათთვის. აღსანიშნავია, რომ იმავე დღეს, გვიან ღამით ასპინძაში მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის ლევან ცაბაძის ბანერი ჩამოხიეს.

- „ევროპული საქართველოს" ინფორმაციით, წყალტუბოში მერობის მათ კანდიდატზე – სევერიან გორდულაძეზე და ასევე, მის ძმაზე, წყალტუბოში პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატზე, მუქარა განხორციელდა. საიას მონიტორებმა აღნიშნული ინფორმაცია გადაამოწმეს. კახა გორდულაძის განცხადებით, 2017 წლის 2 ოქტომბერს ვლადიკავკაზიდან თბილისში დაბრუნდა, რა დროსაც პირად ნომერზე დაუკავშირდა უცნობი პიროვნება, ნომრით 700 700 700. საუბრისას უცნობმა პიროვნებამ კახა გორდულაძეს მოსთხოვა მაჟორიტარობის კანდიდატურის მოხსნა და საცხოვრებლად ისევ ვლადიკავკაზში დაბრუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მეუღლის, რომელიც სოფელ ბარდნალას ერთ-ერთ საჯარო სკოლაში მასწავლებლად მუშაობს, სამსახურიდან გათავისუფლებით დაემუქრა. აღსანიშნავია ისიც, რომ იმ დღეს, როდესაც მუქარის ზარი განხორციელდა, კახა გორდულაძემ თავისი ნომრით მხოლოდ მის ძმას სევერიან გორდულაძეს დაურეკა. რადგან კახა გორდულაძის ნომერი სხვამ არავინ იცოდა, სევერიან გორდულაძეს ეჭვი აქვს, რომ მის ნომერს უსმენდნენ.
- მიმდინარე წლის 29 სექტემბერს თბილისის საკრებულომ განიხილა „პანორამა თბილისის" სასტუმროს მიმდებარე მიწისქვეშა ავტოსადგომის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონის სტატუსის შეცვლისა და თაბორის მთაზე 4.700 მ2 ფართობი მიწის რეკრეაციული სტატუსის „თაბორი რიზორთსის" სასარგებლოდ მოხსნის თაობაზე, რაზეც საკრებულომ „თაბორი რიზორთსის" სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო.[180] აღნიშნული გადაწყვეტილება გააპროტესტეს ოპოზიციის წარმომადგენლებმა, რასაც საკრებულოს დარბაზში ხმაური და დაპირისპირება მოჰყვა. საბოლოო ჯამში, სხდომის თავმჯდომარემ დარბაზიდან გააძევა პარტია „ევროპული საქართველოსა" და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მერობის კანდიდატები, ელენე ხოშტარია და ზაალ უდუმაშვილი, „რესპუბლიკური პარტიის" ლიდერს, ხათუნა სამნიძეს კი დარბაზში შესვლის საშუალებას არ აძლევდნენ,[181] რის შემდეგაც, ოპოზიციის წევრებმა და მათმა მხარდამჭერებმა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაპროტესტებლად ქალაქ თბილისის მერიასთან გადაინაცვლეს.[182] დაპირისპირება სამართალდამცავებსა და აქციის მონაწილეებს შორის მას შემდეგ გამწვავდა,[183] რაც აქციის მონაწილეები მერიის შენობაში შესვლას შეეცადნენ. საპროტესტო აქციაზე დააკავეს პარტია „ნაციონალური მოძრაობის" 6 მხარდამჭერი.
- 2017 წლის 10 ოქტომბერს ქ.თბილისის საკრებულოს სხდომა, სადაც განიხილებოდა „თბილისი სითისთვის" პუშკინის სკვერთან და თაბორის მთაზე მდებარე ორი მიწის ნაკვეთის გადაცემის საკითხი, ოპოზიციის ხმაურიანი საპროტესტო აქციის ფონზე წარიმართა.[184] აღნიშნულ სხდომაზე ოპოზიციის წევრებს სურდათ განსახილველი საკითხის გაპროტესტება, რის გამოც ისინი შეეცადნენ შესულიყვნენ საკრებულოს სხდომათა დარბაზში, თუმცაღა მათ ამის საშუალება საკრებულოსთან მობილიზებულმა სამართალდამცავმა ორგანოებმა არ მისცეს,[185] რამეთუ,

[179] http://sknews.ge/index.php?newsid=15166

[180] http://netgazeti.ge/news/223014/
http://www.mediamall.ge/?newsid=206528

[181] http://liberali.ge/news/view/31508/sakrebuloshi-opozitsia-savaraudod-ivanishvilis-kompaniistvis-mitsis-gadatsemis-gegmas-aprotestebs

[182] https://www.allnews.ge/sazogadoeba

[183] http://rustavi2.ge/ka/news/86393

[184] http://1tv.ge/ge/news/view/183043.html

[185] http://1tv.ge/ge/news/view/182982.html

მათი განმარტებით, სხდომა დახურულად იქნა გამოცხადებული. მიუხედავად წინააღმდეგობისა, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები მაინც შეეცადნენ საკრებულოს შენობაში შესვლას, რის გამოც სამართალდამცავებმა დააკავეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 11 წევრი[186], მათ შორის ვაკის მაჟორიტარობის კანდიდატი კოტე იოსელიანი.

- 2017 წლის 9 ოქტომბერს მუქარა განხორციელდა „ევროპული საქართველოს“ თელავის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატზე ნოდარ ეჟიშვილზე. პარტიის ოფისთან ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ნუგზარ გიგაურმა ცეცხლსასროლი იარაღით მასზე მუქარა განახორციელა. გამოძიებამ დაადგინა, რომ იარაღი იყო სათამაშო და ბრალდებულს სასჯელის სახედ განესაზღვრა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა 150 საათით.

[186] http://www.interpressnews.ge/ge/samartali/457038-thbilisis-sakrebulosthan-dakavebuli-nacmodzraobis-kidev-11-tsevri-math-shoris-kote-ioseliani-momdevno-sasamarthlo-skhdomamde-gathavisufleda.html?ar=A

დანართი №5

წინასაარჩევნო კამპანიაში ხელშეშლის ფაქტები

- 2017 წლის 23 ივლისს თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე, „ევროპული საქართველოს“ ორგანიზებით გაიმართა აქცია სახელწოდებით – „არა რუსულ ფაშიზმს.“ პარტიის თბილისის მერობის კანდიდატის ელენე ხოშტარიას განცხადებით, აქცია ემსახურებოდა ქართული საზოგადოების ძალიან მკაფიო განწყობის გამოხატვას იმის თაობაზე, რომ რუსული ფაშიზმი საქართველოში ფეხს ვერ მოიკიდებს. აქციას შეუერთდნენ სხვა პოლიტიკური გაერთიანებებიც, „რესპუბლიკური პარტიისა“ და „თავისუფალი დემოკრატების“ წევრებიც. აღნიშნული აქცია 14 ივლისს გამართული „ქართული მარშის“ პასუხი იყო.[187] აქციაზე „ევროპული საქართველოს“ ორგანიზატორებსა და აქციის სხვა მონაწილეებს კვერცხები დაუშინეს „ქართული მარშის“ მხარდამჭერებმა. თუმცა, სიტუაცია მწვავე დაპირისპირებაში არ გადაზრდილა, ვინაიდან ადგილზე მობილიზებული იყო პოლიცია, რომელმაც ვითარების განმუხტვა შეძლო.
- 2017 წლის ივლისის თვეში ადგილი ჰქონდა წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეშლის ფაქტს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საბურთალოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ნინო კვიტაიშვილისთვის, რომლის შტაბს უცნობმა პირმა ოთხჯერ ესროლა კვერცხები. ინციდენტის ადგილზე ორ შემთხვევაში გამოძახებული იყო საპატრულო პოლიცია, რომლისგანაც კვიტაიშვილი შესაბამისი ზომების მიღებასა და დროულ რეაგირებას ითხოვდა.
- 2017 წლის 9 სექტემბერს „ნაციონალური მოძრაობის“ ვაკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, კოტე იოსელიანის შტაბში ადგილი ჰქონდა ინციდენტს, რაც გამოხატა ოფისისათვის აგურის სროლაში. იოსელიანის განცხადებით, აღნიშნულ ინციდენტამდე ერთი დღით ადრე მის ოფისში უცხო პირმა/პირებმა ისროლეს „პლასტმასის“ ბოთლი, რომელიც სახეში მოხვდა ოფისის ერთ-ერთ თანამშრომელს. მომხდარიდან მეორე დღეს კი მათ ოფისში უკვე აგური ისროლეს, რასაც იოსელიანი წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეშლად აფასებდა. მომხდარის ადგილას მივიდა საპატრულო პოლიციაც, რომელმაც იოსელიანს ახსნა-განმარტება ჩამოართვა.
- მიმდინარე წლის 19 სექტემბერს, ქალაქ თბილისის მერობის კანდიდატის – ალექსანდრე ელისაშვილის „ფეისბუკ“ გვერდის საშუალებით გავრცელდა ვიდეომასალა წინასაარჩევნო კამპანიაში ხელშეშლის თაობაზე.[188] ვიდეომასალის თანახმად, მერობის კანდიდატის განცხადებით, მას და მის მხარდამჭერებს ღონისძიების გამართვისა და ინტერვიუს ჩაწერის შესაძლებლობას არ აძლევდნენ დიდუბის გამგებლის მოადგილე, „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის წევრი და სხვა უცნობი პირები.
- 2017 წლის 3 სექტემბერს ქ. ზუგდიდში „ევროპული საქართველოს“ ადგილობრივ ოფისში პარტიის სარეკლამო ბანერი ჩამოხიეს. აღნიშნული ქმედება პარტიის მერობის კანდიდატმა ლელა ქებურიამ „ქართულ ოცნებას“ დაუკავშირა. მისი განმარტებით, ჩამოხეული და დაკაწრული იყო ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ყველა პლაკატი, მათ შორის სხვა ოპოზიციური პარტიების პლაკატებიც. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის თანახმად დაიწყო.
- ზუგდიდის მერობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა, დომენტი (ზვიად) სიჭინავამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ქ. ზუგდიდში ბილბორდებზე განსათავსებელი რეკლამა კომპანია Outdoor.ge-ს დაუკვეთა, რადგანაც მისი ინფორმაციით, სხვა ალტერნატივა არ არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება გაფორმებული იყო, გაწერილი იყო ყველა დეტალი და მერობის კანდიდატი აღნიშნულ სარეკლამო კომპანიას საკმაოდ სოლიდურ თანხას უხდიდა ბილბორდზე სააგიტაციო მასალის განთავსებისთვის, აღნიშნული კომპანიის მიერ 23 სექტემბერს დამონტაჟებული ბილბორდები ქალაქ ზუგდიდში რამდენიმე საათში ერთმანეთის მიყოლებით „ჩამოიყარა“. კომპანიაში განაცხადეს, რომ ბილბორდს ჰქონდა ტექნიკური პრობლემა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ოთხივე ბილბორდს, რომელზეც დომენტი სიჭინავას პოსტერები განთავსდა, არავითარი ტექნიკური პრობლემები არ ჰქონია. ზუგდიდის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი მომხდარს მის წინააღმდეგ მიზანმიმართულ ხელშეშლად აფასებდა.
- 3 ოქტომბერს ბოლნისში „ევროპული საქართველოს“ წევრები მართავდნენ შეხვედრას მხარ-

[187] ორგანიზატორები გმობდნენ იმ გზავნილებსა და მოწოდებებს, რომლებიც „ქართული მარშის“ წევრებმა გააჟღერეს. კერძოდ, „ქართული მარშის“ მონაწილეები აპროტესტებდნენ ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფ უცხოელთა რაოდენობის ზრდას, მათ ცხოვრებას და საქმიანობას საქართველოში, მოითხოვდნენ არალეგალურად მყოფი პირების გაძევებას და საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის ნებართვის გაცემის აკრძალვას. აღსანიშნავია, რომ „ქართულ მარშს“ კრიტიკული განცხადებით გამოეხმაურა საქართველოს ახალგაზრდა წარმომადგენელი გაეროში - თათია დოლიძე, რის შემდეგაც „ქართული მარშის“ ორგანიზატორების მხრიდან სოციალური ქსელის საშუალებით მის მიმართ გაჟღერდა ჯგუფური გაუპატიურების მუქარა.

[188] https://www.facebook.com/AlexanderElisashvili/videos/1685178698180937/

დამჭერებთან. საიას მონიტორის ინფორმაციით, „ევროპული საქართველოს“ მხარდამჭერს, შახალი მაქსომოვს, რომელიც სააგიტაციო მანქანით საწვავის ჩასასხმელად გადაადგილდებოდა, თავს დაესხა ორი უცნობი პირი. სიტყვიერი შეურაცხყოფის შემდეგ თავდამსხმელებმა ქვის სროლა დაიწყეს და დააზიანეს პარტიის სააგიტაციო ავტომობილი. შსს-ს განცხადებით, ფაქტზე დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით. მათივე ცნობით, მომხდარის დროს ადამიანები არ დაშავებულან და მხოლოდ ავტომობილი დაზიანდა.

- 2017 წლის 27 აგვისტოს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყიზილაჯლოში, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ევროპული საქართველო მოძრაობა თავისუფლებისთვის“ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ახმედ იმამკულიევი მოსახლეობას ხვდებოდა, რა დროსაც „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლების განმარტებით, „ქართული ოცნების“ კანდიდატებმა და აქტივისტებმა ხელი შეუშალეს მას ღონისძიების გადაღებასა და შეხვედრის მშვიდ გარემოში წარმართვაში. პარტიის განცხადებით, მსგავსი ინციდენტი განმეორდა 2017 წლის 28 აგვისტოს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაიდარაშიც. ორივე ინციდენტში საერთო ჯამში ათამდე პირი იქნებოდა.
- 2017 წლის 27 აგვისტოს, სოციალური ქსელის „ფეისბუკის“ მეშვეობით გავრცელდა ვიდეოჩანაწერი, რომლის მიხედვით დაუდგენელი პირები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიმბოლიკიან მაისურებში გამოწყობილები მოქალაქეებს თავს წარუდგენდნენ ქ.თბილისის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის, ალექსანდრე ელისაშვილის მხარდამჭერად და თითქოსდა მისი მხარდაჭერის მიზნით, სთხოვდნენ პერსონალურ მონაცემებს და გაურკვეველი წარმომავლობის ბლანკზე ხელის მოწერას. ალექსანდრე ელისაშვილის შტაბის განმარტებით, აღნიშნული ფაქტი წარმოადგენდა ამომრჩეველთა მიერ არჩევნებში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლას მოტყუებით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს ს.ს კოდექსის 162-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით. აღნიშნულთან დაკავშირებით, ალეკო ელისაშვილმა 2017 წლის 28 აგვისტოს მიმართა ისანი-სამგორის რაიონის პოლიციას გამოძიების დაწყების მოთხოვნით, რაზეც უარი მიიღო.[189]
- 2017 წლის 19 სექტემბერს პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა და მხარდამჭერებმა საპროტესტო აქცია გამართეს „ქართუ ბანკის“ შენობასთან და საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ფულის გათეთრებაში დაადანაშაულეს.[190] აქციის მსვლელობისას ადგილი ჰქონდა სიტყვიერ დაპირისპირებას. ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიციაც.[191]
- 2017 წლის 19 და 22 სექტემბერს „ბავშვთა სამყაროს“ ხანძრის შედეგად დაზარალებულები კახა კალაძის შტაბთან შეიკრიბნენ და პროტესტის უკიდურეს ფორმას, შიმშილობას მიმართეს.[192] მოქალაქეთა განცხადებით, ხანძარი განზრახ იყო გაჩენილი, რადგან იქ სწორედ თბილისის მერობის კანდიდატის ბიზნესინტერესები იკვეთებოდა და ის „ბავშვთა სამყაროს“ ტერიტორიაზე ახალი სავაჭრო ცენტრის მშენებლობას გეგმავდა.[193]
- ქალაქ ბათუმში 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის სააგიტაციო მასალის გასაკრავად სტენდები დაგვიანებით განთავსდა.

[189] http://netgazeti.ge/news/217206/

[190] http://www.ipress.ge/new/85383-qartu-banktan-nacionaluri-modzraobis-aqcia-mimdinareobs-video

[191] http://rustavi2.ge/ka/news/85344

[192] https://imedinews.ge/ge/archevnebi/28457/kakha-kaladzis-saarchevno-shtabtan-saprotesto-aqtsia-mimdinareobs

[193] https://imedinews.ge/ge/saqartvelo/28016/kakha-kaladzis-shtabtan-bavshvta-samkaros-dazaralebulebma-shimshiloba-daitskes

დანართი №6

სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები

2017 წლის 5 ივნისს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორის მიერ სამსახურიდან გათავისუფლდა სასწავლო ნაწილის გამგე ელიზა ყაზიშვილი. გათავისუფლების საფუძვლად მითითებული იყო რეორგანიზაცია, რომელსაც თან სდევდა შტატების შემცირება. აღსანიშნავია, რომ რეორგანიზაციის შემდგომ, ადმინისტრაციის გარდა, არც ერთი რიგითი თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლება არ მომხდარა. თავად ყაზიშვილი მის გათავისუფლებას პოლიტიკურ მოტივს უკავშირებდა.

ყაზიშვილმა საიას წარმომადგენლებთან საუბარში აღნიშნა, რომ ის არის „თავისუფალი დემოკრატების" წევრი და მის გათავისუფლებას წინ უძღოდა არაერთი საჯარო გამოსვლა ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ. მისი განცხადებით, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც არ იყო დამტკიცებული საშტატო ნუსხა, ააიპ-ის დირექტორმა მოსთხოვა მას, დაეწერა განცხადება გათავისუფლების თაობაზე, რაზეც მან უარი განაცხადა. შემდეგ მას ზეპირი ფორმით შეატყობინეს შტატის გაუქმებისა და გათავისუფლების შესახებ მაშინ, როდესაც თანამშრომელთა საშტატო ნუსხა ჯერ დამტკიცებული არ იყო. ასევე, საშტატო ნუსხა დამტკიცებული არც მაშინ იყო, როდესაც გამოიცა ბრძანება მისი გათავისუფლების თაობაზე.

ანგარიშის გამოქვეყნების მომენტისთვის საქმე სასამართლო განხილვაშია.

დანართი №7

არჩევნების მეორე ტურზე დაფიქსირებული დარღვევები

წინასაარჩევნო პერიოდი

2017 წლის 8 ნოემბერს, ოზურგეთის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის კონსტანტინე შარაშენიძის შტაბის ხელმძღვანელმა, ირაკლი სირაძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ოზურგეთის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის კონსტანტინე შარაშენიძის წარმომადგენლის, გიორგი როყვას მიმართ მუქარა და შანტაჟი განხორციელდა. შტაბის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ გიორგი როყვას მიმართ მუქარასა და შანტაჟს ახორციელებდა „ქართული ოცნების" მერობის კანდიდატი ბეგლარ სიორიძე. მათ პრესკონფერენციაზე წარმოადგინეს ის სმს შეტყობინებები, რომელსაც გიორგი როყვა შტაბის ხელმძღვანელს ირაკლი სირაძეს უგზავნიდა.[194]

გარკვეული პერიოდის განმავლობაში გიორგი როყვასთან დაკავშირება ვერ ხერხდებოდა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ შემთხვევის შესწავლა დაიწყო. ორი დღის შემდგომ გიორგი როყვა ამ ფაქტთან დაკავშირებით შსს გურიის პოლიციის დეპარტამენტში გამოკითხეს. **გამოკითხვის შემდგომ გიორგი როყვამ მედიის წინაშე მის მიმართ ზეწოლა უარყო.**

საიამ ამ ფაქტის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოძიება მოითხოვა.

საიას მონიტორებთან მის მიმართ განხორციელებულ მუქარაზე ისაუბრა ოზურგეთის დამოუკიდებელი მერობის კანდიდატის შტაბის წევრმა რეზი ხუნდაძემაც.

კენჭისყრის დღე

- ოზურგეთის №59 უბანზე (ნასაკირალის უბანი) არეულობა იყო ხმის დათვლის პროცესში. განვითარებული მოვლენები ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ მას შემდეგ, რაც გამოიკვეთა უბანზე დამოუკიდებელი კანდიდატის სასარგებლო შედეგები, ადგილი ჰქონდა სიტუაციის განზრახ არევის და შედეგების უსაფუძვლოდ გაბათილების მცდელობას. ამ უბანზე კომისიამ ბათილად მიიჩნია 18 ბიულეტენი. ბათილ ბიულეტენებს შორის იყო „ქართული ოცნების" მერობის კანდიდატის სასარგებლო 2 და მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის სასარგებლო 16 ბიულეტენი. საიას დამკვირვებლის ინფორმაციით, კომისიამ ბიულეტენები არასწორად მიიჩნია ბათილად. ამ ფაქტზე საიას მხრიდან დაიწერა საჩივარი. ბიულეტენების ბათილობის საკითხის ხმაურიანი განხილვის პროცესში თავმჯდომარე შეუძლოდ გახდა. იმავდროულად, უბანზე შემოვიდნენ სხვადასხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციისა და მედიასაშუალებების წარმომადგენლები, რომელთა ნაწილი უბნის შედეგების ბათილობას ითხოვდა და კომისიის საქმიანობაში ერეოდა.
- ჩვენი დამკვირვებლის ინფორმაციით, ოზურგეთის №12 უბანზე კომისია აპირებდა ბათილად ეცნო დაახლოებით 35 ისეთი ბიულეტენი, რომელზეც ამომრჩევლის ნება იკვეთებოდა და საკამათო არ უნდა გამხდარიყო მათი ნამდვილობა. ამ ბათილი ბიულეტენებიდან დაახლოებით 12 ბიულეტენზე არჩევანი დაფიქსირებული იყო დამოუკიდებელი კანდიდატის სასარგებლოდ, ხოლო დაახლოებით 5 ბიულეტენზე – „ქართული ოცნების" მერობის კანდიდატის სასარგებლოდ. კომისია ფიქრობდა, რომ ასეთ შემთხვევებში (შემოხაზული იყო ერთ-ერთი კანდიდატის გვარი, ხოლო მეორის – გადახაზული იყო) ბიულეტენზე ამომრჩევლის ნება არ იყო გამოვლენილი და იგი ბათილად უნდა ყოფილიყო მიჩნეული. ბათილ ბიულეტენებთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვა საიას დამკვირვებელმაც. კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და ზემოაღნიშნული ბიულეტენები სწორად მიიჩნია ნამდვილად.
- ოზურგეთის №16 უბანზე კომისიამ ბათილად მიიჩნია 30-მდე საარჩევნო ბიულეტენი. საიას დამკვირვებლის ინფორმაციით, დაახლოებით 17 ბათილი ბიულეტენი იყო ისეთი, რომელსაც უკანა მხარეს რეგისტრატორის ხელმოწერები არ ჰქონდა. დამკვირვებლის ინფორმაციით, ამომრჩეველს აღნიშნულ 17 ბიულეტენზე არჩევანი გაკეთებული ჰქონდა მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის სასარგებლოდ.

[194] სმს შეტყობინებების მიხედვით, გიორგი როყვა ირაკლი სირაძეს წერდა, რომ ბეგი სიორიძე იყო მასთან და მიუგზავნა თავისი მხარდამჭერები. იგი ირაკლი სირაძეს სთხოვდა, რომ ამ უკანასკნელს სიორიძის მხარდამჭერებისათვის დაედასტურებინა, რომ შეცდომა იყო და გიორგი როყვა კონსტანტინე შარაშენიძის წარმომადგენელი არ ყოფილა. აგრეთვე, სთხოვდა, რომ გაეუქმებინა მისი წარმომადგენლობა, ვინაიდან პრობლემები არ უნდოდა.

კოალიცია თანასწორობისთვის

საქმიანობის ანგარიში

2016-2017